LABRANT 363 REVILLAGINERIUS RE









ᲛᲔᲓᲘᲐ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

2014-2015

ავტორი:

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მკვლევარები:

ᲡᲝᲤᲝ ᲒᲝᲒᲐᲫᲔ, ᲗᲐᲗᲐ ᲥᲐᲤᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

დიზაინი:

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ, IBDESIGN





ანგარიში მოამზადა მედიის განვითარების ფონდმა პროექტის "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციას.

© 2015, ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

WWW.MDFGEORGIA.GE

ISBN 978-9941-0-7733-3



მედიის განვითარების ფონდი "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში" პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მედია მონიტორინგს, რომლის მიზანია მედიასა და საჯარო დისკურსში სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების, ასევე ანტიდასავლური განწყობების წყაროების გამოვლენა. ამასთანავე, იმის შესწავლა, თუ რამდენად იცავენ მედია საშუალებები პროფესიულ სტანდარტებს აღნიშნული თემატიკის გაშუქებისას.

წინამდებარე კვლევა ერთწლიან პერიოდს (17 თებერვალი, 2014 – 18 თებერვალი, 2015) მოიცავს და მიზნად ისახავს გამოავლინოს სიძულვილის ენის და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის წყაროები. მონიტორინგის ანგარიშის სერია 3 გამოცემისგან შედგება: I გამოცემაში გაერთიანებულია სიძულვილის ენა და ქსენოფობიური გამოხატვა. ქსენოფობიის ნაწილი თავის მხრივ მოიცავს ა) სხვადასხვა ეთნიკურ და ეროვნულ ჯგუფებს; ბ) თურქოფობიას/ ისლამოფობიას; გ) არმენოფობიას დ) რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას; II გამოცემა ჰომოფობიას და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციულ მიდგომებსა და სტერეოტიპებს მოიცავს; III ნაწილი კი ანტიდასავლურ განწყობებს ასახავს.

სამივე გამოცემის სტრუქტურა ერთგვაროვანია და შემდეგი წყაროების მიხედვით არის დაჯგუფებული: მედია, პოლიტიკური პარტიები და მათთან აფილირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები, სასულიერო პირები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, ანუ ყველა ის რესპონდენტი, რომელიც ცალკე კატეგორიად არ არის გამოყოფილი.

მონიტორინგი 6 გაზეთის (ასავალ-დასავალი, რეზონანსი, პრაიმ ტაიმი, კვირის ქრონიკა, ალია, კვირის პალიტრა¹); 5 ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, კავკასია და მაესტრო) დღის მთავარი საინფორ– მაციო გამოშვებებისა და თოქ–შოუების, ასევე მედია–კავშირ "ობიექტივის" და ტელეკომპანია "ტაბულას" პრაიმ–ტაიმის თოქ–შოუების დაკვირვებას ითვალისწინებს. მონიტორინგი 6 საინფორმაციო ვებ–პორტალზეც (საქინფორ–მი, ინტერპრესნიუსი, ნეტგაზეთი, პირველი, რეპორტიორი, საქართველო და მსოფლიო) ვრცელდება.

გარდა დაკვირვების ქვეშ მყოფი მედია საშუალებებისა, წინამდებარე კვლევაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შესულია ამავე ტელევიზიების სხვა გადაცემებისა (რუსთავი 2, "ნანუკას შოუ" და "სხვა შუადღე") და სხვა მედია საშუალებების (გაზეთი "ვერსია", ფეისბუქი [წყარო youtube]) ის მაგალითებიც, რომლებზეც რეაგირება მათი რეზონანსულობის და გავლენის გამო მნიშვნელოვნად ჩაითვალა.

^{1 2014} წლის დეკემბრიდან ბეჭდვითი ვერსიის ნაცვლად მონიტორინგი გაზეთის ელექტრონულ ვერსიაზე ხორციელდება.

რა**ო**დენობრივი მონაცემები


I გამოცემაში გაერთიანებული სიძულვილის ენისა და სხვადასხვა ტიპის ქსენოფობიური გამოხატვის საერთო მაჩვენებელი ერთი წლის განმავლობაში 573-ია. აქედან ყველაზე მეტი შემთხვევა (200) თურქოფობია/ისლამოფობიაზე მოდის, ყველაზე მცირე — არმენოფობიაზე (36).

ცხრილი 1. სიძულვილის ენა და ქსენოფობიის სხვადასხვა გამოვლინება

	მედია	პარტიები	ხელისუფლების წარმომადგ.	ხელისუფლების ყოფილი წარმ.	სასულიერო პირები	სხვა რესპონ.	3 500
სიძულვილის ენა	44	30	6	4	11	42	137
სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფები	49	26	1	8	8	41	133
თურქოფობია/ ისლამოფობია	53	52	3	7	8	77	200
არმენოფობია	25	1		1	3	6	36
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	27	1	1	1	16	21	67
3 √30	198	110	11	21	46	187	573

რაც შეეხება სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის წყაროებს, აქ ყველაზე მეტი დარღვევა მედიის (198) მხრიდან იჩენს თავს, რომელსაც თითქმის თანაბრად მოსდევს საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა კატეგორია (187), ხოლო შემდეგ ადგილებზე პოლიტიკოსები (110), სასულიერო პირები (46), ხელისუფლების ყოფილი (21) და მოქმედი (11) წარმომადგენლები არიან.

დიაგრამა 1. სიძულვილის ენა და ქსენოფობია სხვადასხვა წყაროების მიხედვით



მედია საშუალებებიდან დარღვევების ყველაზე მეტი შემთხვევა გაზეთ "ასავალ-დასავალში" გამოვლინდა (53), რომელსაც მოსდევს მედია კავშირი "ობიექტივი" (37); ინტერნეტ-პორტალები "საქინფორმი" (24) და Geworld.ge (22); გაზეთი "კვირის ქრონიკა" (19), ტელეკომპანია "კავკასია" (14), გაზეთები "ალია" (12), "რეზონანსი" (6), "კვირის პალიტრა" (4), ტელეკომპანია "რუსთავი 2" (2), გაზეთი "პრაიმ ტაიმი" (2), ინტერნეტ-პორტალი "პირველი" (2) და საზოგადოებრივი მაუწყებელი (1).

ცხრილი 2. სიძულვილის ენა და ქსენოფობია მედია საშუალებების მიხედვით

ᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ	რაოდენობა
ასავალ-დასავალი	53
ობიექტივი	37
საქინფორმი	24
Geworld.ge	22
კვირის ქრონიკა	19
კავკასია	14
ალია	12
რე8ონანსი	6
კვირის პალიტრა	4
რუსთავი 2	2
პრაიმ ტაიმი	2
პირველი	2
საზოგადოებრივი მაუწყებელი	1

პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ყველაზე მეტად, დისკრიმინაციის მხრივ, პატრიოტთა ალიანსი (36) გამოირჩევა, რომლესაც მოსდევს ბურჯანაძე-გაერთიანებულ დემოკრატებთან დაკავშირებული სახალხო კრება (26), შემდეგ ადგილზეა ქართული ოცნება (20), მეტწილად პოლიტიკურ ოპონენტების მიმართ სიძულვილის ენის გამო, მას მოსდევს ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები (14), ლეიბორისტული პარტია (6), ნაციონალური მოძრაობა (2), თავისუფალი საქართველო (2), სახალხო პარტია (2), ტრადიციონალისტთა კავშირი (1), იმედი (1) და პატრიოტთა ალიანსის ყოფილი წევრი და ამჟამად თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი (1).

ცხრილი 3. სიძულვილის ენა და ქსენოფობია პოლიტიკური პარტიების მიხედვით

ᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ	ტაოდენოგა
პატრიოტთა ალიანსი	36
სახალხო კრება	26
ქართული ოცნება	20
ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები	14
ლეიბორისტული პარტია	6
ნაციონალური მოძრაობა	2
თავისუფალი საქართველო	2
სახალხო პარტია	2
სხვადასხვა	3

anedomen

I. LNABRANDNU OGO	11
1. მედია	13
2. პოლიტიკური პარტიები	19
3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	22
4. სასულიერო პირები	24
5. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	25
II. JUJEMSMOO	28
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘ	28
1. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები	31
1.1. მედია	32
1.2. პოლიტიკური პარტიები	41
1.3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	46
1.4. სასულიერო პირები	47
1.5. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	48
2. თურქოფობია/ისლამოფობია	50
2.1. მედია	51
2.2. პოლიტიკური პარტია	58
2.3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	64
2.4. სასულიერო პირები	66
2.5. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	67
3. არმენოფობია	70
3.1. მედია	70
3.2.პოლიტიკური პარტია	72
3.3.ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენელი	73
3.4.სასულიერო პირები	73
3.5.საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	73
4. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	74
4.1. მედია	77
4.2.პოლიტიკური პარტია	82
4.3.ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	83
4.4.სასულიერო პირები	84
4.5.საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	85
שאו אמבא שא ביז אשארבשאומטאט	00

CECECABCIOP CP NECONALU

ცხრილი 1.	სიძულვილის ენა და ქსენოფობიის სხვადასხვა გამოვლინება	6
ცხრილი 2.	სიძულვილის ენა და ქსენოფობია მედია საშუალებების მიხედვით	7
ცხრილი 3.	სიძულვილის ენა და ქსენოფობია პოლიტიკური პარტიების მიხედვით	8
ცხრილი 4. ცხრილი 5.	ქსენოფობიური გამოხატვის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით რელიგიური თემატიკა ნეგატიურ კონტექსტში მედია საშუალებების	32
	მიხედვით	78
დიაგრამა 1.	სიძულვილის ენა და ქსენოფობია წყაროების მიხედვით	6
დიაგრამა 1.1.	სიძულვილის ენის წყაროები	12
დიაგრამა 1.2.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	13
დიაგრამა 1.3.	სიძულვილის ენა, შუღლის გაღვივება და ძალადობისკენ წახალისება პოლიტიკური პარტიების და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების	
	მიხედვით	19
დიაგრამა 1.4.	ქსენოფობიის წყაროები	28
დიაგრამა 1.5.	ქსენოფობიის ტიპოლოგია	29
დიაგრამა 1.6.	ქსენოფობიის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით	30
დიაგრამა 1.7.	ქსენოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა წყაროების	
	მიხედვით	32
დიაგრამა 1.8.	ქსენოფობიის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	42
დიაგრამა 2.1	თურქოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა წყაროების	51
დიაგრამა 2.2.	მიხედვით თურქოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა მედია	0
(0108(1)000 2.2.	საშუალებების მიხედვით	5′
დიაგრამა 2.3.	თურქოფობიის/ისლამოფობიის წყაროები პარტიების მიხედვით	58
დაიგრამა 2.4.	თურქოფობიის/ისლამოფობიის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	58
(001)8(1)000 2.4.	თურერფობიიგიალაბოფობიია ტიბოლოგია ბარტიებია ბიბედვით	JC
დიაგრამა 3.1.	არმენოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა წყაროების	70
	მიხედვით	70
დიაგრამა 4.1.	სხვადასხვა კონფესიების რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	
	წყაროების მიხედვით	75

บบรบยวยยายาย

შესავალი


სიძულვილის ენა გამოხატვის ფორმაა, რომელიც მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ რომელიმე სოციალური ან ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, როგორიცაა რასა, გენდერი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, ნაციონალობა, რელიგიური აღმსარებლობა ან მისი არქონა, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ენა, იდეოლოგია, სოციალური კლასი, საქმიანობა, გარეგნობა, მენტალური შესაძლებლობები და ა. შ.

კონკრეტული ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების და სექსუალური იდენტობის საფუძველზე გამოხატულ სიძულვილის ენას ჩვენ ფართოდ ქსენოფობიის თავში და ჰომოფობიის ნაწილში განვიხილავთ, რომელიც ამ გამოცემის სერიაში ცალკე არის შესული. წინამდებარე თავში კი წარმოდგენილია სიძულვილის ენა, რომელსაც მედია
და რესპონდენტები მეტწილად პოლიტიკური ჯგუფების ან გარკვეული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა
ჯგუფების მიმართ იყენებდნენ, მათი აქტივობის ან საჯაროდ გამოხატული მათთვის მიუღებელი შეხედულების საფუძველზე; ასევე განხილული იქნება გარკვეული ჯგუფებისადმი კუთვნილების გამო ინდივიდუალური შუღლის
გაღვივების შემთხვევები და ძალადობისკენ მოწოდებები, რომელიც ასევე მათდამი შეუწყნარებლობით არის მოტივირებული ან უკავშირდება ამ ჯგუფების წარმომადგენელთა ცალკეულ აქტივობებს.

მთავარი მიგნებები

- როგორც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, გარდა ცალკეული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისა, შეუწყნარებლობის ენა სხვადასხვა ფორმით მეტწილად ნაციონალური მოძრაობის და ლგბტ ჯგუფების, ასევე ცალკეულ შემთხვევებში, ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის, კონკრეტული ინდივიდების (ინდივიდუალური შუღლის გაღვივება), დასავლეთის, უკრაინელი მეომრების და სხვათა მიმართ იყო გამოხატული;
- ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოიყოს ე.წ. "ლიბერასტები", რაც გაზეთ "ასავალ-დასავალის" მიერ დამკვიდრებული ტერმინია და "ლიბერალის" და "პედარასტის" ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს და არა იმდენად ადამიანის სექსუალურ იდენტობას, არამედ ლიბერალურ ღირებულებებს და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე სამოქალაქო პოზიციას უკავშირდება;
- მედია საშუალებებიდან შეუწყნარებლობის მხრივ ყველაზე გამორჩეული გაზეთი "ასავალ-დასავალი" იყო; ხოლო ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი" დაუსაბუთებელ ფაქტებზე დაყრდნობით (ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა საქართველოსა და უკრაინაში), ასევე ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციით (რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიის საფრთხედ წარმოჩენა) დასავლეთის და ამერიკის მიმართ შუღლის გაღვივებას ცდილობდა;

- 17 მაისს ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ სასულიერო პირების და მრევლის მიერ დაგეგმილ მსვლელობასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციაში მონაწილეობისკენ მოწოდების გაზეთ "რეზონანსის" პირველ გვერდზე გამოქვეყნება სოციალური შუღლის გაღვივების მცდელობად იყო შეფასებული;
- პოლიტიკური პარტიები სიძულვილს მეტწილად ნაციონალური მოძრაობის მიმართ აღვივებდნენ, ხოლო პოლიტიკური თანამდებობის პირები (1 მინისტრი და 1 მინისტრის მოადგილე) როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე ლგბტ პირების მიმართ, მათ შორის ძალადობის წახალისების გზით.
- სასულიერო პირების შემთხვევაში, სიძულვილის ადრესატი მეტწილად ლგბტ პირები იყვნენ, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები კი როგორც ამ ჭგუფის, ასევე ნაციონალური მოძრაობის მიმართ იყვნენ შეუწყნარებლები.



დიაგრამა 1.1. სიძულვილის ენის წყაროები


1. രാജവാ

სიძულვილის ენის, შუღლის გაღვივების და შეუწყნარებლობის საფუძველზე ძალადობის წახალისების მხრივ ყველაზე მეტ შემთხვევას ბეჭდვით მედიაში (31) ვხვდებით, რასაც მოსდევს ონლაინ (9) და სატელევიზიო მედია (4). ქვემოთ მოცემულ ცხრილში სამივე კატეგორიის გამოხატვა ჯამურად არის მოცემული.

სიძულვილით მოტივირებული გამოხატვის მხრივ ყველაზე გამორჩეული გაზეთი "ასავალ–დასავალი" იყო — 25, მას მოსდევს ინტერნეტ პორტალი საქინფორმი — 8, გაზეთი "კვირის ქრონიკა" — 5; გაზეთი "რეზონანსი" — 1, მედია–კავშირი "ობიექტივი" — 3; ტელეკომპანია "კავკასია" — 1 და ინტერნეტ–პორტალი Geworld.ge — 1.

შენიშვნა: მედია–კავშირ "ობიექტივის" შემთხვევაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ წამყვანების დისკრიმინაციული გამოხატვა, არამედ მაყურებელთა სატელეფონო ჩართვების დროს გამოთქმული შეხედულებები, რადგან ეთერში ძირითადად რესპონდენტების ერთგვაროვანი მოსაზრებები გადის, რასაც თავად გადაცემის წამყვანები ეთანხმებიან.

დარღვევების ტიპოლოგიის მიხედვით კი ასეთი სურათი იკვეთება:



დიაგრამა 1. 2. სიძულვილის ენის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით

COMPLE UDUENTA

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ"

გაზეთი "ასავალ-დასავალი", სადაც დარღვევების ყველაზე მეტი შემთხვევა იკვეთება, შეუწყნარებლობას მეტწილად ნაციონალური მოძრაობის (15) მიმართ აღვივებდა. შემდეგ მოდიან ლგბტ პირები (3) და ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი (3). ასევე ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ, თავად "ასავალ-დასავალის" მიერ დამკვიდრებული ტერმინის შესაბამისად, ე.წ. "ლიბერასტები", რაც სიტყვების "ლიბერალის" და "პედარასტის" კომბინაციას წარმოადგენს და არა იმდენად სექსუალურ იდენტობას, არამედ ლიბერალური ღირებულებების მქონე ადამიანებს შეეხება, რომელთაც ჩვენ პირობითად ლიბერალებად მოვიხსენიებთ და მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების 3 შემთხვევას გამოვყოფთ. სიძულვილის ენა ასევე გამოხატული იყო დასავლეთის (1) მიმართ.

ცალკეული მაგალითები სიძულვილის ენის ადრესატების მიხედვით:

ძალადობის წახალისება ლგბტ პირების მიმართ

- გიორგი გიგაური: "ანუ ჩვენი ძველი ნაცნობის ჯონ მაკ-კეინის თანაპარტიელმა სკოტ ესკმა, მიკიბულ-მოკიბუ—
 ლად, მაგრამ მაინც აღიარა, რომ მამათმავლების ქვებით ჩაქოლვა "სავსებით სამართლიანი" სასჯელი გახლ–
 დათ!" (23–29 ივნისი, 2014).
- დიმიტრი ჩუბინიძე: "რაც დედაოების შესახებ ამ მართლაცდა "ქათმების" თუ მესაჯდომეების ბრიგადირმა ირაკლი ვაჭარაძემ განაცხადა, იმისთვის ვინმემ ვაჭარაძეს პასუხი, რომ მოსთხოვოს, როგორ ფიქრობთ ის "ტერორისტი" იქნება?" (19–25 იანვარი, 2015).
- დიტო ჩუბინიძე: "პირველ რიგში თუ ვინმეა ლიკვიდაციის და განადგურების ღირსი ის ის ნაძირალა... მამათმავლობაში მხილებული მამუკა ხვედელიანი"... (ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 იანვარი, 2015).

ძალადობის წახალისება ნაციონალური მოძრაობის მიმართ

- დიტო ჩუბინიძე: "მიაფურთხეთ ეშმაკს და მოაჭერით თავები ბოკერია-თარგამაძის სექტას!.. თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ... დაიწყება ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, უფრო სწორად სისხლისღვრა პატიოსან, მართლმადიდებელ საქართველოსა და ბინძურ სექტას შორის, რომლის შედეგებიც სავალალო იქნება!" (27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, 2014).
- 🔵 "სანამ გადაგვწვავს, გააგორეთ [მიხეილ სააკაშვილი]!" (31 მარტი-6 აპრილი, 2014).
- დიტო ჩუბინიძე: "ვინც 26 ათასი ქართველი მამაკაცი გააუპატიურა და ხალხს უკანალში ცოცხი გაურჭო, ის ხალხი სწორედაც ღირსია სარზე წამოაგო და მერე ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური შტაბის კედელზე ააყუდო აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე!" (ასავალ-დასავალი, 11-17 აგვისტო, 2014).

სიძულვილის ენა ნაციონალური მოძრაობის მიმართ

o გიორგი გიგაური: "შეიძლება, ნაცი ადამიანად ჩაითვალოს?!" (21-27 აპრილი, 2014).

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება

 დიტო ჩუბინიძე: "მოაშორეთ [მიმართავს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს] საქართველოს მამათმავლებისა და 8ონდერ გამაუპატიურებლების უსტაბაშის — აქოთებული მიხეილ სააკაშვილის პარტიული დროშა, ღერბი და ჰიმნი!" (20-26 ოქტომბერი, 2014).

მწერალ ზურაბ ქარუმიძის მიმართ ინდივიდუალური შუღლის გაღვივება მის ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომან "მელია–ტულეფია: Foxtrot"–ს და აქედან გამომდინარე, დიდ ბრიტანეთში ელჩის თანამდებობაზე მისი კანდიდა–ტურის წარდგენის მიუღებლობას ეხებოდა.

დიტო ჩუბინიძე: "აი, ამ სამი ვაჟბატონის [ზურა ქარუმიძე, ზაზა ბურგულაძე და ლაშა ბუღაძე] ლესბო-ჰომოსექსუალური და ზოოფილური სიბილწით გაკერებულ ნაგავს ეცნობა მთელი ბრიტანეთი და ევროპა... როგორ
ფიქრობთ, ყველაფრის წამკითხავი და მჩხიბავი ევროპელი უსტაბაშები ამის შემდეგ არ დაგვაძალებენ "პედერასტების კანონს" (26 მაისი – 1 ივნისი, 2014).

სიძულვილის ენა ლიბერალების მიმართ

გიორგი გიგაური: "ათასწლიანი ქართული ეკლესია სრულიად საქართველოს მობილიზაციას ახდენს დაუნდობელი და უსასტიკესი ლიბერასტულ-გლობალისტური ინტერნაციონალისა და მათი აქაური "ხელის გოგობიჭების" გენერალური შეტევის მოსაგერიებლად!.. მათი მიზანი კი ნათელია და ის ჯერ კიდევ ალენ დალესის
დოქტრინაში გაჟღერდა! ამას ტოტალური ურწმუნოება და ადამიანის ცხოველად გადაქცევა ჰქვია!" (24 თებერვალი – 2 მარტი, 2014).

სიძულვილის ენა დასავლეთის მიმართ

გიორგი გიგაური: "განსაკუთრებით გონება-შეზღუდული ნაცებისა და ნაცმიდრეკილი ლიბერასტებისთვის კი განვმარტავ: ეს სისხლიანი "კიევური კატლეტი" სწორედ იმ ევროამერიკელი გურმანი კანიბალების შეკვეთილი იყო, უკრაინის ორად გახლეჩისა და ნაწილის მისაკუთრების ავადმყოფურ გეგმებს რომ ატარებენ გულით!... სტალინმა კაცობრიობა არა მხოლოდ ნაცისტური ჭირისგან გადაარჩინა, არამედ მან პირადად, დიდი ხნით გადაავადა ეს ამაზრზენი კაცთმოძულე გლობალისტური კიბო, რომელიც ჰიტლერულ ნაციზმზე არანაკლები უბედურებაა ადამის მოდგმისთვის" (24 თებერვალი-2 მარტი, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲥᲐ"

ძალადობის წახალისება

გაზეთი ძალადობის წახალისებას არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის (3), არამედ ილიას უნივერსიტეტის პროფესორის ნოდარ ლადარიას (1) და საპატრიარქოსთან გამართული აქციის (საპატრიარქოს დაქლორვა-დე-ზინფექცია) მონაწილეთა (1) მიმართაც გამოხატავდა.

ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

- **გელა ზედელაშვილი:** "... კი, მაგრამ სად არიან ცხოველთა უფლებების დამცველები? რატომ არ ჩაქოლავენ ამ ოღრაშ ლადარიას?" (22–28 სექტემბერი, 2014).
- ნინო სამხარაძე: "მიშას [სააკაშვილს] უკრაინელი კრიმინალები ქართველი ლონდრე "ძველი ბიჭები" ჰგონია... ქართველო ჩიკატილო, მინდა გაგაფრთხილო, რომ სწორედ მაგ უკრაინაში შეგაჭმევინებენ საკუთარ ხორცს და მერე მაგ ბოროტ თავს დაგაჭერინებენ საკუთარ ხელში!" (15 დეკემბერი, 2014).
- ხათუნა ელბაქიძე: "ხალხი "ფეისბუკით" ულოცავდა ერთმანეთს წიკლაურის ცემას, გახარებული და აღტაცებული იყო იმით, რომ წიკლაურმა, ბოლოს და ბოლოს, ის მიიღო, რაც ეკუთვნოდა" (7–13 აპრილი, 2014).

გაგეთი "რეგონანს**ი**"

სოციალური შუღლის გაღვივება

გაზეთმა "რეზონანსმა" 17 მაისს პირველ გვერდზე სასულიერო პირების და მრევლის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ დაგეგმილ მსვლელობასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციაში მონაწილეობისკენ მოწოდება დაბეჭდა. ორგანიზაცია "იდენტობამ" გაზეთის ეს გადაწყვეტილება საქართველოში სოციალური შუღლის გაღვივების მცდელობად შეაფასა².

לחשבבה פחלקפת

საძინფორმი

ინტერნეტ პორტალ "საქინფორმის" 8 შემთხვევიდან 4 შუღლის გაღვივებისკენ იყო მიმართული, 4 კი – ძალადობის წახალისებისკენ.

შუღლის გაღვივება

საქინფორმი შუღლის გაღვივებას ამერიკელების მიმართ ახდენდა, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის შესახებ დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელების გზით.

სათაური: "არდაბრუნების წერტილი და რიჩარდ ლუგარის სახელობის სიკვდილის ფაბრიკა" (5 მაისი, 2014).

http://17mai.si/2014/05/16/rezonansi-2/comment-page-1/

ინტერნეტ–პორტალი შუღლს უკრაინელების მიმართაც აღვივებდა, ავრცელებდა რა დაუსაბუთებელ ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ უკრაინის არმიაში უცხოელი ექიმების მონაწილეობით ადამიანთა ორგანოების ამოკვე– თას ახდენდნენ. ამ ფაქტს გამოცემა, ერთი მხრივ, გაზეთ "ასავალ–დასავალის" ვერსიასთან აკავშირებდა, რომლის თანახმადაც, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობას საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი ახორციელებდა და მეორე მხრივ, ევროინტეგრაციის პროცესთან:

"მემარჯვენე სექტორსა და უკრაინის არმიაში გამოჩნდნენ უცხოელი ექიმები სპეცაღჭურვილობით, რომლებიც მოკლულთა და მძიმედ დაჭრილთა ორგანოების ამოკვეთას ეწეოდნენ.... ძალიან დიდია იმის ალბათობა,
რომ ევროინტეგრაციის ზოგიერთი მომხრე ევროპაში სხვებზე ადრე აღმოჩნდება, ოღონდ ნაწილ-ნაწილ" (24
ივნისი, 2014).

გამოცემა შუღლს ასევე ქართველებსა და რუსებს შორის აღვივდებდა აღვივებდა:

არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი: "ფაშისტები უკვე საქართველოში არიან! ხვალ ისინი ჩვენს სახლებში შემოიჭრებიან და მოხუცებს მკერდიდან გეორგიევსკისლენტიან დიდების ორდენებს ჩამოგლეკენ — ისე, როგორც დღეს ატერორებენ რუს ტურისტებს, რომლებიც მალე საქართველოში აღარ იქნებიან! ჩაუსაფრდებიან ყველას, ვინც რუსულად ლაპარაკობს და ვინც პრორუსად მიაჩნიათ, ყოველმხრივ შეურაცხყოფენ მათ, აწამებენ და იძალადებენ მათ შვილებზე!.." (27 აგვისტო, 2014).

"ასავალ–დასავალთან", "ევრაზიის ინსტიტუტთან" და მედია–კავშირ "ობიექტივთან" ერთად გამოცემამ 2014 წლის 26 მარტს ასევე გაავრცელა კონსპირაციული განცხადება იმის შესახებ, რომ სააკაშვილთან დაკავშირებული ჭგუ-ფები საქართველოში გავლენიან პირებს, განსხვავებული შეხედულებების ადამიანებს დახოცავდნენ:

"სხვაგვარად მოაზროვნეებთან ანგარიშის გასასწორებლად სააკაშვილის დაბრუნების წინ, რაც მან კიდევ ერთხელ დააანონსა გუშინ, თავის ამაზრზენ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-თან ინტერვიუში, ამ ადამიანებს დახოცავენ — ზოგს საკუთარ სახლებში, სხვებს ქუჩაში ზურგში ესვრიან, დანარჩენები ავტოკატასტროფებში ან
ვერაგულად დანით დაჭრილები დაიღუპებიან, ანდა მათ ბრბო ჩაქოლავს" (26 მარტი, 2014).

ძალადობის წახალისება

ძალადობის სამიზნეები აფხაზები და ოსები, Pussy Riot-ის წევრები, უკრაინის პრემიერი არსენ იაცენუკი და უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრ ტურჩინოვი და ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ.

 "გადი [მიმართვა უკრაინაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეებისადმი] ტყეში, დაიწყე პარტიზანული ბრძოლა საქართველოში, დახოცე აფხაზები და ოსები, ნუ მოკვდები დაქირავებულ მებრძოლად დონეცკის აეროპორტში დოლარების გამო!" (29 იანვარი, 2015).

- "ყოჩაღ, კაზაკებო!" [სათაური] "ყუბანელმა კაზაკებმა სოჭში ჩაშალეს პანკ-ჯგუფ Pussy Riot-ის გამოსვლა... სოლისტებს ნადეჟდა კოლოკონიკოვას, მარია ალიოხინას და მათ თანამოაზრეებს კაზაკებმა მათრახებით სცემეს და გამოიყენეს წიწაკის გაზი" (21 თებერვალი, 2014).
- "აი ამისათვის იაცენიუკი და ტურჩინოვი უნდა მოკლა. ჩაქუჩი ჩასცხო თავში", დაწერა სოცქსელებში ლევგუმილიოვის ცენტრის დირექტორმა პაველ ზარიფულინმა და დადო ბმული დეტექტიური სახელწოდებით "იაცენიუკმა სკვითების ოქრო ამერიკაში გაიტანა" (17 მარტი, 2014).
- არნო ხიდირბეგიშვილი: "ამ კალათებისთვის მარტო პატიმრობა არ კმარა ძალიან მალე სახალხო მოთმინების ფიალა აივსება და მიშისტებს ლინჩის სასამართლო ელოდება! ეს თვეების კი არა, დღეების საკითხია" (20
 ოქტომბერი, 2014).

GEWORLD.GE

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება ნაციონალური მოძრაობის ცალკეული წევრების მიმართ იყო გამოხატული, პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, რა დროსაც, თავად წიკლაურის განცხადებით, ელექტროშოკის გამოყენება მოხდა.

დავით მინდიაშვილი: "რაც შეეხება ელექტროშოკს, შენი [ნუგზარ წიკლაური] წონის ღორი იპოვე სადმე (არ გაგიჭირდება) და იმას მიადე ელექტროშოკი ერთხელ და ნახავ, რა დღეში ჩავარდება. ღორს თუ ვერ ნახავ, გივი თარგამაძეზე ჩაატარე ექსპერიმენტი"... (2 აპრილი, 2014).

CORDE MARCHAECECT

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲗᲝᲥ-ᲨᲝᲣ "ᲓᲐᲛᲘᲡ Ს**Ტ**ᲣᲓᲘᲐ"

მედია–კავშირ "ობიექტივის" შემთხვევაში ძალადობის წახალისება (2) ნაციონალური მოძრაობის, ხოლო შუღლის გაღვივება (1) ლგბტ პირების მიმართ ხდებოდა.

ძალადობის წახალისება

- ბონდო მძინარაშვილი: "მე ვეთანხმები მაგას, გამოვიდეს ქუჩაში [მოსახლეობა] და მოითხოვოს კატეგორიულად ნაციონალი დამნაშავეების დასჯა, ჩაქოლვითაც კი..." (6 სექტემბერი, 2014).
- ტელემაყურებელი: "...ეგენი [ნაციონალური მოძრაობა] არიან სადისტურ-მანიაკალური ბანდა და მათ მიმართ არის დასაშვები ყველაფერი" (4 ივლისი, 2014).

შუღლის გაღვივება

 ტელემაყურებელი: "საერთოდ არ მიმაჩნია ეს ჰომოსექსუალისტები ავადმყოფობად რა, ესენი არიან ჩვეულებრივი სატანის მიმდევრები და ეშმაკის მიმდევრები. ესენი არიან ძირფესვიანად ამოსაძირკვი ადამიანები. პიროვნებებიც არ არიან რა" (18 მაისი, 2014).

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ, ᲗᲝᲥ-ᲨᲝᲣ "ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲘ"

შუღლის გაღვივება


დავით აქუბარდია: "წასულიყვნენ აფხაზეთში გადასულიყვნენ და იქ ეპარტიზანათ, კაცო... რაღა იქ იბრძვიან [უკ-რაინაში)], აქ იბრძოლონ, წავიდნენ და მოსკოვში მოაწყონ, ჩეჩნებმა რაც ააწიოკეს რუსები" (9 თებერვალი, 2015).

2. 3നമവകവാണ ദാന്ത്രവ

პოლიტიკური პარტიებიდან სიძულვილის ენის, შუღლის გაღვივების და შეუწყნარებლობის საფუძველზე, ძალადობის წახალისების მხრივ ქართული ოცნება აქტიურობდა, მეტწილად პოლიტიკური ოპონენტების მიმართ (14); შემდეგ ადგილზე მოდის სახალხო კრება (11); პატრიოტთა ალიანსი (2); ბურჯანაძე–გაერთიანებული დემოკრატები (1); ლეიბორისტული პარტია (1); თავისუფალი საქართველო (1).

შენიშვნა: პოლიტიკურ პარტიებთან ერთად დავაჯგუფეთ საზოგადოებრივი მოძრაობა "სახალხო კრებაც", რომელიც ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციასთან აფილირებული ჯგუფია.

დიაგრამა 1.3. სიძულვილის ენა, შუღლის გაღვივება და ძალადობისკენ წახალისება პოლიტიკური პარტიების და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების მიხედვით



ഗ്കാലെ വയ്യാ

მმართველი პოლიტიკური გუნდის "ქართული ოცნების" წარმომადგენლები ძალადობის წახალისებას ძირითადად ნაციონალური მოძრაობის მიმართ ახდენდნენ (6), მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო ადრესატი პარტია "თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენელი; სიძულვილის ენის გამოვლენის ოთხივე შემთხვევა ნაციონალურ მოძრაობას შეეხებოდა; ხოლო ინდივიდუალური შუღლის გაღვივების 2 შემთხვევიდან ერთი საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლის, ხოლო მეორე — მწერალ ლაშა ბუღაძის მიმართ იყო გამოხატული; ეთნიკური შუღლის გაღვივება კი ერაყელების მიმართ ინდივიდუალური კრიმინალის საფუძველზე ხდებოდა.

ცალკეული მაგალითები:

ეთნიკური შუღლის გაღვივება

სოსო კაჭვლიანი: "თუნდაც იმაზე ვიტყვი, ერთი ამბავი რომ ატეხეს ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, ამ კანონის მიღებამდე, ორი დღით ადრე, საბურთალოზე 15 წლის ბიჭი სამმა ერაყელმა რომ იხმარა და ჩვენმა ტელევი-ზიებმა გადასცეს, სად იყო მაშინ ჩვენი საზოგადოება? სამ დღეში ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა მიგვე-ღო... აბა, გამოსულიყო 200 ათასი კაცი და პასუხი მოეთხოვა იმ 3 ერაყელისთვის. მერე აღმოჩნდა, თურმე ესენი აგენტებიც ყოფილან" (ალია, 20-23 ივნისი, 2014).

სიძულვილის ენა ნაციონალური მოძრაობის მიმართ

 ირაკლი ღარიბაშვილი: "ყველამ ნახეთ, როგორ აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ბიჭებს, კაცებს. ქართველი კაცის გაუპატიურება მოიტანა "ნაციონალურმა მოძრაობამ"!" (ნეტგაზეთი, 18 მაისი, 2014).

ძალადობის წახალისება

- მურმან დუმბაძე³: "ეს [პარტია "თავისუფალი საქართველოს" ხელვაჩაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მერაბ ღოღობერიძე] არის ფსიქიკურად დაავადებული, ავადმყოფია ეს კაცი... დაგისახელებთ გვარებს, სახელებს ვინც ბოლო სამი დღის განმავლობაში ეს კაცი ცემა... დედას ვინც შეგაგინებს, იმას პასუხი უნდა გასცეთ... მე არ ვუკრძალავ არც ჩემს შვილს, არც ჩემს ძმას, არც ჩემს მეგობარს, არც მხარდამჭერს, არც ნებისმიერ მოქალაქეს, დედის შემგინებელი ადამიანი უნდა იცემოს" (რუსთავი 2, იმედი, 10 მარტი, 2014).
- სოსო კაჭვლიანი: "იცით რა, ამ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით, "ნაციონალები" პარლამენტიდან ცემა-ტყეპით რომ გამოგვეყარა... ხალხი იმდენადაა სამართლიანობას მოწყურებული, რომ სისხლის დანახვა უნდა. ერთმა მითხრა კიდეც, "ნაციონალები" რატომ არ დაასისხლიანეო" (კვირის პალიტრა, 27 იანვარი, 2015).

³ აღნიშნული განცხადების გაკეთების დროს მურმან დუმბაძე კოალიცია "ქართული ოცნების" წევრი იყო. კოალიციის დატოვების შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ.

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება

- გოგი თოფაძე: "საიდანღაც ჩამოსული [საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი]... ბანანების ქვეყანა გაგვხადა... შენ, რო არ დაგსვეს ბოთლზე, მაშინ იყავი ღირსი და მაშინ ამდენს არ იქაქანებდი... მაშინ ამოეღო ამ ურჯულოს ხმა, კაცო" (კავკასია, სპექტრი, 27 მარტი, 2014).
- სოსო კაჭვლიანი: "ეს [ლაშა ბუღაძე, მწერალი] წმინდანის გამათახსირებელი არარაობა... ეს ნაძირლები [ქარ-თველი მწერლები] სწორედ ქართული სიწმინდეების, სულიერების, მართლმადიდებლობის, დედა-ეკლესიის გათახსირებაში იღებენ ფულს! ესენი არიან ალენ დალესის იდეოლოგიური ნაბიჭვრები და მისი უბინძურესი დოქტრინის აღამასრულებლნი!" (ასავალ-დასავალი, 31 მარტი 6 აპრილი, 2014).

しびしひにんしん ひんりんしんしん

ძალადობის წახალისების 4 შემთხვევიდან ერთის ადრესატი ლგბტ პირები იყვნენ, მეორის — ზოგადად ისინი, ვინც მართლმადიდებლობას ებრძვიან, ხოლო დანარჩენ 2 შემთხვევაში — ნაციონალური მოძრაობის წევრები. სიძულ-ვილის ენა ოთხივე შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო ინდივიდუალუ-რი შუღლის გაღვივება, როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე "ქართული ოცნების" წარმომადგენლის და მწერალ ზურაბ ქარუმიძის მიმართ ხდებოდა.

ცალკეული მაგალითები:

სიძულვილის ენა ნაციონალური მოძრაობის მიმართ

 ელიზბარ ჯაგელიძე: "ნაცები", ადამიანები კი არა, ერთ ყალიბში ჩამოსხმული ეშმაკები არიან, დედის მუცლიდან შობილი არ არის არც ერთი... ადამიანს ცხოველისგან ზნეობა და მორალი განასხვავებს, "ნაცები" კი ცხოველებისგან არ განსხვავდებიან" (Geworld.ge, 18 თებერვალი, 2015).

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება

- ელიზბარ ჯაველიძე: "ვანო მერაბიშვილი 26 მაისის გამო უნდა დაისაჯოს, როგორც კანიბალი" (ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი – 2 მარტი, 2014).
- ელიზბარ ჯაველიძე: "ლევან ბერძენიშვილი იეღოველების ნაძვის ხეზეა ჩამოსაკიდებელი მსგავსი ანტიქართუ-ლი გამოთქმებისთვის!" (ასავალ–დასავალი, 29 დეკემბერი 11 იანვარი, 2015).

ძალადობის წახალისება

• ელიზბარ ჯაგელიძე: "მე ცხოვრებაში ქათამიც არ დამიკლავს, მაგრამ ამ კბენარებმა ისე შემაბეზრეს , რომ მზად ვარ კალმით ამოვჩხვლიტო თვალები ყველა ნაცსა და ნაცმიდრეკილს!.. ზურაბ ჭიაბერაშვილის ცემა კი სადღაც 20 წლით დააგვიანა! რატომ? იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ მაშინ უნდა ეცემათ, როცა "ქართლის დედა" შეურაცხყო!" (ასავალ-დასავალი, 2-8 ივნისი, 2014).

ელიზბარ კაველიძე: "ლგბტ" საზოგადოების საქართველოში დაფუძნებას არასოდეს შევეგუები! მეზიზღებიან
ასეთი ადამიანები, სადაც შემხვდებიან იქ გავუსწორდები ფიზიკურად თუ სულიერად!" (კვირის ქრონიკა, 30
ივნისი – 6 ივლისი, 2014).

UPSU SOM BUSH

სხვა პარტიების გამოხატვაც ძირითადად ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული:

პატრიოტთა ალიანსი – ძალადობის წახალისება (2):

 გაჟა ოთარაშვილი: "უნდა ჩაქოლო იმ 15-ში [ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული აქცია "არა ოკპაციას], ვინც გამოვა იქა!" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 ოქტომბერი, 2014).

ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია – სიძულვილის ენა (1):

• ჯონდი ბაღათურია: "ნაციონალური მოძრაობა არის სიმსივნე, რომელსაც მეტასტაზები გაშვებული აქვს..." (ასა-ვალ-დასავალი, 20–26 ოქტომბერი, 2014).

თავისუფალი საქართველო – ძალადობის წახალისება (1):

 ალექსანდრე შალამბერიძე: "ნაციონალურ მოძრაობას" შეკრების ადგილიდან პანჩურებით გავყრიდი" (პირველი, 27 ოქტომბერი, 2014).

ერთადერთი გამონაკლისი იყო ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ძალადობის წახალისებას ბორჯომის პოლიციის ყოფილი უფროსის მიმართ ახდენდა.

 გიორგი გიუაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: "მაგის ოჯახის წევრებმა გაგვაშველეს, თორემ ხვედელიანს, როგორც გველს, ისე გავუჭეჭყავდი თავს ქვით" (ასავალ-დასავალი, 9-15 თებერვალი, 2015).

3.63PNLJBPGATON ANDENE CA UACEFWE 1UREJBETUNDS 9.8

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲰᲐᲠᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲔ

მოქმედი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სიძულვილით მოტივირებულ გამოხატვას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრი (2), დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (3), ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის პრორექტორი (1), რომელიც ამჟამად ქართული ოცნების სიით საქართველოს პარლამენტის წევრია, მიმართავდნენ.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრი დიმა ჯაიანი ძალადობის წახალისებას ლგბტ პირებისა და ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ ახდენდა:
- დიმა ჯაიანი: "არაკაცებო! ჭკუიდან ნუ გადაიყვანეთ ხალხი, თორემ შარშანდელი 17 მაისი მონაგონი იქნება! ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ 17 მაისს კინოთეატრი "რუსთაველი"... მამათმავლობის აპოლოგიით არ წაიბილწოს!" (ასავალ-დასავალი, 21-27 აპრილი, 2014).
- დიმა ჯაიანი: "მის [ვანო მერაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი] დასაკლავად გამზა-დებული ხალხის უზარმაზარი რიგი დგას უკვე!.. ხალხი ამ ხროვას არ აპატიებს არაფერს!" (ასავალ-დასავალი, 3-6 მარტი, 2014);
 - დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას ილიას უნივერსიტეტის პროფესორის, გია ნოდიას მიმართ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ხოლო ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელის, ირაკლი ვაჭარაძის მიმართ მის მიერ პატრიარქის კრიტიკის გამო ახდენდა:
- სანდრო ბრეგაძე: "გია ნოდია ადამიანის მსგავსი ცხოველი, რომელსაც სძულს ქართული ეკლესია და ამას დაუფარავი აგრესიით აფიქსირებს... ეს არის მტერი საქართველოსი და ქართველობის მტერი. ძალა, რომელიც სასწრაფო წესით უნდა ამოიშანთოს პოლიტიკური ასპარეზიდან" (ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი — 2 მარტი, 2014).
- სანდრო ბრეგაძე: "სამწუხაროდ, საქართველოში არსებობენ ასეთი ავადმყოფური აზროვნების ადამიანები [ირაკლი ვაჭარაძე, "იდენტობა"], როგორიც ეს ერთუჯრედიანი არსებაა. მათ გულს უხარებთ მართლმადიდებ—ლური, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა... აუცილებლად უნდა დადგეს სამართლებრივი პასუხისმგებ—ლობის საკითხი ამ პიროვნების მიმართ! თუ ასე არ მოხდება, დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ემოციურ ფონზე თავად გამოიყენებს ძალას!.. ასეთი ტიპის ადამიანების საქმიანობა შეზღუ—დული უნდა იქნას, რადგან გარკვეულწილად ექსტრემისტები არიან და ხელს არ უწყობენ ქვეყნის განვითარე-ბას" (კვირის პალიტრა, 25 ოქტომბერი, 2014).

პოლიციის აკადემიის რექტორი, ამჟამად პარლამენტის წევრი, ლუკა კურტანიძე კი ძალადობრივ მოწოდებებს ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ იყენებდა.

ლუკა კურტანიძე: "თუ სააკაშვილს 10 ტყვია მოხვდება, ერთი ტყვია აუცილებლად ლუკა კურტანიძისგან იქნება...
 ეს მარტო სააკაშვილს არ ეხება. მინაშვილს, გაბაშვილს, უგულავას, თაქთაქიშვილს, ხერხეულიძისა და სხვათა სახით, ქვეყანაში ბევრი სააკაშვილია..." (ალია, 15 აპრილი, 2014).

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ

სიძულვილით მოტივირებული 4 შემთხვევიდან 2 ყოფილ პარლამენტარზე, 2 კი ადგილობრივი ხელისუფლების ყოფილ წარმომადგენელზე მოდის. 3 შემთხვევა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ სიძულვილის ენას (1) და ძალადობის წახალისებას შეეხებოდა (2), 1 კი შუღლის გაღვივებას საქართველოს იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც უკრაინაში იბრძვის.

ცალკეული მაგალითები:

სიძულვილის ენა

თენგიზ კუბლაშვილი, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი: "მგლისპირა, კურდღლისტუჩა, ელამი, თვალების
უაზროდ მოტრიალე, ყბაჩუა, ენაბლუ... ასეთი პოლიტიკოსები ქართველებისთვის არახალია. არც სექსუალური
მანია, განდიდებისა და დევნის მანია, სადიზმი, აკვიატებული წარმოსახვები არის უცხო ნაცების ლიდერებისთვის" (Geworld.ge, 14 ნოემბერი, 2014).

ძალადობის წახალისება

 ოლეგ იაძე, კასპის ყოფილი გამგებელი: "პირადად მე, ოლეგ იაძე, კამიკაძე გავხდები. ჩვენნაირი ათამდე ადამიანი მაინც მოიძებნება, რაც საკმარისია, ნაცების და მათი უტიფარი მიზნების დამსახველი ბირთვი, 30-40 კაცი ფიზიკურად გაანადგურონ!" (ასავალ-დასავალი, 13-19 ოქტომბერი, 2014).

შუღლის გაღვივება

გალერი გელბახიანი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი: "5000 ქართველი, რომ გადის ქვეყნიდან... ის სხვა სახელმწიფოს [უკრაინის] სამსახურში რომ დგება, ჩვენი სახელმწიფოს მიმართ არ ექნება კეთილი და-მოკიდებულება... ამიტომ, ჩვენ ეხლა გამოგვდის, რომ გენეტიკურად ქართველების, მტრად მოკიდების მცდელობასთან გვაქვს საქმე" (კავკასია, სპექტრი, 9 თებერვალი, 2015).

4. പാപാമവക്ന ദവകാർ

11 შემთხვევიდან 2 შემთხვევაში სიძულვილის ენა პოლიტიკური ჯგუფების წინააღმდეგ იყო მიმართული (როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე ქართული ოცნების წარმომადგენელთა მიმართ), ინდივიდუალური შუღლის გაღვივების ერთი შემთხვევა ასევე პოლიტიკური კუთვნილებით იყო განპირობებული, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სიძულვილის ენა შუღლის გაღვივება და ძალადობის წახალისება ლგბტ პირების წინააღმდეგ იყო მიმართული. ლგბტ პირების თემატიკა ძირითადად ანტიდისკრიმინაციულ კანონთან და ანტიდასავლურ განწყობებთან იყო დაკავშირებული, ასევე — ტრანსფობიისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორის დღის — 17 მაისის თბილისში აღნიშვნასთან და "იდენტობის" ხელმძღვანელის ირაკლი ვაჭარაძის მიერ პატრიარქთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკასთან.

ცალკეული მაგალითები:

სიძულვილის ენა პოლიტიკური ჯგუფების მიმართ

• ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი: "ყოველთვის გავაკრიტიკებ იმ ტვინგაყინულ გვამთა ერთობას, ვისაც ჰქვია "ოცნება" და "ნაცები" ერთად"... (ალია, 29 აპრილი, 2014).

შუღლის გაღვივება

დავით ლასურაშვილი⁴, დეკანოზი: "ეს [ანტიდისკრიმინაციული კანონი] გამოიწვევს შეხლა-შემოხლას ერში...
 ამ ცოდვების გამო დაისაჯნენ ადამიანები – გოგირდის წვიმით და ცეცხლით" (საზოგადოებრივი მაუწყებელი, 19 აპრილი, 2014).

ძალადობის წახალისება

- ბასილი ახვლედიანი, დეკანოზი: "როდესაც საქართველოს სჭირდებოდა, ეკლესია აკურთხებდა მებრძოლებს, ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეები რომ დაეხოცათ და ქართველი ხალხი და ეკლესია გადაერჩინათ... იოანე ოქროპირი ამბობს: შენ თუ ნახე მგმობარი, მოედანზე გამოსული, მიდი და შეაგონე, მაგრამ, თუ ვერ გაიგო, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო... ჰომოსექსუალიზმიც სატანიზმის ერთ-ერთი ელემენტია" (Geworld. ge, 26 მარტი, 2014).
- ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი: "აი, მაგ ვაგარაძეს მე, პირადად, სადაც ვნახავ, ცხვირ–პირს დავამტვრევ... "ალიას" საშუალებით ვაფრთხილებ, თუ დამინახავს, ქუჩის სხვა მხარეს გადავიდეს და ფრთხილად იყოს, არსად გადამეყაროს!.. ეს იქნება მაგალითი სხვებისთვის, რომ თურმე სჯიან ყველას, ვინც საპატრიარქოს და უწმინდესს აბუჩად და მასხრად იგდებს..." (ალია, 16–19 იანვარი, Geworld.ge, 18 იანვარი, ასავალ–დასავალი, 19–25 იანვარი, 2014).

5. სპ&ოგპლოეგის სხვპ წპრგოგპლგენნეგი

42 შემთხვევიდან 19 შეიძლება მივაკუთვნოთ სიძულვილის ენას, რომელთაგან 9 ნაციონალური მოძრაობის წევრების, 6 ლგბტ პირების, 2 დასავლეთის და ამერიკის მიმართ, 1 უკრაინელი მებრძოლების, 1 ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის მიმართ იყო გამოხატული; ძალადობის წახალისების 16 შემთხვევიდან 10 ნაციონალური მოძრაობის წევრების, 3 ლგბტ პირების, 2 მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლების, 1 კი რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი ხალხის მისამართით იყო გამოხატული; ინდივიდუალური შუღლის გაღვივების 7-ვე შემთხვევა ნაციონალური მოძრაობის ცალკეულ წევრებს უკავშირდებოდა.

ცალკეული მაგალითები ადრესატების მიხედვით:

სიძულვილის ენა ნაციონალური მოძრაობის მიმართ

- გიორგი შენგელაია, რეჟისორი: "ბევრს ეგენი პოლიტიკურ პრობლემად მიაჩნია, მე კი ნაცებს ვუყურებ, როგორც ბიოლოგიურ პრობლემას!" (ასავალ-დასავალი, 14-20 ივლისი, 2014). "ნაციონალურ მოძრაობაში" ფიზიოლოგიურად და გამომეტყველებით ყველა ერთნაირად ბოროტია" (რეზონანსი, 9 ივლისი, 2014).
- ლელიკო ჯაფარიძე, მომღერალი: "...გვეზიზღება ნაციონალები, გული გვერევა მათზე. ნაციონალების დანახვას მირჩევნია, გველი დავინახო და საწამლავი დავლიო!" (ასავალ-დასავალი, 23-29 ივნისი, 2014).

სასულიერო პირი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ რელიგიური რიტუალის კომენტატორად იყო მიწვეული.

კობა არაბული, პოეტი: "ივანიშვილმა სააკაშვილის ტვინიდან (სატანის თავიდან) ამოსული მაიმუნები შეიწყა-ლა, ზოგი მათგანი მაიმუნადვე დარჩა, ხოლო ზოგი ხვლიკად, გიენად და ბეჰემოთად იქცა და ყველანი ერთად მასვე დაესივნენ, ვინც შეიწყალა!" (ასავალ-დასავალი, 29 სექტემბერი-5 ოქტომბერი, 2014).

ძალადობის წახალისება ნაციონალური მოძრაობის მიმართ

- ხათუნა ჟორდანია, მომღერალი: "რაც შეეხება 10-ლარიან დაუბანელ, ბინძურ, ნაციონალების მარიონეტებს... როგორც მე სადაც დაინახავთ ამ აყროლებულებს ურტყით, ჩაქოლეთ, აფურთხეთ და არ დაგავიწყდეთ პანჩურები"... (რეპორტიორი, 22 ოქტომბერი, კვირის ქრონიკა, 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, 2014).
- რეზო ამაშუკელი, პოეტი: "პირველი დანაშაული ის არის, რომ პირველ დღეს არ გაჟუჟეს ესენი [ნაციონალე-ბი]..." (ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 იანვარი, 2015).
- რეზო ამაშუკელი, პოეტი: "ეგ [გიგა ბოკერია] უნდა გაიჭეჭყოს, როგორც გველის თავი!.. ქობულეთში მეჩეთის კარზე ღორის თავი რომ დავინახე მიჭედებული, გული გამისკდა, ვიფიქრე, ნუგზარ წიკლაური ხომ არ დაკლეს-მეთქი!" (ასავალ-დასავალი, 6-12 ოქტომბერი, 2014).
- ლალი ანთია, ყოფილი პატიმარი: "როგორც ბაქრაძემ მოგვიწოდა ომის დროს, ზუსტად ისე უნდა გამოვიდეთ თოხებით, ბარებით, კოვზებით, ჩანგლებითა და ფიწლებით, რათა ესენი [ნაციონალები] ისე დავბეგვოთ, რომ დავაინვალიდოთ!" (ასავალ–დასავალი, 1–7 დეკემბერი, 2014).

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება, **ნაციონალური მოძრაობის** ცალკეული წევრების გარდა, უკავშირდებოდა საქართველოს ყოფილი პირველი ლედის სანდრა რულოვსის მიმართ გავრცელებულ გადაუმოწმებელ ცნობებს, თითქოს ის პატიმრებს საცდელ ცხოველებად და მათ ორგანოებს ტუბერკულოზის წამლების დასამზადებლად იყენებდა.

სიძულვილის ენა ლგბტ პირების მიმართ

- კახა კაკაბაძე, ჯგუფი "წმინდა გიორგი": "ტყვიას შევუშვერთ შუბლს და ეს აქოთებული ხალხი საქართველოში გაჯეჯილებას ვერ ეღირსება!.. მე ვლაპარაკობ შეგნებით და გენეტიკურად ჩამოყალიბებულ მამრობით სქესზე" (ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი, 2014).
- ომარ მაღლაკელიძე, აქციის მონაწილე: "ადრე თავს თურქ-სელჩუკების და არაბებისგან ვიცავდით, ახლა კიდე ამ პიდარასტებისა და უჯიშოებისგან უნდა დავიცვათ" (რეზონანსი, 19 მაისი, 2014).
 - ლგბტ პირების მიმართ ძალადობის წახალისება როგორც ზოგადად ამ ჯგუფს, ასევე ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელს, ირაკლი ვაჭარაძეს შეეხებოდა, მის მიერ საქართველოს კათალიკოს პატრიარქის სოციალურ ქსელებში გაკრიტიკების გამო.
- რეზო ამაშუკელი, პოეტი: "კიდევ ერთხელ მინდა დავუდასტურო ირაკლის [ღარიბაშვილს] ჩემი ნდობა და ერ-თგულება და გავახსენო კანონი, რომელიც გამოსცა მისმა სეხნიამ დიდმა მეფემ პატარა კახმა: ...ღვთის დიდად განმარისხებელისა და მიუტევლობისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკონოთ მწველისა, მამათ-მავლობის მქმნელი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა ტანჯვა-წამება) დაიხოცნონ!" (ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი, 2014).

- ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება: "პატრიარქს, რომ აგინებენ ეგ მართლაცდა ავადმყო-ფები [ირაკლი ვაჭარაძე, "იდენტობა"; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა ორგანიზაციები], რომ გამო-ვარდეს ხალხი და მაგათ თავები დაუხეთქოს, ვისი ბრალი იქნება?" (ასავალ-დასავალი, 3-9 ნოემბერი, 2014).
 - დასავლეთის და ამერიკის მიმართ სიძულვილის ენაც ნაციონალურ მოძრაობას და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა:
- რეზო ამაშუკელი, პოეტი: "ახლა კი, როდესაც უცხო ენაზე მოლაპარაკე ადამიანს ვხედავ, მგონია, რომ პედე-რასტია (ბოდიშს ვიხდი თქვენთანაც და მკითხველთანაც)! დასავლეთი იმდენად ასოცირებულია "ნაციონალურ მოძრაობასთან" და ამ მანქურთებთან, რომ მათ მიმართ ზიზღი გამიჩნდა!.. არის რამდენიმე ძალა, რომელ-თაც ერთსქესიანებს დავარქმევდი ისინი ერთმანეთისკენ ილტვიან, რათა ამ კაცს ებრძოლონ [ირაკლი ღა-რიბაშვილს]" (საქინფორმი, 17 თებერვალი, 2014).
- ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი: "ამერიკამ, ისევე, როგორც 2003 წელს საქართველოში, უკრაინაშიც ავადმყოფთა კლანი მოიყვანა ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ამერიკელებიც ავადმყოფები არიან. და ვინ არის ამ ყველაფრის წინააღმდეგი? რა თქმა უნდა, პუტინი და რუსეთი და, საზოგადოდ, მართლმადიდებლური სამყარო" (Geworld.ge, 18 ივნისი, 2014).

სხვადასხვა


- ინკოგნიტო რესპონდენტი: "კახა კალაძეს დავხვდებით სადმე და გავკოჭავთ და მერე მოვთხოვთ პასუხს, იმ ახალ "მარშუტკებს" კი მოლოტოვის კოქტეილებს შევუყრით და გადავწვავთ, მაგათ უნდათ ჭამა და ჩვენ ოჯახებს ქუჩაში გვიტოვებენ?" (კვირის ქრონიკა, 7-13 აპრილი, 2014).
- ოთარ კობერიძე, მსახიობი: "იმას, ვინც დღეს რუსეთში მიდის, იქ უჩოქებს, თბილ სიტყვას ეუბნება და უმღე-რის... ერთხელ მაგისთანებზე ვთქვი, ჩამოსახრჩობები არიან-მეთქი და გაზეთებში გამათახსირეს... ამიტომ ეგე-თი ხალხი უნდა გაწკეპლო, ჩახადო ნიფხავი და გაწკეპლო, რამდენიმე ხანს რომ ვერ დაჯდეს" (კვირის ქრონი-კა, 1-7 დეკემბერი, 2014).

TUSUBUILD


წინამდებარე თავში განხილულია ქსენოფობიის სხვადასხვა გამოვლინებები: ამ თავის პირველ ნაწილში ჩვენ დავაჯგუფეთ სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული იდენტობები, რომელთა დისკრიმინაციულ კონტექსტში მოხსენიება ხდებოდა; ხოლო მეორე ნაწილში ცალკე გამოვყავით თურქოფობიული და ისლამოფობიური განწყობები,
რაც საკმაოდ დიდი დოზით იჩენდა თავს. ვინაიდან ხშირად ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობას შორის ზღვარის
გავლება საკმაოდ რთული იყო, ამიტომ თურქოფობია და ისლამოფობია ერთად გავაერთიანეთ; მესამე ნაწილში არმენოფობიული განწყობები ავსახეთ; ხოლო ამ თავის ბოლო ნაწილი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას
დაეთმო და მასში ისლამოფობიის ის გამოვლინებები არ ასახულა, რომელიც ჩვენ თურქოფობიასთან ერთად განვიხილეთ.

მთავარი მიგნებები:

 კვლევის შედეგად გამოვლენილი ქსენოფობიის 436 შემთხვევიდან დისკრიმინაციის წყარო მეტწილად თავად მედიაა (154); რომელთანაც თითქმის გათანაბრებულია კგუფი, რომელსაც ჩვენ პირობითად საზოგადოების სხვა წარმომადგენლები დავარქვით (145); შემდეგია პოლიტიკური პარტიები (80); სასულიერო პირები (35); ხელისუფლების ყოფილი (17) და მოქმედი წარმომადგენლები (5).




 რაც შეეხება დისკრიმინაციის ტიპოლოგიას აქ შემდეგი სახის გრადაციას ვხვდებით: ყველაზე მეტი ნეგატივი თურქოფობიისა და ისლამოფობიის სახით იჩენს თავს (200); რომელსაც მოსდევს სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფების და ზოგადად უცხოელების (133) მიმართ ფობიები; რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (67) და არმენოფობია (36).



დიაგრამა 1.5. ქსენოფობიის ტიპოლოგია

რაც შეეხება სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის წყაროებს, შემდეგი ვითარება იკვეთება: თურქოფობიას ყველაზე მეტად სხვა რესპონდენტების კატეგორიაში მოხვედრილი საზოგადოების წარმომადგენლები აღვივებენ (77); მათ თითქმის თანაბრად მოსდევენ მედია (53) და პოლიტიკური პარტიები (52); შემდეგ ადგილზე არიან სასულიერო პირები (8), ხელისუფლების ყოფილი (7) და მოქმედი (3) წარმომადგენლები. სხვადასხვა ჭგუფების მიმართ დისკრიმინაციის წყაროების გრადაცია ასეთია: მედია – 49; სხვა რესპონდენტები – 41; პოლიტიკური პარტიები – 26; სასულიერო პირები – 8 და ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები – 8, პოლიტიკური თანამდებობის პირი – 1. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია: მედია – 27; საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები – 21; სასულიერო პირები – 16; პარტიები – 1; ხელისუფლების მოქმედი (1) და ყოფილი (1) წარმომადგენლები. არმენოფობია: მედია – 25, საზოგადოება – 6; სასულიერო პირები – 3; პარტია – 1; ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენელი (1).



დიაგრამა 1.6. ქსენოფობიის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით


- მონიტორინგმა ასევე აჩვენა, რომ ქსენოფობიური განწყობები მეტწილად მიწების უცხოელებზე გასხვისებასთან მიმართებით იჩენს თავს; სახეზეა ასევე სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფების მიუღებლობა; უცხოელები, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, საფრთხეებთან იგივდებიან და ხშირად ცალკეული კრიმინალის მათზე განზოგადება ხდება; იკვეთება ასევე ანტიჩინური განწყობები.
- ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელმაც კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების (ჩინელების, ერაყელების, ირანელების და ეგვიპტელების) მიმართ ქსენოფობიური კომენტარი გააკეთა, გარკვეული რასისტული კონოტაციით, იუსტიციის მინისტრი იყო.
- თურქოფობია/ისლამოფობია მეტწილად მეჩეთების აშენების თემას და თურქეთის საფრთხედ წარმოჩენას, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ექსპანსიას უკავშირდება.
- ამავე დროს თურქოფობიის თემას პოლიტიკური შემადგენელიც აქვს და ხშირად ხდება აზრის კულტივირება, რომ თურქეთი ისეთივე ოკუპანტია (ისტორიული) საქართველოსი, როგორც დღეს რუსეთი; საქართველოს
 ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ნატოს საწვრთნელი ბაზის საქართველოში გახსნა კი თურქეთის ჯარის შემოყვანის საფრთხესთან არის დაკავშირებული და ანტიდასავლური კონოტაციის მატარებელია. ამ მოსაზრებას
 მეტწილად პატრიოტთა ალიანსი და მასთან დაკავშირებული მედია-კავშირი "ობიექტივი" ამკვიდრებდნენ.
- საქართველოს მოქალაქე მუსლიმები ხშირად და განსაკუთრებით რელიგიური ინციდენტების დროს, მეზობელი სახელმწიფოს – თურქეთის ინტერესების გამტარებლებად არიან წარმოჩენილი.
- არმენოფობიული განწყობები მეტწილად სომხური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში გამოყენებას უკავშირდება და ამ მხრივ მედიის მთავარი სამიზნე პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ყოფილი და უკრაინაში მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირები არიან.

- არმენოფობია ასევე დაკავშირებული იყო სადავო საკულტო ნაგებობებთან, რომელთა დაბრუნებას სომეხთა სამოციქულო ეკლესია სახელმწიფოსგან ითხოვს.
- რელიგიურ ჯგუფებს შორის ყველაზე მარგინალიზებული იეჰოვას მოწმეები არიან და ყველა ის გაერთიანება, რომელიც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას არ მიეკუთვნება. მათ ხშირად მედია და რესპონდენტები სექტანტებად და მწვალებლებად მოიხსენიებენ.
- ცალკეული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომები მეტწილად მათი უფლებების რეალიზაციას ან სამოქალაქო თუ საზოგადოებრივ აქტივობებს უკავშირდება. მაგალითად, 50-იანელები მედიის და ცალკეული რესპონდენტების, მათ შორის ექსტრემისტული ჯგუფების წარმომადგენლის⁵ სამიზნე საერთაშორისო საევან– გელიზაციო ღონისძიების "იმედის ფესტივალის" თბილისში ჩატარების გამო გახდნენ; ხოლო ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის შემთხვევაში, დისკრიმინაციას პიროვნული განზომილება ჰქონდა და მის წარმომადგენელთა აქტივობას, მათ შორის ეპისკოპოსს რუსუდან გოცირიძის ამერიკის მთავრობის მიერ დაჯილდოვებას უკავშირდებოდა, რაც ანტიდასავლურ კონტექსტშიც იყო წარმოდგენილი.
- ანტისემიტიზმის ერთი შემთხვევა პოლიტიკურ გაერთიანება ბურჯანაძე-გაერთიანებულ დემოკრატებს უკავშირდებოდა.
- რელიგიური ნეიტრალიტეტის უგულვებელყოფას მუსლიმებთან და იეჰოვას მოწმეებთან მიმართებაში ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ჰქონდა ადგილი და მართლმადიდებელ მრევლსა და აღნიშნულ ჯგუფებს შორის ცალკეულ ინციდენტებს უკავშირდებოდა.

როგორც მედია, ასევე პოლიტიკური პარტიები, ყოფილი თანამდებობის პირები, სასულიერო პირები და საზო-გადოების სხვა წარმომადგენლები ყველაზე მიუღებლად მიწის უცხოელებზე გასხვისების საკითხს მიიჩნევდნენ (39); სხვადასხვა წყაროები მიუღებლობას ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის, ირანელების, ჩინელების, ინდოელებისა და სხვათა მიმართ გამოხატავდნენ (24); ამავე დროს, ნეგატიური დამოკიდებულება იყო გამოხატული ინდივიდუალურად ცალკეული ეთნიკური იდენტობის წარმომადგენლების მიმართ (9) და მათ შორის გამოკვეთილი ანტიჩინური განწყობები იყო (10); დომინირებდა აზრი, რომ საქართველო აღარ ეკუთვნის ქართველებს (12); ხოლო რესპონდენტთა ნაწილი (11) განსხვავებულ ეთნოსებსა და ერებს საფრთხეებთან აიგივებდა; ცალკეული კრიმინალის მთელ ეთნოსზე განზოგადების მცდელობა 7 შემთხვევაში გამოიკვეთა; აზერბაიჯანელთა მიმართ ფობიები – 4 შემთხვევაში; რასისტული გამოხატვა – 4, ანტიაფხაზური – 3; ხოლო სხვადასხვა თემაზე 11 დისკრიმინაციული გამოხატვა გამოვლინდა.

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული გიორგი გაბედავა, რომელიც სასჯელს 2010 წლის 7 მაისს, ტელეკომპანია "კავკასიის" პირდაპირ ეთერში ჩადენილი ფიზიკური ძალადობის გამო იხდიდა, რაც რელიგიურ მოტივს უკავშირდებოდა.

დიაგრამა 1.7. ქსენოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა წყაროების მიხედვით



1.1. მᲔᲓᲘᲐ

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომების მხრივ ყველაზე მეტ შემთხვევას ბეჭდვით მედიაში (21) ვხვდებით, რომელსაც სატელევიზიო (17) და ონლაინ (11) მედია მოჰყვება. გაზეთები: ასავალ-დასავალი (6); რეზონანსი (4); კვირის ქრონიკა (4); ალია (3); კვირის პალიტრა (3); პრაიმ-ტაიმი (1). ტელევიზიებს შორის დისკრი-მინაციის მხრივ ტელეკომპანია კავკასია (8) და ობიექტივი (7) გამოირჩევიან, 1-1 შემთხვევას ადგილი საზოგადობერივ მაუწყებელსა და რუსთავი 2-ზე ჰქონდა. ონლაინ მედია: Geworld.ge (6); საქინფორმი (3); პირველი (2).

ცხრილი 4. ქსენოფობიური გამოხატვის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით

თემატიკა	ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲛᲔᲓᲘᲐ				ბეჭდვითი						<u></u> ონლაინ		
	პავპასია	ობიექტივი	ᲡᲐᲖ. ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ	რშს <i></i> 030 2	ᲐᲡᲐᲕᲐᲚ- ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ	რეგონანსი	ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ	ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ	ალია	პრაიმ-0აიმი	GEWORLD.GE	ᲡᲐᲥᲘᲜ- ᲤᲝᲠᲛᲘ	პირველი
მიწის უცხოელებზე გასხვისება					3	1			2		4		
სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობა		1			2		2		1		1		

თემატიკა	ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲛᲔᲓᲘᲐ					ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲛᲔᲓᲘ Ა							
	პბმპბსᲘბ	ოგიემ დ ივი	ᲡᲐᲖ. ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ	რშს <i>თ</i> ამ0 2	ᲐᲡᲐᲕᲐᲚ- ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ	რ <i>მ</i> 8 <i>0</i> 16 <i>0</i> 56 <i>0</i> 0	ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ	ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ	ალია	პრაიმ-0აიმი	GEWORLD.GE	ᲡᲐᲥᲘᲜ- ᲤᲝᲠᲛᲘ	პირველი
ანტიჩინური განწყობები	2					1							
ანტიაზერბაიჯანული	1						1						
სხვა ცალკეული ჯგუფები	5 ⁶			17								1 ⁸	1 ⁹
რასიზმი		1										1	
საფრთხეებთან გაიგივება		2					1				1		
ცალკეული კრიმინალის დაკავშირება მთელ ჯგუფთან			1		1			3					
საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნის		3											
სხვადასხვა თემები ¹⁰						2				1		1	1

LYAPES MUSCESCACT

ტელეკომპანია "კავკასიის" თოქ-შოუ სპექტრი არა მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით (8), არამედ ფობიების მრავალფეროვნებითაც გამორჩეულია: აქ ვხვდებით წამყვანის დისკრიმინაციულ შეფასებებს, აზერბაიჯანლების, ჩინელების, აფხაზების და ოსების, ირანელების და სლავების მიმართ.

ცალკეული მაგალითები:

ანტიაზერბაიჯანული განწყობები

• დავით აქუბარდია: "აზერბაიჯანული ქალაქი გახდება 15-20 წელიწადში ეს ქალაქი [რუსთავი], თუ ეს არ გადავარჩინეთ... რუსთავი უნდა გადარჩეს, როგორც ქართულ ქალაქად და ეს იდეა ჩემი იდეა არ არის, ეს სტალინის იდეა არის...

- ანტიაფხა8ური (2), ანტიოსური, ანტიირანული, ანტისლავური განწყობები
- ⁷ რუსოფობია
- ანტიირანული განწყობები
- ა ბოშები ნეგატიურ კონტექსტში
- ¹⁰ უცხოელი ინვესტორების მიუღებლობა; ემიგრანტები ნეგატიურ კონტექსტში; გენეტიკური ნიშნით პირის მარგინალიზება.

ეს უხერხული თემებია, მცოცავი ანექსიაა ეს იცი, ნელა-ნელა მოდიან, ეს ქალაქი იგერს, თორემ აგერ ორთაგა-ლასთან სხვა ქვეყნის საზღვარი გვექნებოდა... წმინდა ეკონომიური დისკრიმინაცია მიდის იქ ქართველების... ორი აზერბაიჯანული ბანკი მარტო აზერბაიჯანლებს აძლევს კრედიტს, რომ ბინები იყიდონ... ჩაგრავენ ქართ-ველებს და ქართველების შემცირება ხდება... ეროსი, აქედან იწყება მერე დაკარგვა ტერიტორიების, მეტი კი არაფერი იყო — რეალური მოსახლეობის პრინციპი — კახი, ბელაქანი, ზაქათალა, ნახე რა, 20 წლის მაისის ხელ-შეკრულება რუსეთთან. აღიარებდნენ, იმას საქართველოს ტერიტორიად. მერე ატეხეს, რეალური მოსახლეობის პრინციპიო და წაგვართვეს. ასე წაგვართმევენ იმ რუსთავსაც, თუ არ გამოვიფხიკეთ ყურები" (14 მაისი, 2014).

ანტიჩინური განწყობები

 დავით აქუბარდია: "მონღოლების დროსაც ვიყავით, შაჰაბასის დროსაც ვიყავით და ათასი ტარტაროზის დროსაც და ვიქნებით ყოველთვის... ჩინელებიც რომ მოგვადგნენ, მაინც ვიქნებით" (9 აპრილი, 2014).

ანტიაფხაზური განწყობები

• დავით აქუბარდია: "რუსებთან მოგვიწევს ჩვენ ლაპარაკი, აფხაზებს არავინ არ ეკითხება, ეს არის არშემდგარი ერი, განათლება არა აქვთ, 4 კლასის განათლება იქ ჩვეულებრივი ნორმაა, 200-ზე მეტი არ ჰყოლიათ უმაღლესი განათლებით. ისინი მრუდე აზროვნების არიან" (14 მაისი, 2014).

ანტიოსური განწყობები

🔍 დავით აქუბარდია: "რა, გონებით აჯობა ანწუხელიძემ იმ ვირთხებს იქა, ოს ვირთხებს..." (24 ნოემბერი, 2014).

ანტიირანული განწყობები

 დავით აქუბარდია: "შაჰ-აბასს გავუძელით, კახა! მოვიგეთ, ჯამში... სპარსელებთან გისაუბრია ვინმესთან?
 საერთოდ, აი, განდევნილები არიან, მოკვეთილებივით არიან, ხო?! ვერცერთი სპარსელი, ირანელი აქ ბიზნესსაც ვერ აწყობს" (19 დეკემბერი, 2014).

ანტისლავური განწყობები

დავით აქუბარდია: "იქ [იუგოსლავიაში] სლავები ხოცავდნენ ერთმანეთს... სლავებში ზის ეს რაღაცა [უკრაინის მოვლენებზე საუბრისას]" (12 თებერვალი, 2015) .

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲗᲝᲥ-ᲨᲝᲣ "ᲓᲐᲛᲘᲡ Ს**Ტ**ᲣᲓᲘᲐ"

მედია-კავშირი "ობიექტივი" მეტწილად თურქოფობიულ/ისლამფობიურ განწყობებს აღვივებდა, რასაც ჩვენ მომდევნო ნაწილში განვიხილავთ. რაც შეეხება სხვა ჯგუფებისადმი დამოკიდებულებას, წამყვანის მხრიდან 2 დისკრიმინაციულ გამოხატვას ჰქონდა ადგილი (რასიზმი და სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობა), ხოლო სატელეფონო ჩართვისას გაკეთებულ 5 შეფასებას, წამყვანებიც იზირებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ გადაცემაში სისტემატიურად გადის მაყურებელთა ერთგვაროვანი ზარები, არ არის წარმოდგენილი საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები და წამყვანებიც იზიარებენ გამოთქმულ შეხედულებებს, როგორც წინა შემთხვევებში, სატელეფონო ზარებიც თავად თოქ-შოუს სარედაქციო პოზიციის გამოხატულებად ჩავთვალეთ.

ცალკეული მაგალითები:

რასიზმი

 ბონდო მძინარაშვილი: "ვისაც ერთი და ორი ჰექტარი აქვს, არავითარ უცხოელს არ მიჰყიდის ამას. შეიძლება მეზობელს მიჰყიდოს, ან ნათესავს, მაგრამ აფრიკელს ნამდვილად არ მიჰყიდის და არ ჩაისახლებს" (2 ივლისი, 2014).

სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობა

ბონდო მძინარაშვილი: "ეხლა, პრინციპში, კაცმა რომ თქვას, საქართველომ გაუძლო არაბებს, მონღოლებს, ოსმალებს, სპარსელებს... თბილისი იყო აბსოლუტურად, თითქმის, თითქმის აბსოლუტურად სომხური ქალაქი და დღეს რადიკალურად არის შეცვლილი სურათი, ხომ?.. და არც სხვებს, არც, ვთქვათ, იმ სპარსელების შთამომავლებს, აქ რომ ცხოვრობენ და არც იმ თურქებს... ანუ საქართველოს გადაჯიშება გამორიცხულია" (3 ივლისი, 2014).

რესპონდენტები სატელეფონო ჩართვების დროს ავითარებდნენ აზრს, რომ საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნის, მას უცხოელები ეპატრონებიან და რომ უცხოელები ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ამ კონტექსტში მოხსენიებული იყვნენ ჩინელები, თურქები, ინდიელები და არაბები.

ცალკეული მაგალითები:

საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნის

 "...და მეორე კიდევ, საქართველო მთლიანად საკრალური ქვეყანაა, ძირს უთხრის ყველა უცხოელი, შევასიეთ უცხოელები, ახალქალაქში ნახეთ? ჩინური კომპანია, თურქული კომპანია აკეთებს გესს და ნებისმიერ ადგილზე, აქეთ ქვიშხეთში, ხაშურიდან ვრეკავ მე და მაქედან ვიცი და ყველგან მასეა, უცხოელებს მივეცით ქვეყანა საჭიჭგნად..." (21 ივნისი, 2014).

საფრთხეებთან გაიგივება

- "დაპატარავდა ჩვენი ქვეყანა, ხვალ-ზეგ, თქვენი თქმის არ იყოს, მოვლენ ინდიელები, შეგვყრიან რომელიმე რეზერვაციაში და მერე მოვლენ სანახავად..." (25 ივნისი, 2014).
- "ომი მიდის, გენოციდი მიდის ქართველი ერის. როგორმე გაიყაროს ქართველი ერი საქართველოდან, დამკვიდრდეს აქ ჩინელი, არაბი..." (20 ივლისი, 2014).

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ

ცალკეული კრიმინალის დაკავშირება მთელ ჯგუფთან

ადგილობრივი მცხოვრებლების კომენტარების საფუძველზე, ჟურნალისტი სარედაქციო ტექსტში კონკრეტული კრიმინალის (არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე ეჭვმიტანილი ერაყის მოქალაქის დაკავება) განზოგადებას ზოგადად უმცირესობებზე ახდენს. მსგავსს შეფასებას კიდევ უფრო ამძაფრებს ტექსტის თანმხლები კადრები, რომელზეც ქუჩაში გამვლელი შავკანიანები ჩანან.

ნიკა მოლოდინაშვილი, ჟურნალისტი: "ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ უმცირესობების უფლებების დარღვევის შიშით, მათ ეზოში შეკრებილ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ხშირად ალკოჰოლური
სასმელის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან და საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, შენიშვნასაც კი ვერ აძლევენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში არა უმცირესობების, არამედ მათი უფლებები ირღვევა"
("მოამბე", 29 აპრილი, 2014).

ტუსთავი 2

რუსთავი 2-ის პროგრამა "სხვა შუა დღის" წამყვანის კომენტარი, მალაიზიური ბოინგ 777-ის უკრაინის ტერიტორიაზე, რუსეთის საზღვართან ახლოს ჩამოგდებასთან დაკავშირებით, ემოციურ ფონზე იყო გაკეთებული, რის გამოც შემდეგ მან ბოდიში მოიხადა.

რუსოფობია

დიმა ობოლაძე: "ღორები" [რუსები] არიან "პროსტა", უბრალოდ შეცდომა დაუშვეს, თურმე ბიჭებმა, ეს ქვეყანა, წეღანაც ვამბობდი, უკვე აღარც მჭერა, რა, რომ მორაგბეები ჭიგრები არიან. სიტუაციაში თუ ჩავარდა, ყველა ეგეთი არის, რა, მე დარწმუნებული ვარ. რუსული სიტყვა არ გავიგონო აქ, ჩვენს ეთერში, საერთოდ არცერთი, რა. ღორების ქვეყანაა" (18 ივილის, 2014).

പേരുടെ വയാളകൂടെ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚ**Ი**"

6 შემთხვევიდან "ასავალ-დასავალში" 3 უცხოელებზე მიწის გასხვისების წინააღმდეგ იყო მიმართული, 2 ზოგადად სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობას შეეხებოდა და მათ ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენდა, ხოლო 1 ინდივიდუ-ალური კრიმინალის მთელ ჯგუფთან დაკავშირებას ახდენდა. როგორც სიძულვილის ენის ნაწილში აღვნიშნეთ, ტერმინი "ლიბერასტი" აქაც არა სექსუალური იდენტობის, არამედ ლიბერალური შეხედულებების მქონე ჯგუფების ნეგატიურ კონტექსტში, სამშობლოს გამყიდველებად წარმოსაჩენად გამოიყენებოდა.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

 გიორგი გიგაური: "ანუ ეს ჩვენი ლიბერასტები ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვას ლობირებენ და საამისოდ ვიღაც ასო-ელ ავსტრიელს [მათიას ჰუტერი, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ყოფილი თანამშრომელი] იყენებენ... ჩვენებური ლიბერასტების, ნაცების თუ ნაცმიდრეკილი ასო-ებისთვის საქართველო სამშობლო კი არა, დროებითი საცხოვრებელი ადგილია!" (30 ივნისი-6 ივლისი, 2014).

სხვადასხვა ერების მიუღებლობა

 დიტო ჩუბინიშვილი: "მართლაც, როცა მთელი საქართველო ჩინელების, ინდოელების, არაბების, ირანელებისა და თურქების ხელშია, გლობალიზაცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ჩვენისთანა პატარა ტერიტორიებდაკარგული უუფლებო სახელმწიფოს მეგობარი და დამცველი!" (30 ივნისი-6 ივლისი, 2014).

ცალკეული კრიმინალის დაკავშირება მთელ ჯგუფთან

გიორგი გიგაური: "სამი ერაყელი 15 წლის მოზარდი ბიჭის გაუპატიურებას ეცადა!.. ქართველმა საზოგადოებამ პრინციპულად უნდა მოითხოვოს ამ პედოფილებისა თუ პედერასტების უმკაცრესად დასკა! 3. ხელისუფლებამ მკაცრ კონტროლზე უნდა აიყვანოს საქართველოში შემოსული ყველა უცხოელი, რომელთა შორის (განსაკუთ-რებით, ისლამური ქვეყნებიდან), დიდი ალბათობით, სწორედ ასეთი პედოფილები და პედერასტები არიან..." (5-11 მაისი, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ"

გაზეთ "რეზონანსში" 4 ტიპის საავტორო დარღვევა გამოიკვეთა:

ემიგრანტების გაიგივება მათხოვრებთან

სათაური: "საქართველო ემიგრანტი მათხოვრების თავშესაფრად იქცა" ელზა წიკლაური: "აქედან გამომდინარე, საქართველო თანდათან ემიგრანტი მათხოვრების თავშესაფრად იქცა. მათ წინააღმდეგ რაიმე კონტრზომა სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ჯერ არ არის" (30 აპრილი, 2014).

უცხოური ინვესტიციების მიუღებლობა

 რუბრიკის სახელწოდება: "საფრთხე"; სათაური: "ფსევდოლიბერალები საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას ხელს უშლიან"; ქვესათაური: "ინვესტიცია არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ეროვნული უარვყოთ" (13 თებერვალი, 2015).

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

• მაკა ხარაზიშვილი: "უცხოელები ქართული ნოყიერი მიწების "ჩალის ფასად" გადაფორმებას ხელიდან აღარ გაუშვებენ. სანამ პარლამენტი "მიწის მართვის კოდექსს" მიიღებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელში კიდევ ათასობით მიწა აღმოჩნდება" (1 ივლისი, 2014).

ანტიჩინური განწყობები

სათაური: "ჩინური საცეცები წყალტუბოსაც მისწვდა" (10 ივნისი, 2014).

ᲒᲐᲒᲔᲗᲘ "ᲙᲕᲘᲠᲘᲡ <u>ᲒᲐᲚᲘ</u>ᲢᲠᲐ"

ცალკეული კრიმინალის დაკავშირება მთელ ჯგუფთან

"კვირის პალიტრამ" ინდივიდუალური კრიმინალური ქმედების (არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული ერაყის მოქალაქის თემა) ზოგადად უცხოელებზე განზოგადება და გარკვეული სტატისტიკური მონაცემების მანიპულირება მოახდინა. ამ ინციდენტის გაშუქებისას, მასალაში მოყვანილი იყო უცხოელთა დაპატიმრების სტატისტიკა. მართალია, თავად მონაცემებიდან ირკვეოდა, რომ უცხოელთა უმეტესეობა საზღვ-რის უკანონო გადაკვეთისთვის და ფინანსური დანაშაულებისთვის იხდის სასჯელს, მაგრამ რედაქციამ დაუსა-ბუთებლად მოახდინა გაცილებით მძიმე დანაშაულთან — სექსუალურ ძალადობასთან — ამ მონაცემების დაკავ-შირება.

- "ცოტა ხნის წინ თბილისი შემზარავმა ფაქტმა შეძრა ერაყის რამდენიმე მოქალაქემ 15 წლის ბიჭის გაუპატიურება სცადა. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში სხვადასხვა ბრალდებით აკავებენ... მიმდინარე წლის მარტის თვის მონაცემებით, საქართველოს ციხეებში 188 უცხოელი ბრალდებული და მსჯავრდადებული იყო" (26 მაისი-1 ივნისი, 2014).
- უტა ბიწაძე: [მიმართავს ინდოელებს, რომლებსაც მოსახლეობა ფიზიკურად გაუსწორდა]: "ბავშვის გაუპატიურების მცდელობა დაფიქსირდა, ეს არ აძლევს ხალხს გაღიზიანების მიზეზს?" (5-11 მაისი, 2014).

ინტერვიუ, რომელიც ზოგადად ბავშვთა პროსტიტუციის პრობლემას შეეხება და მასში ერთ წყაროზე დაყრდნობით სხვადასხვა ფაქტებზეა საუბარი, დაუსაბუთებლად არის განზოგადებული ირანელებზე, რითაც საქართველოში ბავშვთა პროსტიტუციის პრობლემის ერთ ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირება ხდება.

სათაური: "ირანელი, რომელიც, სავარაუდოდ, ბავშვთა პროსტიტუციას ეწეოდა, ირანის საკონსულომ საქართველოდან გააძევა" (2 დეკემბერი, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲥᲐ"

გაზეთი "კვირის ქრონიკა" ადგილობრივ დონეზე აზერბაიჯანელთა არჩევას (1), ისევე როგორც ევროსაბჭოს რე-გიონალური ენების ქარტიის რატიფიცირებას სეპარატიზმის საფრთხესთან (1) აიგივებდა, ასევე გამოხატავდა მიუღებლობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების (2) მიმართ.

ანტიაზერბაიჯანული განწყობები

ხათუნა ელბაქიძე: "რეგიონში უკვე ნაკლებად აინტერესებთ, რომელი პარტიის წევრი მოხვდება საკრებულოში, მათთვის მთავარია, აზერბაიჯანელი იყოს და სამომავლოდ, ბორჩალოს მაზრის დამოუკიდებლობას მხარი დაუჭიროს... ღმერთმა ნუ ქნას, სეპარატისტების გეგმის მიხედვით განვითარდეს მოვლენები საქართველოში, თორემ აქ ერთი დიდი უბედურება ატყდება... რას წარმოვიდგენდი, რომ ეს კანონი [ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ] ერთ თვეში უკვე საფრთხედ ექცეოდა ქვეყანას?! არადა, ასეა, ანტიდისკრიმინაციული კანონი უკვე იარაღად იქცა მათ ხელში, ვინც მისი გამოყენება იცის საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. პირველები ამის გაკეთებას აზერბაიჯანელები აპირებენ.... "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს უაპელაციოდ უცხადებენ — ხე რომ იყოს აზერბაიჯანელი, ვერ გაათავისუფლებთ სამსახურიდან, რადგან აზერბაიჯანელია!" (12–18 მაისი, 2014).

რეგიონული ენების ქარტიის მიუღებლობა

გიორგი კიქიაშვილი: "ახლა წარმოგიდგენიათ, რა ამბავი შეიძლება ატეხონ ვაჰაგან ჩახალიანის მსგავსმა სეპარატისტებმა, ქართული სახელმწიფოს მტრებმა, როდესაც ამ ჩანაწერს ნახავენ [ევროსაბჭოს რეზოლუციაში რეგიონული ენის სტატუსთან დაკავშირებით]?! ან რა მოტივაცია იქნება ის აჭარელი მუსლიმანებისათვის, რომლებიც 300-ზე მეტი მეჩეთით არ კმაყოფილდებიან და კიდევ ახლის აშენებას ითხოვენ?!" (6-12 ოქტომბერი, 2014).

სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობა

გელა ზედელაშვილი: "დღეს ხშირად ამბობენ, საქართველოში მარტო ეროვნებით აზერბაიჯანელები მუშაობენ, ახლა ჩინელები და ინდოელებიც შემოემატნენო. კი, კაცო, მაგათ რა ენაღვლებათ? ურტყამენ და ურტყამენ ამ ჩემს გადაბიბინებულ მამულს თოხსაც, ბარსაც... ეგენი აზრზე არ არიან, როგორ გვტკივა ჩვენ ამაზე გული და როგორ ვიტანჯებით... ჰოდა, როცა მოგვადგებიან, [ევროკავშირი] ამაყად ვეტყვით, რომ ყ...ეებით ღრუბლებსა ვფანტავთ და ამით ეროვნულ უმცირესობებს საშუალებას ვაძლევთ, ბუნებამ მათი ჭირნახული არ გაანადგუროს" (19-25 იანვარი, 2015).

ᲒᲐ<u>ᲒᲔᲗᲘ "</u>ᲐᲚᲘᲐ"

გაზეთ "ალიაში" 3 მასალიდან 2 უცხოელებზე მიწების გასხვისების, ხოლო ერთი სხვადასხვა ეროვნებების მიუღებ-ლობას შეხებოდა, რაც ჟურნალისტის შეკითხვაში იყო გამოხატული:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

უანა ასანიძე: "ბატონო გოგი, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მორატორიუმი [გადაწყვეტილება, რომ-ლითაც უცხოელებზე მიწის გასხვისებაზე შეზღუდვა ანტიკონსტიტუციურად ჩაითვალა], ახლა უცხოელები ისევ კალიებივით მოედებიან ალბათ მთელ ქვეყანას და ქართული მიწების ყიდვას გაათმაგებულად შეეცდებიან" (26 ივნისი, 2014).

სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობა

• უანა ასანიძე: "თავის მხრივ, საქართველო სავიზო რეჟიმს ამკაცრებს. სააკაშვილის ხელისუფლების დროს 118 ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ უვიზოდ შემოსვლის უფლება და ამ ქვეყნებიდან უმეტესობა ე.წ. "მშიერ" ქვეყნებს წარმოადგენს. გაურკვეველი წარმოშობის ხალხით გაივსო თბილისი და ამითაც ხომ არაა განპირობებული სავიზო რეჟიმის გამკაცრება?" (8 აგვისტო, 2014).

გაგეთი "პრაიმ ტაიმი"

გაზეთმა მსახიობ დუტა სხირტლაძის სატელევიზიო გადაცემაზე სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული გამოხმაურებების ტირაჟირება მოახდინა, სადაც მსახიობის არაქართულ წარმომავლობაზეა საუბარი:

• "სხირტლაძე დედის გვარი ყოფილა, თვითონ კი ვალიცკია თურმე და რა ქართველობაზე ლაპარაკობს, მით უფრო რა ქართველობის დაკარგვაზე?!" (7 აპრილი, 2014).

megon anggam

GEWORLD.GE

6 შემთხვევიდან 4 უცხოელებზე მიწების გასხვისების მიუღებლობას, 1 საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას, 1 კი სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობას შეეხებოდა.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

 ქეთი ხომერიკი: "ერთგვარ ოკუპაციასთან გვაქვს საქმე [მიწის უცხოელებზე გასხვისების კანონი]?.. ერთ დღესაც რომ გავიღვიძებთ, ალბათ, ერაყელები და თურქები გვეყოლება მეზობლად" (2 ივლისი, 2014).

საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება

დაგით მხეიძე: "თბილისში დაწყებული დესტაბილიზაცია უმალ მოედება საქართველოს, არეულობით ისარგებლებენ ჩვენი მეზობლები და ერთნი ჯავახეთს მიიტაცებენ, მეორენი – ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს, მესამენი – აგარა-ბათუმს, აფხაზები (ანუ რუსეთი) – სამეგრელო-ზემო სვანეთს. შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები აღარავისთან ექნება, ნატოში შესვლას ხომ თავისთავად გვახარებს ბუკა და ევროკავშირის "ცოლობასაც" შეიძლება გამოვკრათ ხელი" (10 სექტემბერი, 2014).

სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობა

 ჯაბა უვანია: "აი, ამ მოშლილ ქვეყანაში კი ყველანაირმა სარეველამ იხარა — თურქებმა აჭარაში მცოცავი რელიგიური ექსპანსია დაიწყეს, ცალკე სომხებმა მიჰყვეს ხელი ქართული ისტორიული ძეგლების მიტაცებას, აზერბაიჯანმაც გამოგვიცხადა ტერიტორიებზე პრეტენზია" (22 იანვარი, 2014).

საძინფორმი

სააგენტოს მასალები წინა ხელისუფლების საიმიგრაციო პოლიტიკის შედეგების (1) მიუღებლობას, ანტიირანულ განწყობებსა (1) და რასიზმს (1) შეხებოდა.

საემიგრაციო პოლიტიკის მიუღებლობა

 "რევოლუციონერთა" ანტიეროვნული მოღვაწეობის შედეგად 2 მილიონზე მეტმა (ადგილობრივი მოსახლეობის მესამედზე მეტმა) ადამიანმა დატოვა, სამაგიეროდ, ქვეყანაში ათასობით ემიგრანტი დასახლდა ჩინეთიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და სხვა ქვეყნებიდან. ანალოგიური პროცესი ელოდება მოკლე ხანში უკრაინასაც, რომლის ნაყოფიერ მიწებს უცხოები ჩაიგდებენ ხელში" (24 სექტემბერი, 2014).

ანტიირანული განწყობები

 "დახოცე რუსები, რომელთა წყალობითაც შენს შვილებს არ ყიდულობს სპარსი ჰარემში თავშესაქცევად! სამაგიეროდ, დღეს, რუსების გარეშე, ჩვენი ცოლები მათთვის საკუთარი ნებით მუშაობენ" (29 იანვარი, 2015).

რასიზმი

"ვარაუდი იმის თაობაზე, რომ Homo negritosus-ის სახეობის წარმომადგენელი უკრაინელებმა ადგილობრივი ეთნოგრაფიული მუზეუმიდან გაიტაცეს და, სუვენირის სახით, ჯავშანტრანსპორტიორით წაიყვანეს, თავდაპირ-ველი სამუშაო ვერსია იყო, თუმცა ჯავშანტრანსპორტიორში ნაპოვნმა უკრაინელი ნაციონალისტის ტანსაცმელ-მა, რომელიც ფერადკანიანმა გაიხადა, რათა ბუნებრივი შენიღბვა გამოეყენებინა, პირწმინდად უგულებელჰყო ეს ვარაუდი, ხოლო როცა ზანგმა ქართულად დალაპარაკება სცადა, ყველა ეჭვი გაქარწყლდა – დღეისათვის ეს იშვიათი ეგზემპლარი თავის დროზე სააკაშვილის არმიის მრჩევლად მსახურობდა". (5 აგვისტო, 2014).

პირველი

სააგენტო "პირველის" 1 მასალა ბოშების სტიგმატიზებას ახდენდა, მეორეში კი გენეტიკური ნიშნით პირის მარგინალიზება ხდებოდა (1).

ბოშების სტიგმატიზება

ქვესათაური: "ჩვენს ქვეყანაში "მათხოვარი" უფრო მდიდარია, ვიდრე პენსიონერი"
 "წლის ამ სეზონზე ტურისტებით დატვირთულ ქუჩებზე ბოშებიც მრავლად არიან და გასაცოდავებულ პენსიონე-რებზე უკეთ იციან, როგორ წაართვან ტურისტს შავი დღისთვის გადანახული დოლარი" (17 მაისი, 2014).

გენეტიკური ნიშნით პირის მარგინალიზება

სააგენტომ გამოაქვეყნა ფეისბუკის კომენტარები მსახიობ დუტა სხირტლაძის სატელევიზიო გადაცემასთან დაკავშირებით და ერთ–ერთი ასეთი დისკრიმინაციული კომენტარი "დუტა, ქართველობაზე ნუ ლაპარაკობ, შე საყურიანო" მასალის სათაურად გამოიტანა, რაც სარედაქციო პოზიციის გამომხატველია.


• "სხირტლაძე დედის გვარი ყოფილა, თვითონ კი ვალიცკია თურმე და რა ქართველობაზე ლაპარაკობს, მით უფრო რა ქართველობის დაკარგვაზე?!" (5 აპრილი, 2014).

1.2. 3MPN&NJJMN 3JM&NJ

26 ქსენოფობიური გამოხატვიდან 6 ბურჯნაძე–გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობაზე, ხოლო 4 მასთან აფილი-რებულ სახალხო კრებაზე მოდის; შემდეგ ადგილზეა ლეიბორისტული პარტია (5); პატრიოტთა ალიანსი (4); ქართულ ოცნება (3); ნაციონალური მოძრაობა (2) და ტრადიციონალისტთა კავშირი (1); ხოლო 1 გამოხატვის ავტორი პატრიოტთა ალიანსის ყოფილი წევრი და ამჟამად თბილისის საკრებულოს დამოუკდებელი წევრი, სოსო მანჯავიძეა.

შენიშვნა: სოსო მანჯავიძე 2014 წლის სექტემბრამდე თბილისის საკრებულოში პატრიოტთა ალიანსს წარმოადგენდა, ამდენად, მისი ციტირება ფრაქციის დატოვებამდე პატრიოტთა ალიანსს არის მიკუთვნებული, ხოლო სექტემბრის შემდეგ ის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრის კატეგორიაში ხვდება.

26 შემთხვევიდან 14 უცხოელებზე მიწის გასხვისების წინააღმდეგ იყო მიმართული, 5 სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობას, 4 ანტიჩინურ განწყობებს, 3 საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას შეეხებოდა.



დიაგრამა 1.8. ქსენოფობიის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით

ᲑᲣᲠ**Ჰ**ᲐᲜᲐᲫᲔ-ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

ამ გაერთიანებაში შემავალი პარტიები როგორც უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობაზე საუბრობდნენ (1), ასევე სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობაზე (2), აღვივებდნენ ანტიჩინურ განწყობებს (1) და საფრთხეებზე დაუსაბუთებლად აპელირებდნენ (2).

მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

თემურ შაშიაშვილი: "გადავამოწმე და მითხრეს, რომ მართლა გაუყიდიათ გელათის კარიბჭის მიმდებარე ტერიტორია [ირანელებზე], სადაც ქართველი მეწარმეები ხელნაკეთ ნივთებს ყიდიან... ვატყობ, საქართველოში
ისე უტევენ ყოველივე ეროვნულსა და ტრადიციულს, აჯანყება მოხდება!" (ასავალ-დასავალი, 15-21 დეკემბერი,
2014).

ანტიჩინური განწყობები

თემურ შაშიაშვილი: "მახსოვს, საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრები იდგნენ რიგში, რომ ქუთაისის ავეჯი
ოჯახებში შეეტანათ და ახლა ჩვენ ჩინელების მონები ვართ" (კვირის ქრონიკა, 30 ივნისი-6 ივლისი, 2014).

სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობა

 ჭონდი ბაღათურია: "სადაც ქართულად ლოცულობენ და წერენ, ეგ არის საქართველო, თუ ჩვენ დავუშვით, რომ პლეხანოვზე თურქული და არაბული და მონგოლური წარწერები გაჩნდა, ჩვენ მივიღებთ პატარა თურქეთს ან მონგოლეთს შუაგულ თბილისში" (კავკასია, დღეს, 14 აპრილი, 2014);

საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება

ჯონდი ბაღათურია: "სინგაპურიზაცია ნიშნავს, რომ ქართველები არ ვიქნებით ამ მიწა-წყლის პატრონები. უკვე
სხვა იქნება, სხვა ეთნოსი იქნება. სავარაუდოდ, ნაწილის-თურქი, ნაწილის ჩინელი, ნაწილის-ინდოელი" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 18 ივლისი, 2014).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ბურჯანაძე-გაერთიანებულ დემოკრატებთან დაკავშირებული სახალხო კრება ოთხივე შემთხვევაში უცხოელებზე მიწის გასხვისების წინააღმდეგ გამოდიოდა.

მაგალითი:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

ელიზბარ ჯაგელიძე: "ანტიდისკრიმინაციული კანონის" მიღებით ჩვენი მორალური განადგურება სურთ, ხოლო უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვის განახლებით ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება იგეგმება!.. როცა ჩვენს მიწას კაპიკებად უცხო თესლის ბატონი დაეპატრონება, ხომ მთლად დაგვაქცევს და გაგვაპარტა-ხებს?!" (ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი, 2014).

ᲓᲘᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲢᲘᲐ

ლეიბორისტული პარტია როგორც უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობას (2) გამოხატავდა, ასევე ანტიჩინურ განწყობებს (2) აღვივებდა და სხვა ეროვნებების მიმართაც (1) დისკრიმინაციულ მიდგომებს ავლენდა.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

შალვა ნათელაშვილი: "როცა შიდა ოკუპანტი გაგიყიდის იურიდიულად მიწას პაკისტანელზე, ირანელზე, ინზე
თუ სამხრეთ აფრიკელზე, ამ შედეგებს ვერაფერი ვერ ასწორებს, ეს ოკუპაცია არის სამუდამო" (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი სტუდია, 6 თებერვალი, 2015).

სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობა

პაატა ჩიხლაძე: "გზები, ვთქვათ, ქარხნები, რომლებიც გაიყიდა და დღეს ჩინელები და ინდოელები არიან დაპატრონებული და ფაქტიურად, ჩვენი მოსახლეობა და ქართველობა უბრალოდ მუშებადა ჰყავთ..." (ტაბულა,
ფოკუსი, 10 ივნისი, 2014).

ანტიჩინური განწყობები

შალვა ნათელაშვილი: "რაც მთავარია, სამგორის დეპუტაციასთან არის თხოვნა და დავალება, არ დავუშვათ ჩაინათაუნზე სხვა კიშის და კილაგის გაბატონება. ჩვენ ჩინურ ექსპანსიას ვერ გავუძლებთ... ჩვენ პატარა ერი ვართ და ვერ გავუძლებთ ჩინელების, ბრაზილიელებისა თუ სხვა ერის ექსპანსიას" (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი სტუდია, 4 ივნისი, 2014).

პა**ი**რიობთა ალიანსი

უმეტეს შემთხვევაში (3) პატრიოტთა ალიანსიც მიწის უცხოელებზე გასხვისებას ქსენოფობიურ კონტექსტში გვთავაზობდა, 1 შემთხვევაში კი საფრთხეებზე დაუსაბუთებლად აპელირებდა.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

გაჟა ოთარაშვილი: "არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ლამის სამაჩაბლოსხელა ტერიტორია, ხაზს ვუსვამ, იყიდება უცხოელებზე... ეს არის, პირდაპირი გაგებით, ოკუპაცია ქართული მიწა-წყლის... ქართველი კაცი, ფაქტობრი-ვად, მშობლიური მიწა-წყლის გარეშე რჩება... დიახ, სამწუხაროდ, შეგნებულად მიმდინარეობს ქართველი ერის გენოციდი... სამწუხაროა, რომ ისეთი მართ-ლმადიდებლური კულტურის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ურჯულოთა ასეთი შემოტევაა" (Geworld.ge, 2 ივლისი, 2014).

საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება

გაჟა ოთარაშვილი: "არ მახსოვს საქართველოს ისტორიის მანძილზე, რომელიმე ჩვენს მეზობელ მოსაზღვრე სახელმწიფოს ჩვენთვის სიკეთის ლაშქარი გამოეგზავნა... ამიტომ, ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ – საფრთხე გველის როგორც რუსეთისგან, სომხეთისგან, ასევე თურქეთისგან და აზერბაიჯანისგან" (რეზონანსი, 4 აპრილი, 2014).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

მმართველი კოალიციის შემთხვევაში 2 გამოხატვა უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობას შეეხება, 1 კი სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობას.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

 გოგი თოფაძე: "თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი მიწების გასხვისება რას ნიშნავს, ინდოეთის მადას ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ, მათი ქვეყანა მცირემიწიანია და ბევრი ინდოელი ყიდულობს აქ მიწას. იგივე ირანელები, თურქები, ჩინელები, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება [უცხოელებზე მიწის გასხვისების შეზღუდვის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ] არაობიექტური და არასახელმწიფოებრივია... ეკონომიკამ შეიძლება მოიგოს, ან წააგოს, მაგრამ ჩვენი შთამომავლობა, შვილები და შვილიშვილები დარჩებიან მუშებად თავისსავე მიწაზე" (ალია, 26 ივნისი, 2014).

სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობა

 გოგი თოფაძე: "ნეგატიური იყო ის თავის დროზე, როცა დავინახე საფრანგეთში, პარიზში ძალიან ბევრი ჩასული არაბი და ეკარგებოდა თავისი პეწი პარიზს, როცა ამდენი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ" (ნეტგაზეთი, 15 მაისი, 2014).

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ქსენოფობიური ხასიათის სპეკულაცია ჩინელებს (1) უკავშირდება და საქარ-თველოს ყოფილ პრეზიდენტს ეკუთვნის; მეორე შემთხვევა კი — ოზურგეთში 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს, ილია მალაზონიას და 2013 წელს თურქულ და ირანულ ბარებთან გამარ-თულ საპროტესტო აქციაზე თურქებისა და ირანელების მიმართ მის მიერ გამოთქმულ ქსენოფობიურ განცხადებებს ასახავს.

ანტიჩინური განწყობები

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი: "...თან ვის აძლევენ [ბათუმის ტექნიკური უნივერ-სიტეტის შენობას]?! ჩინელებს! კითხვას ვსვამ — ეს ის ხალხი არ იყო, ამდენი ხანი რომ ლაპარაკობდნენ, ყველაფერი უცხოელებს მისცესო?! ქართული განათლების კერის გადაკეთება ჩვეულებრივ ჩინურ სასტუმროდ, ბათუმის ცენტრში, ბულვარის საუკეთესო ადგილას"... (რუსთავი 2, 12 იანვარი, 2015).

სხვადასხვა ჯგუფების მიუღებლობა

ილია მალაზონია: "საქართველო თურქების გარეშე. საქართველოში არ არის ირანელებისთვის განკუთვნილი ადგილი" (სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო).¹¹

სხმადასხმა

როგორც ტრადიციონალისტთა კავშირის, ასევე თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი (ყოფილი პატ-რიოტთა ალიანსი) უცხოელებზე მიწის გასხვისებას საფრთხეებთან აკავშირებდა.

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

აკაკი ასათიანი, ტრადიციონალისტთა კავშირი: "სულ ახლახან მორატორიუმი რომ მოხსნეს უცხოელებზე მიწის მიყიდვაზე, ეს გამოიწვევს საშინელ შედეგს — ყველაფერს ისინი იყიდიან; უვიზო მიმოსვლა თუ იქნება ევროკავ–

https://www.voutube.com/watch?v=MDPZ8iWpUCY&feature=voutu.be&t=2m34

შირთან, ჩათვალეთ, რომ საქართველოში ქართველი სანთლით საძებარი გახდება... მოსახლეობას გარეკავენ, მიწა დარჩებათ უცხოელებს. მტერი რომ შემოდიოდა ხოლმე, ის სხვას კი არაფერს აკეთებდა აქ" (Geworld.ge, 16 ივლისი, 2014).

სოსო მანჯავიძე, თბილისის საკრებულოს წევრი: "ამ კანონპროექტის [მიწის შესახებ] დამტკიცებით, ჩვენ მალე აღმოვჩნდებით მიწა-წყლის გარეშე. გვაქვს ანკლავები აზერბაიჯანის, სომხეთის, იგივე რუსეთისა და თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიების სახით... კონკრეტულად ჩინეთს აქვს სტრატეგიული ინტერესი აბრეშუმის გზასთან დაკავშირებით" (ალია, 12 თებერვალი, 2015).

1.3. ᲮᲔᲦᲘᲡᲣᲤᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲦᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲦᲔᲑᲘ

30\\mathreal{\pi}0003\\mathreal{

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მმართველი გუნდის ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი იყო, რომელმაც კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების (ჩინელების, ერაყელების, ირანელების და ეგვიპტელების) მიმართ ქსენოფობიური განცხადება გააკეთა და ტურისტები საქართველოსადმი კეთილმოსურნე და არაკეთილ-მოსურნეებად დაჰყო.

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი: "ყველა ბედნიერი მასშტაბური რეფორმით ვერ არის... ვერ არის, მაგა-ლითად, ბედნიერი ტურიზმის სააგენტო... ამ სფეროში 1 სექტემბერს, როცა ეს რეფორმა [საიმიგრაციო] შევიდა ძალაში, ამან გამოიწვია ბოლო ოთხი თვის განმავლობაში 2014 წელს, ჩვენი ტურისტების ნაკადის 42 000 ადამიანით შემცირება: ჩინელების, ერაყელების, ირანელების და ეგვიპტელების... შევავიწროვეთ ეს და ჩვენ წარმატება მივიღეთ ბრიუსელში და ჩვენ ველოდებით რიგის სამიტზე რაღაცა ტიპის წარმატებას... მერე უკვე ჩვენ შეგვიძლია დადგენილ ჩარჩოში ვაკონტროლოთ და შემოვუშვათ ის, ვინც ჩვენი ქვეყნის კეთილმოსურნეა, ტურისტია ან რაც მთავარია, ინვესტორია" (იმედი, ქრონიკა, 18 თებერვალი).

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ <u>Ყ</u>ᲝᲤᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ

ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ყოფილი წარმომადგენლების მხრიდან სულ ქსენოფობიის 8 შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 2 სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობას ეხება, 1 საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას, 2 მიწების უცხოელებზე გასხვისების მიუღებლობას, 1 ანტიაფხაზურ განცხადებებს (საარქივო მასალა), 1 რუსოფობიულ და 1 ეთნიკურ იდენტობაზე დაუსაბუთებელ მითითებას.

ცალკეული მაგალითები:

ანტიაფხაზური განწყობები

მვიად გამსახურდია, ექსპრეზიდენტი: "აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა... აფხაზი ერი იყო

ქართველი ერი იგივე, დასავლეთ ქართველი ერი. ხოლო ის ძველი ქრისტიანი აფხაზები, ქართველი აფხაზები, დღეს აღარ არსებობენ... აფსუა ანუ აფსარნი — ეს არის ჩრდილოეთ კავკასიური ადიღეური მოდგმის ტომი... თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა და დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრდნენ იქ, საიდანაც მობრძანდნენ" (ობიექტივი, ღამის სტუდია [საარქივო მასალა], 15 იანვარი, 2015).

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

ნანა დევდარიანი, ყოფილი სახალხო დამცველი: "დღეს მიწების დაპყრობა აღარ ხდება შეიარაღებული გზით... უცხოელები მიწას რომ ყიდულობენ, ნაყოფიერ ფენას ჭრიან, ის მიაქვთ უცხოეთში და ყიდიან... ეს არის ქვეყნის მტრობა, ქვეყნის დაღუპვა" (ალია, 1 ივლისი, 2014).

სხვადასხვა ეროვნებების მიუღებლობა

კახა თარგამაძე, შსს-ს ყოფილის მინისტრი: "ეტყობა თურქები, ინდოელები, არაბები უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობის არიან ქვეყნისთვის. რუსეთის მოქალაქე ვარ და ვიქნები რუსეთის მოქალაქე. ქართველებმა იკითხეთ, ესეთი პრეზიდენტი რომ გყავთ"... (მაესტრო, მაესტროს ცხრიანი, 18 აგვისტო, 2014).

საფრთხეებზე დაუსაბუთებელი მითითება

თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი: "აგერ ქვემო ქართლში რა ხდება, ლამის ტერიტორიები
წაგვართვან აზერბაიჯანელებმა, აჭარაში, ხელვაჩაურში თურქი-სამხედროები შემოიჭრნენ და ქართულ მიწას
გვედავებიან" (ალია, 3 ივნისი, 2014).

რუსოფობია

ირაკლი მაგავარიანი, პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩეველი: "რუსეთს ყველაფერი უნდა კაცო!.. იდიოტები არიან.
 ეგ ავადმყოფი ერია... მანიაკალური მისწრაფება აქვთ ტერიტორიის გაფართოებისკენ" (კავკასია, სპექტრი, 28 ნოემბერი, 2014).

ეთნიკურ იდენტობაზე დაუსაბუთებელი მითითება

ოლეგ იაძე, კასპის ყოფილი გამგებელი: "მისგან [ლადო ვარძელაშვილის, სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი] არ მიკვირს. მისი მამა ხომ აკოფოვია. სადაც გვარი და ეროვნება შეიცვალა, ვითომ სინდისს და ნამუსს რად ვერ აუვლის გვერდს! მიფრთხილდეს ვარძელაშვილი!" (ასავალ-დასავალი, 13–19 ოქტომბერი, 2014).

1.4. പാപാമറാണ് ദാന്ദാം

ქსენოფობიის 8 გამოვლინებიდან 4 უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობას, 2 უმცირესობებისგან უმრავ-ლესობის დაცვას, 1 საფრთხეებზე დაუსაბუთებელ მითითებას, ხოლო 1 განსხვავებული ეთნიკური ჭგუფის მიუღებ-ლობას შეეხებოდა.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

ილია მეორე, საქართველოს პატრიარქი: "ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მოსამსახურე პერსონალად გადაქცევა არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც, პირველ რიგში, ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდა სამეწარმეო რესურსების გამოყენების საშუალება" (ინტერპრესნიუსი, 2 ივლისი, 2014).

უმრავლესობის დაცვა უმცირესობებისგან

ილია მეორე, საქართველოს პატრიარქი: "ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის, რომ დაცული უნდა იყოს უფლებები უმცირესთა, მცირე ხალხისა, მცირე რელიგიის მქონესი, უმცირესობაში მყოფთა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ვინ დაიცავს უმრავლესობას, ვინ დაიცავს ქართველ ხალხს?" (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 13 აპრილი, 2014).

საფრთხეებზე დაუსაბუთებელი მითითება

გიორგი ანდრიაძე, საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: "დღეს საქართველო არის გასაყიდად გამოტანილი სხეული და ვისაც არ ეზარება, ყველა ეპოტინება. აზერბაიჯანელები ფიქრობენ, რუსებს რაღაცა მიაქვთ, სომხები ეკლესიებზე დავობენ, მაგათაც ხომ უნდა მოითხოვონ რამე?" (ალია, 11 თებერვალი, 2015).

1.5. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲒᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲦᲔᲒᲘ

სხვა რესპონდენტებიდან 9 ქსენოფობიურ განცხადებას მიწის გასხვისების მიუღებლობასთან დაკავშირებით გა-მოთქვამდა; 9 ამკვიდრებდა აზრს, რომ საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნის; 9 კი განსხვავებული ეროვნე-ბებისადმი სიძულვილს აღვივებდა. ანტიჩინურ განწყობებს 3 რესპონდენტი ავითარებდა; ანტიაზერბაიჯანულს — 2; საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას და ცალკეული ინციდენტის მთელ ჯგუფზე განზოგადებას 2–2 რესპონდენტი ახდენდა; რასობრივი ნიშნით სეგრეგაციას — 2 და სხვადასხვა ნიშნით მარგინალიზაციას 3 რეპონდენტი მიმართავდა.

ცალკეული მაგალითები:

უცხოელებზე მიწის გასხვისების მიუღებლობა

ალექსანდრე გაგია, პოლიტოლოგი: "ტერიტორიადაკარგული და ისედაც მცირემიწიანი საქართველოს მიწის
უცხოელებისთვის მიყიდვას კვლავაც განაგრძობს ხელისუფლება. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა კი, რადგან მიწის დამუშავების სახსარი არ აქვს, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბის" (Geworld.
ge, 26 ნოემბერი, 2014).

საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნის

- ზგიად ირემაძე, ანტიგლობალიზაციის ცენტრი "ივერიელები": "საქართველო აღარ ეკუთვნით ქართველებს. გაიარეთ ღამის ათი საათის შემდეგ პლეხანოვზე და ნახავთ, ვისია ეს ქვეყანა ჩვენი თუ უცხოელების. არაბებით, ირანელებითა და ერაყელებითაა მთელი გამზირი გადაჭედილი" (Geworld.ge, 28 მაისი, 2014).
- მიშა გომიაშვილი, მსახიობი: "მთელი ქალაქი ათასი რჯულის ხალხით გაივსო და ქალაქის ცენტრში ბორდელები გაგვიხსნეს... და ისე იქცევიან, რომ ჩემს ქალაქში თავი სტუმარი მგონია" (კვირის პალიტრა, 10 თებერვალი, 2015).

განსხვავებული ეროვნებებისადმი სიძულვილი

- გიორგი იმასაშვილი, ზანდუკელის N2-ში მცხოვრები: "მაგათი გამოისობით ყარს აქაურობა. ... ხმას ვერავინ იღებს იმის შიშით, რომ პოლიცია დაიჭერს-პატივი ეცით უცხოელებსო. ვის უნდა ვცე პატივი ღამით რომ არ მაძინებს და ბავშვებს დასდევს გასაუპატიურებლად?" (კვირის პალიტრა, 5-11 მაისი, 2014).
- გია მაისაშვილი, ეკონომისტი: "...და არა ის ძუნძგლიანი, ფეხშველა ხალხი [საქართველოში ჩამოსული უცხოელი მიგრანტები], რომელიც ახლა სავსეა..." (კაგკასია, სპექტრი, 6 მაისი, 2014).

ანტიჩინური განწყობები

ზურაბ ბიგვაგა, ფსიქოლოგი: "ჩინეთი გააწითლა [სტალინმა] და ეხლა ჩინეთი გააყვითლებს დიდ მსოფლიოს.
 ესეთი პროგნოზი გააკეთა ჯერ კიდევ ბისმარკმა: "внимание, желтая опасность!" [ყურადღება, ყვითელი საშიშ-როება!]" (კავკასია, სპექტრი, 19 ნოემბერი, 2014).

ანტიაზერბაიჯანული განწყობები

ანზორ მესხიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი: "მე-19 საუკუნეში ვაჩნაძეების ოჯახმა ლაგოდეხში სამი აზერბაიჯანული ოჯახი ჩამოასახლა საქონლის მოსამწყემსად. დღეს ეს სამი ოჯახი 46 000 მცხოვრებად იქცა და სოფელი კაბალი ყველაზე დიდია საქართველოში. ყველაზე დიდი ქართული სოფელი მარტყოფი კი მესამე ადგილზეა... ტოლერანტობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს ქვეყანაში 50-ზე მეტი ერი ცხოვრობს. ყველა მოითხოვს ქართველებზე მეტ ყურადღებას" (Geworld.ge, 11 თებერვალი, 2015).

ცალკეული ინციდენტის განზოგადება მთელ ჯგუფზე

 გიორგი ბურჯანაძე, ანტიკორუფციული კავშირი: "როცა "პლეხანოვი" გადაძეძგილია უცხოელებით, არ მაქვს უფლება, ჩემს შვილებთან ერთად გავისეირნო ქუჩებში... მეორე დღეს არასრულწლოვანი ბიჭის გაუპატიურება მოხდა. ის ერაყელი, თუ გახსოვთ, აქედან გააპარეს" (კვირის ქრონიკა, 21–27 ივლისი, 2014).

სეგრეგაცია რასობრივი ნიშნით

 გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი: "ჩვენ შეგვიძლია ტანზანიკიდან ჩამოვიყვანოთ 10 ზანგი, რომელიც ერთი ქართველის, ვთქვათ, ფულით ვამსახუროთ ჯარში, მაგრამ მისი ღირებულება მეათედიც არ იქნება" (კავკასია, სპექტრი, 19 თებერვალი, 2014). გელა ნიკოლაიშვილი, ადგოკატი: "საქართველოში, ევროპიდან და ცივილიზებული ქვეყნებიდან ძალიან ცოტა ხალხი შემოდის. ძირითადად აფრიკული ქვეყნებიდან – ნიგერიიდან, აზიის ქვეყნებიდან შემოდიან და ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, რომ აქ მათხოვრობენ, ან კრიმინალს სჩადიან, როცა საარსებო წყარო არ აქვთ. ბაზრებშიც კი ჩანან ეს ადამიანები, მიზერულ ხელფასზე მუშაობენ და ისედაც უმუშევარ მოსახლეობას იმ პოტენციურ სამუშაო ადგილსაც ართმევენ" (კვირის ქრონიკა, 1-7 სექტემბერი, 2014).

ეთნიკური ნიშნით პიროვნების მარგინალიზაცია

ლელიკო ჯაფარიძე, საოპერო მომღერალი: "ვინ არის დავით კეზერაშვილი? ებრაელი ხალხის უღირსი შვი-ლი!" (ასავალ-დასავალი, 17-23 თებერვალი, 2014).


სტერეოტიპიზაცია

ფლადიმერ ტაბაღუა, ადგოკატი, ციხეების და კოლონიების ყოფილი უფროსი: "სხვათა შორის, 40 წელი ვიმუშავე პენიტენციარულ სისტემაში და არცერთი ქართველი ჯალათი არ მინახავს. მხოლოდ ოსი და რუსი ჯალათები იყვნენ. დიდხანს ვერცერთი ვერ ძლებდა" (კვირის პალიტრა, 16 თებერვალი, 2015).

როგორც მონიტორინგმა ცხადყო, ყველაზე მეტად თურქოფობიული /ისლამოფობიური ნიშნით დისკრიმინაციის მხრივ რესპონდენტები გამოირჩევიან, რომელთაგან ჩვენ ცალკე გამოვყავით საზოგადოების სხვა წარმომადგენლები (77); დისკრიმინაციის წყაროა თავად მედიაც (53), რომელსაც მოსდევს პოლიტიკური კლასი (52); სასულიერო პირები (8), ყოფილი თანამდებობის პირები (7), ხოლო რელიგიურნი ნეიტრალიტეტის დარღვევას 3 შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ჰქონდა ადგილი.

თემატური თვალსაზრისით მძლავრობს ისლამოფობიური (37) განწყობები, რაც მეტწილად მეჩეთების საკითხს უკავშირდება; ასევე მოსაზრება, რომ საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნის და თურქეთის მიერაა ოკუპირებული (29); თურქეთის საფრთხედ წარმოჩენაც აქტუალურია (28), ისევე როგორც თურქეთის ისტორიული ოკუპაციის რუსეთის საპირწონედ (23) განხილვა და გარკვეულწილად რუსეთისთვის, როგორც ერთმორწმუნე ქვეყნისთვის უპირატესობაზე საუბრებს; სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევა (17) მოიცავს როგორც ბიოლოგიურ უპირატესობაზე საუბრებს, ასევე თურქეთის სხვადასხვა პრობლემების მიზეზად დასახელებას და სხვა ინტერპრეტაციებს; კულტურულ-რელიგიურ ექსპანსიაზე 18 შემთხვევაშია საუბარი; ნაციონალური მოძრაობის მიერ აჭარის გათურქებაზე — 13-ში; ეკონომიკურ ექსპანსიაზე — 10-ში; საქართველოს მოქალაქე აჭარელი მუსულმანების თურქეთის სახელმწიფოსთან გაიგივება კი 8 შემთხვევაშია სახეზე; ევროატლანტიკური ინტეგრაციის თურქეთის ექსპანსიასთან გაიგივება 6 შემთხვევაში ხდება; ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის უგულვებელყოფა და უმრავლესობის პრიმატზე ხაზგასმა 3 შემთხვევაში გამოიკვეთა; 8 შემთხვევაში კი სხვადასხვა საკითხები იყო განხილული.

დიაგრამა 2.1. თურქოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა წყაროების მიხედვით




2.1. aa®nj

სატელევიზიო თოქ-შოუებიდან ყველაზე მეტად თურქოფობიულ და ისლამოფობიურ განწყობებს მედია-კავშირი "ობიექტივი" აღვივებს (22), რომელსაც ტელეკომპანია კავკასიის გადაცემა "სპექტრი" (4) მოსდევს. ბეჭდვით მედი-აში კი შემდეგი რიგითობა იკვეთება: გაზეთები "კვირის ქრონიკა" (7); "ასავალ-დასავალი" (5); "ალია" (4), "კვირის პალიტრა" (1). ინტერნეტ-პორტალებიდან: Geworld.ge-ს (7) და საქინფორმი (3).

მოსაზრებები, რომელთაც სხვადასხვა მედია საშუალებები ავითარებენ, ასახულია დიაგრამა 2.2-ში.

დიაგრამა 2.2. თურქოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა მედია საშუალებების მიხედვით



ധക്ഷാമാദനക്കെന്ന മാജനാ

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲗᲝᲥ-ᲨᲝᲣ "ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ"

ობიექტივის თოქ-შოუ "ღამის სტუდიის" მკაფიოდ გამოხატული სარედაქციო პოლიტიკაა თურქეთის და თურქი ეროვნების ადამიანების ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა. "ობიექტივის" წამყვანები შემდეგ მოსაზრებებს კულტივირებდნენ: თურქეთი, რუსეთის იდენტური საფრთხეა (6); ხდება ეკონომიკური ექსპანსია (3); ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო აჭარის გათურქებას (1); თურქები გაუნათლებელი ერია (1). მაყურებლები კი, რომელთა მოსაზრებებს წამყვანებიც დეკლარირებულად იზიარებდნენ, შემდეგ მოსაზრებებს ამკვიდრებდნენ: ყოფილი ხელისუფლების [ნაციონალური მოძრაობის მმართველობა] ცალკეულ წარმომადგენელთა პოლიტიკის მიუღებლობა ისლამოფობიურ კონტქესტში (4); საქართველო თურქეთის საკუთრებაა (3); ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში საქართველოს თურქეთი დაიპყრობს (2); თურქეთს ისევე აქვს ანექსირებული საქართველო, როგორც რუსეთს (1); მართლმადიდებელი რუსეთი იცავს საქართველოს გამუსულმანებისაგან (1).

თურქეთი, როგორც რუსეთის იდენტური საფრთხე

სოსო ზაალიშვილი: "ერთი მხრივ, არის რუსეთი, მეორე მხრივ, არის თურქეთი რომლისგანაც ჩვენ პრაქტიკუ-ლად, ორივესგან სერიოზული აგრესია მოდის საქართველოს მიმართ..." (25 ნოემბერი, 2014).

ეკონომიკური ექსპანსია

- სოსო ზაალიშვილი: "დღეს რომ გაიაროთ რუსთაველზე, ღიად არის უკვე, წერია ჰალალ, ჰალალ. ეს ხომ ეკონომიკური ექსპანსიაა..." (1 ივლისი, 2014).
- ნინო რატიშვილი: "აჭარაში სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგევართ იმიტომ, რომ... აჭარის მიწა არის გაყიდული და მისი მფლობელები უკვე ქართველები აღარ არიან. უცხო ქვეყნის და ძირითადად თურქეთის მოქალაქეების საკუთრებაა აჭარის უდიდესი ნაწილი" (14 მარტი, 2014).

ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო აჭარის გათურქებას

 ბონდო მძინარაშვილი: "...[ნაციონალურმა მოძრაობამ] ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართული ქალაქბათუმი და ქართული რეგიონი, აჭარა – დღეს უკვე გათურქებულიყო და პირდაპირ საფრთხე გაჩენილიყო" (27 ნოემბერი, 2014);

თურქების, როგორც გაუნათლებელი ერის წარმოჩენა

 სოსო ზაალიშვილი: "ჩვენი მოსახლეობა, ანი, თურქეთის მოსახლეობისგან განსხვავებით, ბევრად განათლებული მოსახლეობაა. თურქეთში 70%-მა მოსახლეობის წერა-კითხვა არ იცის. თორე ერდოღანს არ აირჩევდნენ" (1 ივლისი, 2014).

როგორც 2013 წელს განხორციელებულ კვლევაში¹², ასევე მიმდინარე მონიტორინგის დროს გამოვლინდა ტენდენცია, რომ სატელეფონო ჩართვის ფორმატში, მაყურებელი ძირითადად ერთგვაროვან პოზიციას გამოხატავს, რაც

 $^{^{12} \}quad \text{http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Monitoring_Hate_Speech_and_Discrimination_in_Georgian_Media._GEO.pdf}$

თანხვედრაშია, როგორც წამყვანების, ასევე მოწვეული რესპონდენტების შეხედულებებთან. საბოლოო ჯამში კი, ეს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების სახეს იღებს, რაც მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევაა.

მაყურებლები შემდეგ მოსაზრებებს ავითარებდნენ:

ისლამოფობიური შეფასებები რელიგიურ ინციდენტებთან, ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების აქტივობებთან დაკავშირებით

- "ჩვენ ქრისტიანები არა ვართ, მაგალითად, იმისთანა ბარბაროსები, როგორც იტყვიან, ფანატი მუსულმანები და
 იქ კუკლუქს კლანები მოვუწყოთ და ინკვიზიციები ჩავუტაროთ, მაგრამ ინკვიზიციას ისინი სხვანაირად მიიღებენ"... (26 ივლისი, 2014).
- "ახლა ამ შემთხვევაში, გლაპარაკობ, აი, ამ მეჩეთის თემასთან დაკაგშირებთ, ეს ხალხი აშკარად შეგულიანებულია თურქების მიერ. ეს ბათუმში ძაან იგრძნობა, ამას ჩვენმა პრეზიდენტმაც შეუწყო ხელი, რომელმაც საკმაოდ ბეგრი საეჭვო მოქალაქეობა მიანიგა..." (24 ოქტომბერი, 2014).
- "მაგ ვაჟბატონმა (ირაკლი ალასანიამ) თავის დროზე მეჩეთში ქართული ჯარი დაალოცვინა მოლას, ეს არ უნდა ჩაედინა მაგას..." (17 აგვისტო, 2014).

საქართველო, როგორც თურქეთის საკუთრება

"აჭარა დარჩა აჭარლების გარეშე... თურქები ჩამოასახლეს აჭარაში და დღეს თურქები ბატონობენ და თურქები განაგებენ (12 დეკემბერი, 2014).

ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში, საქართველოს თურქეთი დაიპყრობს

• "ჩვენ რომ გვინდა შევიდეთ ნატოში და დავაყენოთ მათი ჯარები და მათი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, ამას ვინ მოემსახურება? მოემსახურება თურქის ჯარი, რომელიც არის ნატოს წევრი... გადმოიყვანს პირდაპირ თურქს და ბატონმა ალასანიამ რომ ბრძანა, განვათავსოთ თავდაცვის სისტემებიო, პოლიგონად უნდა აქციოს საქართველო?" (30 მაისი, 2014).

"თურქეთის ანექსია" რუსეთის ანექსიის საპირწონედ

 "თავისთავად ცხადია, რუსეთს აგებინო და მიაწვე ანექსიაზე და თურქეთს ტაში დაუკრა და გულში ჩაიხუტო, ეს იქნება დიდი აბსურდი..." (27 ნოემბერი, 2014).

მართლმადიდებელი რუსეთი იცავს საქართველოს გამუსულმანებისგან

 "მას არ ეშინია, რომ თურქეთი და ირანი გადაყლაპავს საქართველოს, ჩვენი დაუძინებელი მტერი? და რომ რუსეთი არა, ჩვენ ეხლა მუსულმანები ვიქებოდით და არც ტრადიციები გვექნებოდა და არც მართლმადიდებლობა... "(30 მარტი, 2014).

თოქ-შოუ "სპექტრის" წამყვანი თურქეთს საფრთხედ (2) წარმოაჩენდა, ისტორიული მოვლენების თანამედროვეობაში არასწორ კონტექსტუალიზაციას (1) ახდენდა და ბიოლოგიურ უპირატესობაზე (1) საუბრობდა:

თურქეთი, როგორც საფრთხე

- 🛑 **დავით აქუბარდია: "**აი, იმათ [თურქები] უნდა ვაჯობოთ, თორემ ისინი შეგვჭამენ". (24 თებერვალი, 2014)
- **დავით აქუბარდია:** "საშინელება, ჩვენ თუ ზღვის მხარე არ ავითვისეთ, დამიჯერე, აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ 1400 მეჩეთი აგვიშენეს თურქებმა საქართველოში. წამოვლენ აქა და დაიკავებენ იმ ადგილებს" (5 მარტი, 2014).

ისტორიის არასწორი კონტექსტუალიზაცია

დავით აქუბარდია: "შაჰაბასი იყო პათოლოგი საქართველოსთვის. 6000 მღვდელმსახური ამოგვიწყვიტა დავით გარეჯში, თან როდის? აღდგომა ღამეს ... ცნობილი ისტორიაა, 30 000 ლაზს თაავები დაჭრეს... 50 ათასიანი არმია ხეობაში მიაყენეს, ვინც არ მიიღებთ ისლამს, თავებს დაგაყრევინებთო. დააყრევინეს. მაპატიე რა, ამდენ მეჩეთებს რომ ვარიგებთ, ჯერ სახელმწიფოს სახელით იმ 30 ათას ლაზზე ბოდიში მოიხადა თურქეთის რომელიმე ჩინოვნიკმა საქართველოს წინაშე?... ან ჩვენი ირანელი ძმებისგან და ისტორიული მეზობლებისგან ვინმემ მოიხადა 6000 მღვდელმსახურს რომ ყელი დააჭრეს?... რატომღაც ამ ბეჩავი ქრისტიანებისგან ითხოვენ ტოლერანტობას. იქედან მოდის ეს მესიჯი?..

რა საჭირო იყო [მინარეთის] ტრანსპორტირება თურქეთიდან?.. ახლა იმ სოფელში, ხო ის მინარეთი დაფინანსებულია. არ უნდა ხდებოდეს უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული, დაპროექტებული, რაღაცა შემაკავებელი უნდა არსებობდეს" (26 დეკემბერი, 2014).

ბიოლოგიური ნიშნით სეგრეგაცია

🔍 "ჯიში გავუუმჯობესეთ ეგერ თურქებს"... (16 დეკემბერი, 2014).

പേരുടെ വയവടമുള്ള

ᲒᲐ<mark>Გ</mark>ᲔᲗᲘ "ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ"

გაზეთ "კვირის ქრონიკის" შემთხვევაში 7 დარღვევა გამოიკვეთა, რა დროსაც ჟურნალისტები ამკვიდრებდნენ მოსაზრებებს, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჭარის გათურქებას შეუწყო ხელი (4); თურქი მწერლის ორჰან ფამუქის ლიტერატურული ნაწარმოები შუღლის გაღვივებას უწყობდა ხელს (2); ამასთანავე ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას.

სააკაშვილმა ხელი შეუწყო აჭარის გათურქებას

გიორგი ჯიქიაშვილი: "საკუთარი საკონსტიტუციო ვადის ბოლო დღეებში [სააკაშვილმა] ათიათასამდე უცხოელ მუსლიმანს ქართული პასპორტი მისცა და ისედაც გათურქების პირას მყოფი აჭარა პირდაპირ თურქეთის ლუკ-მად აქცია. დღეს ყველამ იცის, რომ იმ მოქალაქეების გარკვეული ნაწილი სირიაში, ისლამური სახელმწიფოს სახელით იბრძვის და ტერორისტულ აქტებს აქტებზე ახორციელებს" (19-25 იანვარი, 2014).

თურქი მწერლის ორჰან ფამუქის ლიტერატურული ნაწარმოების ეროვნული შუღლის კონტექსტში წარმოჩენა

ი გელა ზედელაშვილი: "დამეთანხმებით, ნობელის პრემიის ლაურეატი პირდაპირ მოუწოდებს სამხედროებს,

ყარსშივე გაანადგურონ და არ შეუშვან მის ქვეყანაში. იგივე ლოგიკით, ჩვენც შეგვიძლია მოვითხოვოთ აჭარაში შემოსული თურქების გაძევება და მოსპობა, მაგრამ ქართველები ხომ ცოტა წავუდებილებთ?" (24–30 მარტი, 2014).

ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფა

🏓 **გელა ზედელაშვილი: "..**.მერე ვთვრები, გადარეული ვაგინებ ხოლმე თურქებს დედის ტრაკს!" (2–8 ივნისი, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ"

ჟურნალისტებმა 5 შემთხვევაში გააკეთეს შეფასებები, რომლებიც მკვეთრად თურქოფობიული და ისლამოფობიური ხასიათის იყო: აჭარა თურქეთის საკუთრებაა (2); ისტორიული მტერი ოსმალეთის იმპერიის აღდგენას ცდილობს (1); რელიგიური ინციდენტები დაკავშირებულია საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან და მის ოჯახთან (1). ამასთანავე საკულტო ნაგებობებით სარგებლობის თემა (1) ნაცვალგების პრინციპით არის განხილული.

აჭარა თურქეთის საკუთრებაა

• ირინა გოგოსაშვილი: "რა უფრო ქართული იყო, ის რომ ასლან აბაშიძის დროს ერთი გოჯა მიწა თურქებზე არ გაყიდულა, აჭარაში ერთი თურქული რესტორანი არ ყოფილა და 2-3 მეჩეთი არსებობდა, თუ ის არის ქართული, დღეს ისლამის კოსმოდრომებს, რომ დაამსგავსეს აჭარა?!.. თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე აჭარა, შესაძლოა, საქართველოს შემადგენლობაში აღარც იყოს!" (20-26 ოქტომბერი, 2014).

ისტორიული მტერი ოსმალეთის იმპერიის აღდგენას ცდილობს

• ჯაბა ხუბუა: "დიახ, თურქეთი, რომელიც ჩვენი ისტორიული მტერი იყო, დღეს, რატომღაც, ჩვენი "დიდი მეგობარი" გახდა და ერთადერთი, რასაც გვიკეთებს, ის არის, რომ მაქსიმალურად ცდილობს აჭარის ანექსიას! თურქეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი დავითოღლუ ის კაცია, რომელიც ცოტა ხნის წინათ, საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, ღიად აცხადებდა, ოსმალეთის იმპერია უნდა აღდგეს და აჭარაც მის შემადგენლობაში უნდა შევიდესო!" (10-16 ნოემბერი, 2014)

რელიგიური ინციდენტების დაკავშირება საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან და მის ოჯახთან

 დიტო ჩუბინიძე: "ინციდენტები და ატეხილი ვაი-უშველებელი სოფელ ჭელაში, სოფელ მოხეში, სოფელ ნიგვზიანსა და ქობულეთში, როცა მეჩეთის კარზე ნუგზარ წიკლაურისა თუ ღორის თავი მიაჭედეს, სუყველაფერი იმართება საქართველოს დაუძინებელი მტრის — სააკაშვილისა და დედამისის იმ ბოროტი მეგობრების მიერ, რომლებიც დიდი ალბათობით თურქეთის სპეცსამსახურებთან არიან დაკავშირებულნი" (27 ოქტომბერი — 2 ნოემბერი, 2014).

საკულტო ნაგებობების განხილვა ნაცვალგების პრინციპით

ზაზა დავითაია: "საქართველოში მეჩეთების მშენებლობის ბუმია. მავანი კი, ათობით ტაძარს გვედავება" (2-8 თებერვალი, 2015).

გეგეთი "ბლია"

4-დან 3 შემთხვევაში თურქეთი სხვადასხვა (ეკოლოგიური, კვების, ტრეფიკინგის) პრობლემების გამომწვევად იყო წარმოჩენილი, ხოლო ერთ შემთხვევაში საუბარი იყო თურქეთის რელიგიურ ექსპანსიაზე.

თურქეთი, როგორც სხვადასხვა პრობლემის გამომწვევი მიზეზი

• თამარ ოქრუაშვილი: "მე ვიყავი თურქეთში ჩასული, იქაურმა კაცმა პომიდორი მაჩვენა და მითხრა, რომ ამას ჩემი მეზობელი ახლა აგზავნის თქვენთან და იგივე პომიდორი რომ სუფრაზე დადოს მისმა ხანუმამო, იმას თავს წააგდებინებს, რადგანაც მოწამვლის შეეშინდებაო" (12 ივნისი, 2014).

რელიგიური ექსპანსია

• ნიუპოსტი: "ადგილობრივები ამბობენ, რომ მუსლიმანთა სასწავლებლის გახსნით თურქეთი აჭარის შეფარულ ექსპანსიას ეწევა და რეალურად შენობაში არა პანსიონი, არამედ მედრესე იხსნება, სადაც ბავშვებს რელიგიურ ლიდერებად მოამზადებენ" (17 სექტემბერი).

ᲒᲐᲒᲔᲗᲘ "ᲥᲕᲘᲠᲘᲡ <u>ᲒᲐᲚᲘ</u>ᲢᲠᲐ"

გაზეთი თევზჭერის პრობლემის დაკავშირებას თურქეთთან ახდენდა.

თურქეთი, როგორც სხვადასხვა პრობლემის გამომწვევი მიზეზი

 პროგოკატორი: "თურქეთზე გამახსენდა: კი არის ჩვენი ძმა და ჩასახუტებელი მეგობარი, მაგრამ ძალიან "ღრმად და ახლოს გვეხუტება" ხანდახან და მთლად სასიამოვნო არ არის ხოლმე... თურქს რომ ფეხებზე ჰკიდია, მისი ლიცენზიის ამოწურვის შემდეგ ჩვენთან თევზი დარჩება თუ – არა, სულაც არ მიკვირს" (12 თებერვალი, 2015).

COPICE BOCPAM

GEWORLD.GE

ინტერნეტ–პორტალი ავითარებდა აზრს, რომ ნატოში ინტეგრაცია საქართველოს გათურქების ტოლფასი იყო (1); საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველე–ბისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება — ქვეყნის ისლამიზაციას ნიშნავდა (2); 2 შემთხვევაში თურქეთი საფრთხედ, 2–ში კი აჭარა თურქეთის საკუთრებად იყო წარმოდგენილი.

ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში, საქართველო გათურქდება

 იაკობ ლეჟავა: "ხვალ, ანუ ნატოში შესვლის შემდეგ, თურქების გავლენა საქართველოში (სამხედრო ძალის შემოსვლაც, ნატოს ეგიდით) უდავოდ მოიმატებს და ხელისუფლება, სურვილის შემთხვევაშიც კი, წინ ვერ აღუდგება ნატოს წევრ ჩვენს მეზობელს, რომელიც დიდ თურქეთზე ოცნებობს და აჭარაზე პრეტენზიაც ბევრჭერ გამოხატა საჭაროდ... თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქართველებს ისე რომ ეპყრობიან, როგორც მონებს, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ თბილისშიც არანაკლებს ბედავენ — დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე გახსნილ კაფეებში ქართველებს არ უშვებენ, თურქი ინვესტორები ქართველ ექიმებს გინებას არ აკლებენ და პატრიარქის სურათის ჩამოხევასაც კი ცდილობენ!.." (18 აპრილი, 2014).

თურქეთი, როგორც საფრთხე

ეკა ნასყიდაშვილი: "პოლიტოლოგები ცხელ რეგიონად მიიჩნევენ აჭარას, სადაც, თურქების გალაღების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი პრობლემების წინაშე დგას, უკვე ეთნიკური კონფლიქტებიც შეინიშნება, მაგრამ არანაკლებ პრობლემური ტერიტორიაა სამცხე-ჯავახეთი, რომელზეც ამბობენ, რომ "გაუთამაშებელი კარტია" (26 ნოემბერი, 2014).

სააკაშვილმა ხელი შეუწყო აჭარის ისლამიზაციას

• ჯაბა უგანია: "ნაცსექტის ბელადმა"... თურქეთის 10 ათასამდე მოქალაქეს ქართული პასპორტები დაურიგა და ისედაც ისლამური ექსპანსიის ქვეშ მგმინავი აჭარა თურქეთის ულუფად აქცია" (22 იანვარი, 2014).

აჭარა თურქების საკუთრებაა

მაია გელაშვილი: "ბათუმის მოსახლეობას დისკომფორტს უქმნის თურქების მომრავლება ქალაქში..." (4 ივნისი, 2014).

საძინფორმი

საქინფორმის 3 სარედაქციო მასალაში შემდეგ ფორმულებს ვხვდებით:

პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველო გაათურქა

[სათაური] "სააკაშვილმა ქართული მიწები თურქეთს უსახსოვრა" (20 ივნისი, 2014).


 არნო ხიდირბეგიშვილი: "საქართველოში კი [მიხეილ სააკაშვილმა] რუსული ენა მოსპო — იმ მიზნით, რომ რუსულენოვანი მოსახლეობა საქართველოდან გააძევოს და სანაცვლოდ 300 ათასი თურქი მესხი ჩამოიყვანოს" (საქინფორმი, 15 დეკემბერი, 2014).

თურქეთი, ამერიკასთან ერთად, რუსეთის საზღვართან ქაოსის კონცეფციას ავითარებს

 "რეგიონის სპეციფიკის და პრორუსული ლოზუნგების მიუხედავად, ამ აქციის [სოხუმში საპროტესტო გამოსვლა] უკან შესაძლოა თურქეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურები იდგნენ, რომლებიც რუსეთის საზღვრებზე ქაოსის კონცეფციის განვითარებას განაგრძობენ" (2 ივნისი, 2014).


2.2. ᲞᲝᲦᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

პოლიტიკური პარტიებიდან თურქოფობიულ და ისლამოფობიულ გამოხატვას ყველაზე ხშირად პატრიოტთა ალიანსი მიმართავდა (30), რომელსაც მოსდევს სახალხო კრება (10) და ბურჯაძე-გაერთიანებული დემოკრატები (7), შემდეგ ადგილზეა ქართული ოცნება (3), მას მოსდევს სახალხო პარტია (2), თავისუფალი საქართველო (1) და პარტია "იმედი" (1).



დიაგრამა 2.3. თურქოფობიის/ისლამოფობიის წყაროები პარტიების მიხედვით

ძირითადი გზავნილები, რომელთაც პოლიტიკური პარტიები თურქოფობიულ/ისლამოფობიურ კონტექსტში აკეთებდნენ, მე-4 ცხრილშია დაჯგუფებული.



დაიგრამა 2.4. თურქოფობიის/ისლამოფობიის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით

პა**ი**რეობთა ალეანსე

პოლიტიკური პარტიებიდან თურქოფობიულ და ისლამოფობიურ გამოხატვას ყველაზე ხშირად პატრიოტთა ალიანსი მიმართავდა (30) და ძირითად საინფორმაციო წყაროდ მედია-კავშირ "ობიექტივს" იყენებდა, რომლის დამფუძნებლე-ბი აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები არიან. 30-დან მხოლოდ 6 შემთხვევაში იყო მსგავსი გამოხატვა სხვა მედია საშუალებებში (ტელეკომპანიები "იმედი" და "კავკასია", გაზეთი "რეზონანსი", სააგენტოები "რეპორტიორი" და Geword. ge) წარმოდგენილი. პარტიის წევრებიდან კი ყველაზე მეტად დავით თარხან-მოურავი (20) აქტიურობდა.

პატრიოტთა ალიანსი შემდეგ მოსაზრებებს კულტივირებდა: აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა თურქეთის რელიგიური და სამხედრო ექსპანსიის მცდელობას წარმოადგენს (5); თურქეთი არის საფრთხე, მათ შორის ყარსის ხელშეკრულების კონტექსტში (9); ნატოს საწვრთნელი ბაზა საქართველოში თურქეთის შემოსვლის ტოლფასია (3); თურქეთს ისევე აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები, როგორც რუსეთს (2); თურქეთი საფრთხეს უქმნის ქართველ გლეხს (3) და ახორციელებს ეკონომიკურ ექსპანსიას (3); ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო აჭარის გათურქებას (3); საზღვრის ინციდენტი (რომელიც ოფიციალური წყაროებით არ დასტურდება) და მესხების რეპატრიაციის დაკავშირება საფრთხეებთან.

აზიზიეს მეჩეთი, როგორც რელიგიური და სამხედრო ექსპანსია

დავით თარხან-მოურავი: "აზიზიეს მეჩეთის სახით ეს იყო სიბოროტე რელიგიურ ნიღაბში. ეს იყო თურქეთის სადაზვერვო ცენტრი, თურქეთის ისეთი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ადამიანს მთლიანად ტვინს შეუბრუნებდა... რელიგიურ განათლებას იღებენ [თურქეთში] და შემდეგ ჩამოდიან ისეთი აზრებით, რომ თურქეთზე დიდი მეგობარი საქართველოს არ ჰყოლია..." (კავკასია, ბარიერი, 14 ივნისი, 2014).

თურქეთი, როგორც საფრთხე, მათ შორის, ყარსის ხელშეკრულების კონტექსტში

- დაგით თარხან-მოურავი: "გეგმა იქ მარტივია: რაც შეიძლება მეტი თურქი გაჩნდეს იქ, შეიცვალოს დემოგრაფიული სურათი, თურქები ნელ-ნელა გახდნენ იმდენი, რომ შეიძლება მერე პარტია ჩამოიყალიბონ, ბათუმის მერიც გაიყვანონ თურქი კაცი. რაც მთავარია, თურქების გონებაში ტრიალებს ის აზრი, რომ 2021 წელს, როცა ასი წელი შესრულდება ყარსის ხელშეკრულებიდან, რომ ისინი რეფერენდუმს მოაწყობენ" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 8 ივნისი, 2014).
- სოსო მანჯავიძე: "აქ თურქეთია, თურქეთი, რომელიც ასევე საშიშია" (კავკასია, ბარიერი, 1 აპრილი, 2014).

ნატოს საწვრთნელი ბაზის გაიგივება თურქეთთან

დავით თარხან მოურავი: "ამ სასწავლო ცენტრებში [ნატოს] მრწვთნელები და მასწავლებლები, ძირითადად, არ იქნებიან ამერიკელები, ან ფრანგები, ან გერმანელები... ძირითადად ეს იქნებიან თურქები... ისევე, როგორც აქამდე, ძირითადად იყვნენ თურქები, რაც მე არასოდეს არ მომწონდა და არც ეხლა მომწონს" (6 სექტემბერი, 2014).

თურქეთის "ოკუპაცია" რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ

🗨 **დავით თარხან-მოურავი: "**მაგალითად, 30% ჩვენი ტერიტორიის 95 თუ 96 წელია, რაც ოკუპირებულია თურქე-

- თის მიერ... ჩვენი ტერიტორია რუსეთსაც აქვს წართმეული, თურქეთსაც აქვს წართმეული" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი, 2014).
- დავით თარხან-მოურავი: "არასოდეს არავითარი სიკეთე თურქეთს არ მოუტანია არც საქართველოსთვის, არც ერთი ევროპული ქვეყნისთვის, და საერთოდ, მსოფლიოში არავისთვის. მთელი თავისი ისტორიის განმავლო-ბაში თურქეთი იყო დამპყრობელი ქვეყანა, რომელიც ანადგურებდა სახელმწიფოებს და ხალხებს... თურქეთს მხოლოდ აინტერესებს კვლავ საქართველოს დაპყრობა" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 მაისი, 2014).

თურქეთი, როგორც საფრთხე ქართველი გლეხისთვის

• დაგით თარხან-მოურავი: "ქართველი გლეხი ამოწყდა, ქვეყანა გაუბედურდა. თურქული მესამეხარისხოვანი საქონელი შემოდის და მილიარდები მიდის აქედან... ჩვენ ვუხდით ფულს, იმათ შემოაქვთ ნაგავი... და ჩვენ ვიძახით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიო. სტრატეგიული პარტნიორი კი არაა, სტრატეგიული ვამპირია, რომელსაც გააქვს ქართველი კაცის შრომით ნაშოვნი ფული"... (ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 მარტი, 2014).

თურქული ინვესტიციების წარმოჩენა ეკონომიკურ ექსპანსიად

• დავით თარხან-მოურავი: "აჭარაში ჩამოვიდა თურქი, სახელმწიფომ მისცა თურქეთის მას ფული, რომ ამ კაცმა 3–ჯერ უფრო ძვირად იქირაოს ფართი, ვიდრე ის ღირს, დაიქირაოს იქ ქართველი კაცი მუშად, შექმნას მუშა-ობის ილუზია, მუშაობა იქ არ ხდება, და ასეთნაირად 37 000 კაცი დასახლდა უკვე ბათუმში. ეს არის თუ არა ქვეყნის დაპყრობა?" (იმედი, რეაქცია, 16 მაისი, 2014).

ნაციონალურმა მოძრაობამ აჭარა თურქებზე გაასხვისა

- ირმა ინაშვილი: "[გიორგი ბარამიძე] თურქებისათვის აჭარის მიყიდვის სამარცხვინო და მზაკვრულ საქმეში ჩაერთო" (რეპორტიორი, 15 სექტემბერი, 2014).
- ვაჟა ოთარაშვილი: "აღარაფერს ვამბობ სააკაშვილის ფაშისტური ხელისუფლების პროთურქულ სახელმწიფოთა "საოჯახო" ორიენტაციაზე ანდა დღევანდელი თურქული სერიალებით ავსებულ ტელესივრცეზე, მაშინ, როცა ქართული კინო სულს ღაფავს... " (Geworld.ge, 14 აგვისტო, 2014).

თურქი მესაზღვრეების მიერ აჭარაში საზღვრის გადმოკვეთის შესახებ დაუდასტურებელი ცნობების საფრთხედ წარმოჩენა

- დავით თარხან-მოურავი: "...არავის არაფერს არ დავუთმობთ ჩვენ და თუ ამას დასჭირდება, მაგ თურქ მესაზღვრეებს გავუხეთქოთ თავები, ზუსტად მაგ თავს გავუხეთქავთ. ძალადობა არის, როდესაც თურქი მესაზღვრე გადმოდის და გეუბნება, რომ გაეთრიე აქედან და იქ რომ ვიქნები, გავუერთიანებ თავ-ყბას მაგას" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 და 31 მაისი).
- გაჟა ოთარაშვილი: "ქართულ მიწა-წყალზე გადმოვიდა ვიღაცა გადამთიელი, რომელიც სამი საუკუნე განადგურებდა, რომელმაც 1723 წელს მეფობის გაუქმება დაიწყო საქართველოში და დღეს მოდის, ვითომ როგორც შენი მეგობარი" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 31 მაისი, 2014)

მესხების რეპატრიაციის დაკავშირება ყარსის ხელშეკრულებასთან

🗨 **დავით თარხან-მოურავი: "**ძალიან უარყოფითია ჩემი აზრი [მაჰმადიანი მესხების მოქალაქეობის მინიჭებას–

თან დაკავშირებით]. მე ვთვლი, რომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა, მიეყიდა აჭარა თურქეთისთვის, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი თურქი მოქალაქე საქართველოს მოქალაქედ ექცია იმ მიზეზით, რაც ავანტიურაა ჩემი აზრით, რომ 2021 წელს ყარსის ხელშეკრულებით მოითხოვონ ახალი რეფერენდუმი" (კავკასია, ბარიერი, 14 ივლისი, 2014).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

პატრიოტთა ალიანსის შემდეგ თურქფობიული და ისლამოფობიური განწყობებით ბურჯანაძე-გაერთიანებულ დემოკრატებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახალხო კრება (10) გამოირჩევა.

სახალხო კრება ამკვიდრებდა აზრს, რომ თურქეთს ისევე აქვს ოკუპირებული საქართველო, როგორც რუსეთს (2); რუსეთის დაშლა საქართველოსთვის თურქეთის საფრთხეს გააძლიერებს (1); თურქეთი ოკუპანტია (2); ის ახორციელებს ეკონომიკურ ექსპანსიას (1); ასევე კულტურულ-რელიგიურს (3) და რომ სახეზეა აჭარის ისლამი-ზაცია (1).

თურქეთის ოკუპაცია რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ

• გია ბურჯანაძე: "თურქეთს არა აქვს ოკუპირებული საქართველო?.. თქვენმა ხელისუფლებამ [ნაციონალური მოძრაობა] შეუწყო ხელი თურქეთის ექსპანსიას დღეს საქართველოში. თქვენ გაქვთ ორმაგი სტანდარტები. რუსეთი არის ოკუპანტი და თურქეთი არ არის?" (იმედი, რეაქცია, 21 თებერვალი, 2014).

რუსეთის დაშლა თურქეთის საფრთხეს გააძლიერებს

• ელიზბარ ჯაველიძე: "რუსეთი თუ დაიშალა... საკმაოდ სერიოზული საფრთხე გვემუქრება თურქეთიდანაც. ადრე მითქვამს, რომ თურქეთი დღემდე ვერ შეეგუა აგარის დაკარგვას. იქ არიან ძალები, რომლებიც აგა-რის დაბრუნებას ითხოვენ. აგარაში ცუდი პროცესებია დაწყებული. სააკაშვილის დროს ათეულობით ათას თურქს მისცეს საქართველოს მოქალაქეობა" (კვირის ქრონიკა, 17-23 მარტი, 2014).

თურქეთი, როგორც ოკუპანტი

ელიზბარ ჯაგელიძე: "დღეს ქევყანაში მიდის დიდი თურქობა, ამას თავიდანვე სააკაშვილი ხელმძღვანელობდა... ჩადით აჭარაში, ნახეთ, რა ხდება, გათურქებულია იქაურობა... ეს არის ტერიტორიების დაპყრობა მშვიდობიანი გზით. თავის დროზე დავით-ოღლუმ განაცხადა, საქართველოში, რა თქმა უნდა, იარაღით არ შევიჭრებით, მაგრამ აჭარას დავიბრუნებთ ეკონომიკური გზით, რასაც მოჰყვება რეფერენდუმის ჩატარება"... (კვირის ქრონიკა, 19-25 იანვარი, 2014).

თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია

• ელიზბარ ჯაველიძე: "შემოიჭრნენ და რა ხდება? ეკონომიკა... მთლიანად წაღებული აქვთ. პირველი სართული. გერმანიაში წაიღო თურქებმა და აქ არ წაიღებენ პატარა აჭარაში?" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 29 დეკემბერი, 2014).

კულტურულ-რელიგიური ექსპანსია

ელიზბარ ჯაველიძე: "უპრაგონოდ" თუ გააგრძელებენ შენებას, ყველა უნდა დაინგრეს... ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სალოცავები სჭირდებათ, იმას ნიშნავს, რომ ამით ჩვენი ქრისტიანობის, განდევნა უნდათ. შეხედეთ ეკრანს, ვერც ერთ არხს ვერ ნახავთ, სადაც თურქული სერიალი არ გადის. ეს რას ნიშნავს?.. თუ არ აღვუდექით მათ (თურქულ სერიალებს), თურქები რას კარგავენ?.. სწორედ რელიგიითა და კულტურით ხდება ტერიტორიების დაკარგვა" (ალია, 16 სექტემბერი, 2014).

აჭარის ისლამიზაცია

ელიზბარ ჯაველიძე: "ასლან აბაშიძის დროს აჭარა ქრისტიანდებოდა... დღეს რა ხდება აჭარაში? დაახლოებით 32-33 ათასი უცხო თესლის ოჯახია ჩაწერილი აჭარაში, ანუ, სულ მცირე 150 ათასი საკუთრების მქონე უცხოელი ცხოვრობს და ეს არის ჩვენი ერის უდიდესი ტრაგედია! ძირითადად ესენი არიან თურქები" (ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი, 2014).

ᲑᲣᲠᲰᲐᲜᲐᲫᲔ – ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ

ბურკანაძე-გაერთიანებულ დემოკრატებში შემავალი პოლიტიკოსები (7) შემდეგი სახის თურქოფობიულ და ის-ლამოფობიურ განცხადებებს აკეთებდნენ: თურქეთი ისეთივე საფრთხეა, როგორც რუსეთი (1); თურქეთს ოკუ-პირებული აქვს საქართველოს ისტორიული მიწები (1); სახეზეა ეკონომიკური ექსპანსია (2); მუსლიმთა რელიგია ტერორიზმის იდეოლოგიას აყალიბებს (2); ქართველებმა ჯიში გაუუმჯობესეს თურქებს (1).

თურქეთის საფრთხე რუსეთის საფრთხის საპირწონედ

• კონდი ბაღათურია: "თურქეთი არაა საფრთხე? ... სირცხვილად ითვლება მარტო რუსეთის აგენტობა და თურქეთის აგენტობა მაინდამაინც დიდ სირცხვილად არ ითვლება?.. ყველა პროვოკაცია, რაც რელიგიურ ნიადაგზე მუსლიმებსა და მართლმადიდებლებს შორის ხდება, არის თურქული სპეცსამსახურების მიერ პროვოცირებული და დაფინანსებული" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 ოქტომბერი, 2014).

თურქეთი, როგორც ოკუპანტი

თეიმურაზ შაშიაშვილი: "თქვენ გავიწყდებათ, რომ თურქეთის ტერიტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ისტორიული მიწა-წყალია და ეს თითოეულმა თურქმა ძალიან კარგად იცის" (ასავალ-დასავალი, 15-21 სექტემბერი, 2014).

თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია

• თემურ შაშიაშვილი: "საქართველოს პარლამენტში რომ ხარ და თავმოყვარეობა გაქვს, აქ თურქ ბიზნესმენებს ფეხებს უნდა ბანდე და ხალიჩასავით ეგებოდე? აჭარაში რა ხდება ხომ ხედავთ? თურქეთში ამბობენ, აღმაშენებლის პროსპექტი ჩვენია, იქ რა ობიექტებიც არის, სულ ჩვენიაო" (ალია, 9 სექტემბერი, 2014).

გაიგივება ტერორიზმის საფრთხესთან

ჯონდი ბაღათურია: "ჩვენ რომ მოვინდომოთ, მაგალითად, ხოფაში ან ტრაპზონში ან სამსუნში ან რომელიმე ქალაქში ქრისტიანობის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის გახსნა, ამას თურქეთის ხელისუფლე- ბა დაუშვებს?.. ამას მოჰყვა საუბარი კიდევ აზიზეას მეჩეთის, მედრესი უნდა იყოს იმისი, ეს არის პლუს სასწავლებელი ცენტრი. როგორ ყალიბდება ტერორიზმი? ტერორიზმი ხო იდეოლოგიაა?.. მოზარდების გონება, როცა მათი ფსიქიკა, მათი გონება არ არის ჩამოყალიბებული, მათი გონების რაღაცა ფანატიზმისკენ მიდრეკა, რაღაცაში დარწმუნება და მერე მათი გამოყენება, როგორც საზარბაზნე ხორცი" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 სექტემბერი, 2014).

გენეტიკური უპირატესობა

გიგლა ბარამიძე: "შე დალოცვილო, სად იყო ჩრდილოეთის იმპერია, როდესაც ჩვენ ჩვენს სისხლსა და ხორცს ვყიდდით... ჯიში გავუუმჯობესეთ თურქებს, სპარსელებს"... (კავკასია, სპექტრი, 16 დეკემბერი, 2014);

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ქართული ოცნების წარმომადგენლები აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის მიუღებლობაზე (2), თურქული პროდუქ-ციის და ზოგადად, ყველაფერი თურქულის მიუღებლობაზე (1) ამახვილებდნენ ყურადღებას:

აზიზიეს მეჩეთის მიუღებლობა

 მურმან დუმბაძე¹³: "კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი რამდენიმე წლის წინ და დღესაც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გარედან შენდებოდეს საკულტო ნაგებობები" (რუსთავი 2, პოსტკრიპტუმი, 14 სექტემბერი, 2014).

თურქულის მიუღებლობა

გოგი თოფაძე: "...აი, თურქული რა ვარგა, მითხარი ერთი?! ის კარგს არ გამოგზავნის აქ... არავინ, თუ ევროპა არ გამოგზავნის კარგს, ირანი გამოგზავნის კარგს?!" (კავკასია, სპექტრი, 22 სექტემბერი, 2014).

06000066 68dU

სხვა არასაპარლამენტო პარტიებიდან 3 შემთხვევა აზიზიეს მეჩეთის წინააღმდეგ იყო მიმართული: სახალხო პარტია (2), თავისუფალი საქართველო (1); ხოლო 1 შემთხვევაში (პარტია "იმედი") თურქეთის, როგორც საფრთხის წარმოჩენა ხდებოდა:

აზიზიეს მეჩეთის მიუღებლობა

 მამუკა გიორგაძე, სახალხო პარტია: "ჩვენ არა ვართ მეჩეთების თავისთავად წინააღმდეგი, მაგრამ თურქული ექსპანსიის წინააღმდეგი ნამდვილად ვართ" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 ნოემბერი, 2014).

¹³ ამჟამად აღარ არის ქართული ოცნების წევრი.

 მერაბ ღოღობერიძე, თავისუფალი საქართველო: "...როდესაც დუმბაძემ მეჩეთის მშენებლობას მხარი დაუჭირა, მაშინ მეჩეთის მაკეტი ავუტანე თავის სამსართულიან სახლთან და ვუთხარი, ბათუმის ცენტრში კი არ უნდა აშენდეს, საკუთარი სახლი დაუთმე თურქებსთქო" (კვირის ქრონიკა, 17-23 მარტი, 2014).

თურქეთი, როგორც საფრთხე

ირინა სარიშვილი, იმედი: "ყირიმი უკრაინას არ დარჩება... თურქეთი გაბატონდება ყირიმში და მერე ამას რაც მოჰყვება, თუ თქვენ არ იცით, ეგებ მშობლებს მაინც ჰკითხოთ... თუმცა, ზოგიერთმა ეგებ იცის კიდეც, რას მოუტანს ეს საქართველოს — აფხაზეთი და სამაჩაბლო ვიღას გაახსენდება, ახალი პრობლემები დაიწყება, მით უმეტეს, რომ ისედაც გაივსო ჩვენი სამშობლო, დიახ, ჯერ კიდევ ჩვენი სამშობლო, თურქული "ბიზნესებით" და სერიალებით!!! ეგებ ვინმეს უკრაინის მხარდაჭერა ჰგონია, თუ ყირიმში თურქულ პასპორტებს დაარიგებენ?!!!!!!!!!!!!!" (Geworld.ge, 4 მარტი, 2014).

2.3. Ьეදისუფදეგის амдарча და ყოფიදი წარамаბდგენදეგი

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ

ადგილობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციული განცხადებები ქობულეთში მომხდარ რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტს უკავშირდებოდა, როდესაც 2014 წლის 10 სექტემბერს ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის წარმომადგენლებმა მუსლიმთა პანსიონის ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ ღორი დაკლეს და პანსიონის შენობის შესასვლელ კარზე დაამაგრეს. მომხდართან დაკავშირებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მისი მოადგილის განცხადებებში უმრავლესობის პრიმატზეა საუბარი, რაც საჯარო მოხელისთვის აუცილებელი რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპთან შეუსაბამოა.

- სულხან ევგენიძე, ქობულეთის გამგებელი: "მაგრამ ეს ხალხი თავად მუსლიმების განცხადებამ გააღიზიანა თავის დროზე. ეუბნებოდნენ — მინარეთი უნდა ავაშენოთო. სინამდვილეში მინარეთის აშენება არ იგეგმებოდა... ადგილობრივ ქრისტიანებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, მაგრამ მუსლიმებმა თქვეს, რომ ეს ჩვენი მხრიდან არ ხდება და ჩვენთვისაც უცნობი ადამიანები აკეთებენ ამასო... მე ყველა რწმენას პატივს ვცემ, მაგრამ მოსახლეობის აზრიც ძალიან მნიშვნელოვანია" (რეზონანსი, 15 სექტემბერი, 2014).
- ირაკლი ცეცხლაძე, ქობულეთის გამგებლის მოადგილე: "კონსტიტუციით ეს უფლება განმტკიცებული აქვს იმ ხალხს, ვინც, მაგალითად, აქ სასწავლებლის გახსნას გეგმავს, მაგრამ ჩემთვის, როგორც გამგებლის მოად-გილისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე მოსახლეობის აზრი. ანუ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და ზოგადად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლისთვის, რომ აქ არ მოხდეს მრევლს შორის დაპირისპირება" (მაესტრო, მაესტროს ცხრიანი, 10 სექტემბერი).
- გიორგი კოხოძის [მოხეს პოლიციის უფროსი] პერიფრაზი: "ჭელის მოვლენების დროს მან [გიორგი კოხოძე] არა მარტო მუსლიმებს, მთელი მსოფლიო მუსლიმებს მიაყენა შეურაცხყოფა თავისი ქმედებით. თათარი დედაო, აი, ამ სიტყვებით შეიგინა..." (თეიმურაზ მიქელაძე, მოხეს მკვიდრი, რუსთავი 2, კურიერი, 16 თებერვალი, 2015).

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ

თანამდებობის ყოფილი პირები – თავდაცვის ყოფილი მინისტრი (1); საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი (2) და ყოფილი სახალხო დამცველი (1) აჭარის გათურქების საფრთხეზე საუბრობდნენ; რუსეთის დაშლის შემთხ- ვევაში, საქართველოს გამუსულმანების საფრთხეზე უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი (1) ამახვილებდა ყურად- ღებას; ისლამოფობიურ შეფასებებს კი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი (2) აკეთებდა.

აჭარის გათურქება

- თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი: "ბათუმი გავსებულია თურქებით და ჩვენი მოსახლეობა
 განიცდის შევიწროებას. მე ვარ ჩემი ქვეყნის პატრიოტი. ცოტა ხანში აქ ყველა პატრიოტი ამოვა და დადგება.
 ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, ასე უბრალოდ არ არის მიწები ჩამოგაჭრა" (ინტერპრესნიუსი, 2 ივნისი,
 2014).
- გალერი გელბახიანი, პარლამენტის ყოფილი წევრი: "მაჩერებდა ხალხი, ქუჩაში მაჩერებდა და მეუბნებოდა, ხალხი არ ხართო, გვიშველეთ რამეო, ბათუმი გახდა თურქული ქალაქი... ეს არის ძალიან საშიში პროცესი, რაც ეხლა იქ მიმდინარეობს... ის, რომ ჩვენ უსაფრთხოების ზომები გვაქვს მისაღები ამ მხრივ, ეს არის გარდაუვალი... 2004 წლიდან 2010 წლამდე თითქმის გათურქდა მთელი ბათუმი... 150 ათასი კაცი რომ ერთ ქალაქში შემოგივა... სრულიად ექსპანსიაა" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 დეკმბერი, 2014).
- ნანა დევდარიანი, ყოფილი სახალხო დამცველი: "გადავხედოთ საქართველოს შიდა ბაზარს და მივხვდებით, რომ თურქეთს არა მხოლოდ აჭარაზე უჭირავს თვალი, არამედ მისი მოქალაქეები დედაქალაქის ცენტრში აღმაშენებლის გამზირზეც მშვენივრად და შინაურულად გრძნობენ თავს! ...დღეს თურქეთში უფრო მეტი გენეტიკური ქართველი ცხოვრობს, ვიდრე, თავად საქართველოში!.. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაუშვებს აჭარის თურქეთის ვილაიეთად გადაქცევას!" (ასავალ-დასავალი, 22-28 სექტემბერი, 2014).

რუსეთის დაშლის შემთხვევაში, "საქართველოს გამუსულმანების საფრთხე"

თენგიზ კუბლაშვილი, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი: "რუსეთის დაშლა-დასუსტების შემთხვევაში საქართველო მუსლიმანთა სათარეშო არენად იქცევა; ვინც არ გამაჰმადიანდება და ეროვნებას არ დაკარგავს, მოკლავენ, უკეთეს შემთხვევაში — გაყიდიან (ახალგაზრდა გოგონებსა და ლამაზ ქალებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ, შეიძლება ხალიფატის რომელიმე გავლენიანი ტერორისტის პირველ ცოლობასაც კი გამოჰკრან ხელი)!" (Geworld.ge, 14 ნოემბერი, 2014).

ისლამოფობია

ირაკლი მაგავარიანი, პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში: "ის საქართველოს მოქალაქეები, რაც მეტი წავლენ [სირიაში] და უკან აღარ დაბრუნდებიან, ეხლა... დიახ, ბატონო, მე არ დამიმალავს არასდროს, რომ ჩემი სასურველი, ასე ვთქვათ, მდგომარეობა ამ ქვეყანაში ის არის, რომ ქვეყანა იყოს არა მხოლოდ ეროვნული თვალსაზრისით, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც კონსოლიდირებული"... (კავკასია, სპექტრი, 5 თებერვალი, 2015).

2.4. เวเบรทอศัก สิกัดอสิก

სასულიერო პირების მხრიდან სულ 8 განცხადება გაკეთდა, საიდანაც 3 მეჩეთების მშენებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული; 1 შემთხვევაში აჭარელი მუსლიმები თურქეთის ინტერესების გამტარებლებად იყვნენ წარმოდგენილი; 1 გამოხატვა მუსლიმთა რელიგიურ სასწავლებელს თურქეთის რელიგიურ ექსპანსიად აფასებდა, ხოლო 1 თვალსაზრისი ზოგადად რელიგიური შეუწყნარებლობის გამომხატველი იყო. სასულიერო პირები არა მხოლოდ რელიგიური შეხედულებებიდან გამოდიოდნენ, არამედ პოლიტიკურ შეფასებებსაც აკეთებდნენ: 2 შემთხვევაში "თურქეთის ოკუპაცია" რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ იყო წარმოდგენილი.

თურქეთის ოკუპაცია რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ

დაგით ქვლივიძე, დეკანოზი: "ტაო კლარჯეთში დღეს ქართულად წირგას რომ გვიშლიან დაგვიჭერენ, ოკუპირებულია. მარტო აფხაზეთი არ არის ოკუპირებული და მარტო რუსები არ არიან ოკუპანტები. ტაო-კლარჯეთი საქართველო იყო. კახში, ბელაქანში წირგას გერ ვატარებთ. ჩვენი უნიათობის ბრალია და ღმერთი რომ დავივიწყეთ, იმის ბრალია" (ნეტგაზეთი, 29 აპრილი, 2014).

მეჩეთების მშენებლობის მიუღებლობა

 ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი: "ბელარუსში მუსლიმანები მეჩეთის აშენებას აპირებენ... მე ის მაოცებს, ქრისტიანებსა და მსოფლიოს ასე რამ გაუწყალა გონება, რომ კარიკატურებს დასდევენ და მუსლიმანების გაძლიერებას ყურადღებას არ აქცევენ" (Geworld.ge, 22 იანვარი, 2014).

აგარელი მუსლიმების გაიგივება თურქეთის ინტერესებთან

ბასილ მკალავიშვილი, მღვდელი: "აგარელი მუსლიმანების უმრავლესობა თურქული პოლიტიკის გამტარებელია... როდის ილახებოდა მუსლიმანთა უფლებები საქართველოში? პირიქით, ყველასთვის ღიაა საქართველოს კარი და სწორედ "მიტომაც ვართ ამ დღეში" (ალია, 23 სექტემბერი, 2014).

მუსლიმთა რელიგიური სასწავლებლის გაიგივება თურქეთის რელიგიურ ექსპანსიასთან

გიორგი რაზმაძე, დეკანოზი: "პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს [მუსლიმური პანსიონის გახსნა ქობულეთში] არის რელიგიური ექსპანსია, რომელსაც ახორციელებს თურქეთის ხელისუფლება. ანუ, რაც "ნაციონალების" დროს ვერ შეძლეს, იმას აკეთებენ ახლა" (კვირის ქრონიკა, 29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი, 2014).

რელიგიური შეუწყნარებლობა

გიორგი რაზმაძე, დეკანოზი: "ახლა ნახე, რა დაიწყეს? თურქული სერიალების ჩვენება და იქ პირდაპირ თუ
ამჩნევთ, უღმერთოები ქრისტიანებს მოგვმართავენ — თურქები, უღმერთოები, უკვე ღმერთსაც გვავიწყებენ"
(ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 აპრილი, 2014).

2.5. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲒᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲦᲔᲒᲘ

77 დისკრიმინაციული გამოხატვიდან რესპონდენტები შემდეგ მოსაზრებებს ავითარებდნენ: აჭარა და მთელი საქართველო გათურქებულია (13); ხორციელდება რელიგიურ-კულტურული ექსპანსია (13); ადგილი ჰქონდა შუღლის გაღვივებას, რელიგიურ შეუწყნარებლობას ცალკეულ რელიგიურ ინციდენტებთან მიმართებაში (11); რესპონდენტთა ნაწილი (10) საუბრობდა თურქეთის ტერიტორიულ პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ; ამასთანავე თურქეთი რუსეთის საპირწონედ იყო განხილული (9); საქართველოს მოქალაქე აჭარელი მუსლიმები კი თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებთან იყვნენ გაიგივებული (7); თურქეთი და თურქეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველები კი ნეგატიურ კონტექსტში იყვნენ წარმოდგენილი (7); თურქოფობიის/ისლამოფობიის გაღვივება ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში ხდებოდა (3); რესპონდენტები (3) ასევე ისტორიული მტრობის თანამედროვე კონტექსტში წარმოჩენას ცდილობდნენ და ეკონომიკურ ექსპანსიაზეც (1) საუბრობდნენ.

ცალკეული მაგალითები:

აჭარის გათურქება

- მამუკა არეშიძე, ექსპერტი: "აგარაში პრაქტიკულად იქამდეა საქმე მისული, რომ დღეს სხვა ტომის ადამიანი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე საქართველოს მოქალაქე... იქ რელიგიური ფუნდამენტალისტები ძალიან აქტიურები არიან " (რეზონანსი, 7 თებერვალი, 2014).
- საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი: "საფრთხეშია აჭარა, სადაც სააკაშვილის ძალისხმევით "დიდი თურქობის" ახალი ერა დაიწყო — დღეს უკვე ბათუმის მოსახლეობის ერთ მესამედს უცხოტომელები შეადგენენ." (Geworld.ge, 30 ოქტომბერი, 2014).

რელიგიურ-კულტურული ექსპანსია

- თამაზ იმნაიშვილი, საქართველოს გენერალთა კლუბის ანალიტიკური ცენტრი: "საქართველოში დღეს რელიგიური და კულტურული ექსპანსია მიმდინარეობს. ყოველ არხზე ყოველდღე თურქული სერიალები გადის და დარწმუნებული ვარ, ეს თურქული სერიალები "25-ე კადრის" პრინციპითაა აგებული. წელს ასეთი შემთხვევა მოხდა: ლანჩხუთის რაიონში, ეკლესიაში, ქალბატონი აღსარებას ამბობდა და მან მამაოს უთხრა, — ალაჰმა დაგლოცოს, მამაოო" (Geworld.ge, 20 ნოემბერი, 2014).
- თამაზ ბაკურაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი: "ამ პანსიონის უკან, იცით ვინ აფინან-სებს? აფინანსებს თურქეთი. ისმება კითხვა რატომ? 56-ზე მეტი პანსიონია აჭარაში. ე. ი. ეს არის შეგნებულად, გააზრებულად უცხო ქვეყნების მიერ ჩადებული ნაღმი. რა წუთში აფეთქდება იმ სახით, რა სახითაც ჩვენ ვნა-ხეთ, მოხდა, არავინ იცის…" (რუთავი2, პოსტკრიპტუმი, 14 სექტემბერი, 2014).

შუღლის გაღვივება, რელიგიური შეუწყნარებლობა

დავით ზოიძე, ქობულეთის მკვიდრი: "ყველა თავს შევაკლავთ და არ ვაბატონებთ თურქებს აჭარაში... ჩვენი მამები და ბაბუები ხმლის ქვეშ გაამუსლიმანეს და ისევ შეეცდებიან ამის გაკეთებას. უკვე ცდილობენ, მაგრამ ხმლის ნაცვალად ფულს იყენებენ. აზიზიეს მეჩეთის აშენება რას ნიშნავს იცით? რომელ მიწასაც იპყრობს, იქ

- აშენებს თურქი მეჩეთს და ამით ცდილობს, დაგვანახოს, რომ ბათუმი თურქეთისაა. ამიტომ აჭარის მოსახლეობა უნდა დავდგეთ ერთად, რათა მთელმა ქვეყანამ დაინახოს, რომ აჭარა არ მიისწრაფვის გათათრებისკენ" (Geworld.ge, 1 ოქტომბერი, 2014).
- უუჟუნა კალაძე, ქობულეთის მკვიდრი: "აქ რომ ილოცებს მუსლიმანურად, ჩემი ბავშვი, რას გაიგონებს, გეკითხები?! რა უნდა ისწავლოს ამ ბავშვმა? ეს ბავშვები გარეთ, რომ გამოვლიან, კონტაქტში არ იქნებიან ჩვენ ქრისტიანებთან? ხო გადაურკულდებათ, დედი, საქართველო?" (რუსთავი 2, პოსტსკრიპტუმი, 14 სექტემბერი, 2014).

თურქეთის პრეტენზია საქართველოს ტერიტორიებზე

- ალექსანდრე გაგია, მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი: "თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტე-ლექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად... თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელი-გიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს" (Geworld.ge, 24 დეკემბერი, 2014).
- სიმონ კილაძე, ექსპერტი: "თურქეთი მიიჩნევს, რომ აჭარა მისი ტერიტორიაა, მაგრამ დროებით თმობს. უარს კი არ ამბობს, არამედ გვითმობს და ყოველთვის შეუძლია, ეს საკითხი წამოჭრას. ჩვენ ხელგაშლით ვესალმებით, აეროპორტიც კი ავუშენეთ". (Geworld.ge, 28 იანვარი, 2015).

თურქეთი რუსეთის საპირწონედ

- ალექსანდრე გაგია, მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი: "აგარაში არასოდეს უცხოვრია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო... თუ ადრე ჩვენს უკან რუსეთი იდგა და შეგვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთ-ვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წელია, დაგვავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო" (Geworld.ge, 24 დეკემბერი, 2014).
- მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში: "რუსული არხები თუ უნდა ავკრძალოთ, აუცილებლად უნდა ავკრძალოთ თურქული არხები, აზერბაიჯანის არხები იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში, იქაური ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება, ნამდვილად არ არის, ასე ვთქვათ, საქართველოსთვის" (იმედი, პოლიტიკის დრო, 15 აპრილი, 2014).
- ნიკოლოზ მუავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება: "არავის დაავიწყდეს, რომ რუსეთთან ერთად საქარ-თველოს ძირძველი ტერიტორიები, ასევე ოკუპირებული აქვს თურქეთს და გაიხსენეთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, დევით-ოღლუს ექვსი თვის წინანდელი განცხადება: "თურქეთი შეეცდება თავისი ისტო-რიული საზღვრების აღდგენას!" (ასავალ-დასავალი, 3-9 ნოემბერი, 2014).
- სოფელ კირნათის მკვიდრი: "გათურქებას გარუსება არ ჯობია?" (იმედი, იმედის კვირა, 1 თებერვალი, 2015).

აჭარელი მუსლიმების გაიგივება თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებთან

 აგთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: "აჭარის მუსულმანური მოსახლეობის ნაწილი არის თურქეთის პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში... აჭარის მუსულმანურ მოსახლეობას რაც შეეხება,

- რომ გამოდიან და იძახიან, ჩვენც ქართველები ვართ, თქვენი ძმები ვართო, რის ქართველები არიან ეს ადა-მიანები, როცა პირდაპირ თურქეთის ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებენ?!" (Geworld.ge, 18 სექტემბერი, 2014).
- ნიკოლოზ მუავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება: "დაფიქრებულა ვინმე, რას ასწავლიან და როგორ ზრდიან აჭარიდან წაყვანილ გაჭირვებულ ქართველ ახალგაზრდებს თურქულ მედრესეებში, სადაც ცხოვრების საუკეთესო პირობებს უქმნიან და მათგან თურქული მენტალიტეტის მქონე მუსლიმები, ისლამის თავგადაკლული მქადაგებლები გამოჰყავთ? არავითარი ქართული და ეროვნული ასეთ ბავშვებში არ არის. მათ მხოლოდ გვარ-სახელები აქვთ ქართული, თორემ სინამდვილეში აზროვნებით, რწმენით, მენტალიტეტითა და თავიანთი კულტურული იდენტობით, ისინი არიან თურქები!" (ასავალ-დასავალი, 8-14 დეკემბერი, 2014).

თურქოფობიის და თურქეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველების ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა

- **ლევან ჩაგანავა, სარეკლამო აგენტი:** "მოკლედ, "დაფნაში" ქართველები მონებად ვყავდით თურქებს!" (Geworld. ge, 28 მარტი, 2014).
- გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი (2014 წლის ნოემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ევროპის ბიუროს თანამშრომელი): "40 ათასი პასპორტია თურქზე გაცემული. აი, ისინი რომ ჩამოიყვანოს?!... რა, არ არიან საქართველოს მოქალაქეები?" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 თებერვალი, 2014).

თურქობიის/ისლამოფობიის გაღვივება ევროატლანტიკური ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ

- ალექსანდრე აბდალაძე, არმენოლოგი: "თურქეთის კარები აქ თავისთავად გამოიწვევს სერიოზულ პროცესებს ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. პირველ რიგში, ეს ნიშნავს რელიგიურ ინტერვენციას და წინააღმდეგობას, რადგან არსებობს დღეს იმის რეალური საფრთხე, რომ ისლამური წრეები საქართველოში გააძლიერებენ მაჰმადიანობას. არაფერს ვამბობ ისტორიულ მტრობაზე, რაც დღემდე მოუშუშებელი ჭრილობებია ჩვენი ქვეყნისთვის. ასე რომ, თუ კი ეს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ყველაფერთან ერთად თურქეთის სამხედრო ბაზად გადაქცევასაც გვიქადის, მეც, ისევე, როგორც ყველა საღად მოაზროვნე ქართველი, ბუნებრივია, ყოველგვარი ინტეგრაციის წინააღმდეგი ვარ" (Geworld.ge, 26 მარტი, 2014).
- თამაზ იმნაიშვილი, საქართველოს გენერალთა კლუბის ანალიტიკური ცენტრი: "ერდოღანის იდეაა, საერთო მუსლიმანური ნატოს შექმნა" (Geworld.ge, 20 ნოემბერი, 2014).


ისტორიული მტრობა

 რეზო ამაშუკელი, პოეტი: "სპარსელებს და თურქებს თრიაქი შემოჰქონდათ საქართველოში, რომ გამოეშტერებინათ ჩვენი თაობები, გათრიაქებულია, კაცზე რომ იტყოდნენ, ის მომსპარი იყო, დამთავრებული იყო ამბავი... ეს ყველაფერი ნაციონალების ჩადებული მარცვალია" (ასავალ-დასავალი, 9-15 ივნისი, 2014).

თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია

დაგით ჭიჭინაძე, ბიზნესმენი: "როგორ ხდება ექსპანსია?! დღეს ომები აღარ მიმდინარეობს ავტომატით და
 ტყვიით. ეკონომიკური ომები მიმდინარეობს და მიდის ექსპანსია, ბაზრების დაპყრობა და ქართული ბაზარი
 დაიპყრეს: თურქებმა დაიპყრეს, ეხლა მეორე მხრიდან ირანი შემოდის და ქართველისთვის აქ ადგილი აღარ
 რჩება" (კავკასია, სპექტრი, 2 ოქტომბერი, 2014).

როგორც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, არმენოფობიული გამოხატვა სხვა ნიშნით დისკრიმინაციასთან შედარებით მცირეა და პოლიტიკოსები ნაკლებად სპეკულირებენ ამ თემით. მედია სომხურ იდენტობას ნეგატიურ კონტექსტში ძირითადად პოლიტიკურ აქტორებთან მიმართებაში იყენებს (19); შემდეგი მგრძნობიარე თემა სომხური უკავშირდება სამოციქულო ეკლესიის მოთხოვნას სადავო ეკლესიების მრევლისთვის დაბრუნების თაობაზე (7); ზოგადად სომეხი თემის მიუღებლობაზე 4 შემთხვევაშია საუბარი, ხოლო 3 შემთხვევაში ავტორები ამკვიდრებენ აზრს, რომ სომხები ყველაფერი ქართულის მითვისებას ცდილობენ; 1 მაგალითი არის ილუსტრირება იმისა, თუ როგორ ხდება განსხვავებული ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფის უფლებრივი საკითხის დაკავშირება სეპარატიზმის საფრთხესთან.



დიაგრამა 3.1. არმენოფობიის ძირითადი გამოვლინებები სხვადასხვა წყაროების მიხედვით

3.1. മായ്വാ

მედიის მხრიდან არმენოფობია ძირითადად ბეჭდვით და ონლაინ გამოცემებში გვხვდება.

പോലെ വെവലയുടെ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ"

"ასავალ–დასავალის" ჟურნალისტების მხრიდან არმენოფობიის 2 გამოვლენის გარდა, გამოიკვეთა 5 შემთხვევა, როდესაც გაზეთი სომხური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას მეტწილად პოლიტიკურ პროცესებთან და აქტორებთან მიმართებაში ახდენდა, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენდენენ თუ არა ადრესატები სომხური იდენტობის პირებს. ეს მიდგომა ძირითადად საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, უკრაინის ყოფილ პრემიერს იულია ტიმოშენკოს და მწერალ ზურაბ ქარუმიძეს შეეხებოდა.

- დიტო ჩუბინიძე: "ბატონო ოთარ [კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის განცხადების პასუხად, რომ "თბილისი სომხების აშენებულია"], თქვენ ისეთი რამ თქვით, რის გამოც 1936 წელს ლავრენტი ბერიამ სომხეთის ცეკას პირველი მდივანი აღასი ხანჯიანი თავის კაბინეტში დახვრიტა!.. თქვენ მშვიდად იყავით ბატონო ოთარ, დღეს არც ბერიაა ცოცხალი და არც სტალინი და არც ისეთი ქართველი დადის ამ დაცვედნებულ საქართველოში, ვინც გმირთაგმირი დავით აღმაშენებლის სათაყვანებელი და საფიცარი თბილისის "გასომხურებისთვის" ტყვიას გკრავთ შუბლში და ნაჯახით გამოგეკიდებათ!" (28 ივლისი-3 აგვისტო, 2014).
- ჯაბა ექიმი: "ის რაც დღეს საქართველოში ხდება, არის ეკოლოგიური კატასტროფა. სწორედ ამიტომაა პირველ ადგილზე სიმსივნით სიკვდილიანობა. სხვათაშორის, საფრთხე ბაზარშიც დიდია. სომხებმა ისწავლეს ვირეშმა-კობა და ატომურ ელექტროსადგურთან მოყვანილ ბოსტნეულს გვაჭმევენ" (28 ივლისი–3 აგვისტო, 2014).

სომხური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

- გიორგი გიგაური: "კი მაგრამ რა გამოცდილება უნდა გაუზიარონ სააკაშვილმა და ბიძამისმა გრიგიანის [იულია ტიმოშენკო] ხელისუფლებას, რომელსაც დღე-დღეზე რუსეთი ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინას ჩამოაჭრის?!" (10-16 მარტი, 2014).
- გიორგი გიგაური: "არმენოლოგმა კი მიპასუხა დიდი ალბათობით, ეს ზურაბ ქარუმიძეც გვარგადაკეთებული სომეხიაო! მისი თქმით, "ქარ" სომხურად "ქვას" ნიშნავს, ხოლო სომხებს დღესაც აქვთ გვარი ქარიმიანი, რომელიც მაჰმადიანური სახელიდან "ქარიმიდან" არის წარმოქმნილი!.. ადვილი შესაძლებელია, "ქარიმიანი" ოდნავი სახეცვლილებით გამხდარიყო "ქარუმიანი ქარუმიძე"! და თან დაამატა, ისევე როგორც ტერ-სა-აკიანცი გახდა სააკაშვილიო!.." (24–30 მარტი, 2014).

ᲒᲐᲒᲔᲗᲘ "ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲥᲐ"

"კვირის ქრონიკაში" სომხური იდენტობის დაუსაბუთებლად, ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიების 3 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მაგალითი:

• გიორგი ჯიქიაშვილი: "დიახ, ივანიშვილის საქართველო შერცხვენილი და ნამუსახდილია, რადგან ტერ სააკიანის პირსისხლიანი ჯალათები, იმის ნაცვლად რომ გლდანსა და მატროსოვის ცხრაკლიტულში ბალანდას თქვლეფდნენ, პარლამენტში კომფორტულად სხედან "... (24–30 ნოემბერი, 2014).

לחשבנה אוליאא

GEWORLD.GE

ინტერნეტ–პორტალ Geworld.ge–ზე არმენოფობიის 5 შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ერთ შემთხვევაში ხდებოდა აზ–რის დამკვიდრება, რომ სომხები თბილისის სომხურ ქალაქად გადაქცევას ცდილობენ, 3 სადავო სომხური საკულ–

ტო ნაგებობების თემას უკავშირდებოდა, ხოლო 1 შემთხვევაში სომხური იდენტობის ნეგატიურ მახასიათებლად გამოყენება ხდებოდა.

მაგალითები:

სომხები ცდილობენ თბილისის გასომხებას

სათაური: "სომხები ცდილობენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ" (23 ივლისი, 2014).

სადავო საკულტო ნაგებობები

• კაბა უგანია: "სომხური ლობი სამარეს გვითხრის... "დაშნაკები", ხუთის ნაცვლად, უკვე 450 ქართულ ტაძარს გვედავებიან, ისტორიულ სიწმინდეებს ცხვირწინ გვაცლიან და... ამაზეა ნათქვამი, უპატრონო ეკლესიას ეშმა-კები დაეპატრონენო" (22 იანვარი, 2015).

საძინფორმი

ინტერნეტ–პორტალი "საქინფორმი" საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვს, ყოფილი პრემიერ–მინისტრის იულია ტიმოშენკოს სომხური გვარებით "სააკი–ანად", "ავაქიანად" და "გრიგიანად" მუდმივად მოიხსენიებდა (10).

მაგალითები:

- "ხმას იხლეჩდა სომეხი წარმოშობის ქართველი ფიურერი [იგულისხმება მიხეილ სააკაშვილი]" (19 თებერვალი, 2014).
- არნო ხიდირბეგიშვილი: "[დევიდ] კრეიმერი ნაწილობრივ მართალია ავანტიურისტ მიშა საააკიანსა და იულია გრიგიანს, სომხური წარმოშობის გარდა, საერთო ნამდვილად ბევრი აქვთ" (18 აგვისტო, 2014).

3.2. 3നമ്പകവാണ ദാനകവാ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

არმენოფობიის ერთადერთი შემთხვევა ბურჯანაძე-გაერთიანებულ ოპოზიციასთან დაკავშირებულ სახალხო კრების მხრიდან სადავო საკულტო ნაგებობებს უკავშირდება.

 ელიზბარ ჯაველიძე: "ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის დროს სომხებს პრეტენზიები ჰქონდათ საქართველოს ეკლესიებზე, მათი მღვდელთუფროსი ლაშა-გიორგიმ წიხლით გააძევა. იცით, სომხებს რა პრეტენზია აქვთ? საყდრისი თურმე ისტორიულ-კულტურული ძეგლია, თურმე სომხების ყოფილა" (კვირის ქრონიკა, 19-25 იანვარი, 2015).

3.3. 63PNLJ&PJ&NL YM&NPN BYWADDADADAD

ირაკლი მაგავარიანი, პრეზიდენტ შევარდნაძის სპეციალური წარმომადგენელი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში: "არა, სომხეთი ორმაგ თამაშს თამაშობს და სომხები ეშმაკი ხალხია და ეს სხვაა"... (კავკასია, სპექ–ტრი, 28 ნოემბერი, 2014).

3.4. L<u><u>JUDDENO</u>MM 3NMOZN</u>

3 შემთხვევიდან 2 სადავო საკულტო ნაგებობების სომხური ეკლესიისთვის დაბრუნების თემას, ხოლო 1 სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის უფლების და საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფის სეპარატიზმთან დაკავშირებას შეეხებოდა.

მაგალითები:

სომხური საკულტო ნაგებობების თემა დისკრიმინაციულ კონტექსტში

გიორგი ანდრიაძე, საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: "რუსეთის იმპერია შემოვიდა ამიერკავკასიაში, მაშინ მან ჩამოასახლა ძალიან დიდი სომხური დიასპორა... სომხური ეკლესიები, მართლაც აშენდა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში, მაგრამ აქ ისმის კითხვა, თუ ეს ოკუპაცია იყო სამართლიანი, მაშინ სამართლიანად უნდა დავუბრუნოთ პატრონს ეს ეკლესიები?.. უპატრონო ეკლესიას ყოველთვის ეპატრონებიან ეშმაკები ანუ პრობლემა არის ქართულ მხარეში" (ალია, 21 იანვარი, 2015).

რელიგიური კონფესიების რეგისტრაციის უფლების და ბიუჯეტიდან დაფინანსების გაიგივება სამცხე–ჯავახეთში სეპარატიზმის საფრთხესთან

როსტომ ლორთქიფანიძე, დეკანოზი: "დიდი შეცდომაა სომხური ეკლესიისა და სხვა კონფესიების ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლსწორად აღიარება, დიდი შეცდომაა მათი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება... ხვალ სამი რაიონი — ახალციხე, ახალქალაქი და ნინოწმინდა ერთ ეპარქიად რომ გაერთიანდეს და იქ სომეხი მიტროპოლიტი დაჯდეს, ჩავთვალოთ, რომ სამცხე-ჯავახეთი დაკარგული გვაქვს! ეს საფრთხეები გათვალისწინებული აქვს ხელისუფლებას, სომხურ ეკლესიას საქართველოს ბიუჯეტიდან რომ აფინანსებს?!" (ასავალ-დასავალი, 17-23 თებერვალი, 2014).

3.5. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲒᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲦᲔᲒᲘ

საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან 6 დისკრიმინაციულ გამოხატვას ჰქონდა ადგილი. აქედან 3 შემთხვევაში რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ სომხური ეკლესიის პრეტენზიები ეკლესიების დაბრუნებაზე უსაფუძვლოა; 2 შემთხვევაში ისინი ამკვიდრებდნენ აზრს, რომ სომხები ყველფერს ქართულს ითვისებენ, ხოლო 1 გამოხატვა ზოგადად სომხების მიუღებლობას შეეხებოდა.

მაგალითები:

სომხური ეკლესიის პრეტენზიები საკულტო ნაგებობებზე დაუსაბუთებელია

- გიორგი სიჭინავა, მწერალი: "აქეთ კი სომხები ეძებენ "თავიანთ დაკარგულ მიწებს" საქართველოში. მათ ახლახან და უკვე მერამდენედ დააყენეს საკითხი, ჩვენს მიწაზე "არსებული" და თითქოს ჩვენ მიერ "წართმეული" 365 სომხური ეკლესიის დაბრუნებაზე, მის კუთვნილ მამულებთან ერთად. ამდენი ეკლესია და მისი კუთვნილი მამულები კი, ალბათ, ნახევარ საქართველოს მოიცავს. ეტყობა, დაშნაკებისგან განსხვავებით, სომხეთის ეკლესიამ ქართული მიწების მითვისების მიზნით ახალი, "მშვიდობიანი" გეგმა მოიფიქრა" (Geworld.ge, 14 ნოემბერი, 2014). სომხები ითვისებენ ყველაფერ ქართულს
- ჭემალ ჭკუასელი, ანსაბლ "ერისიონის" სამხატგრო ხელმძღგანელი: "სომხები ჩურჩხელას "არმიანსკოე ჩუ-დად" ნათლავენ, იყო შემთხვევა, როცა შოთა რუსთაველიც არაქართველად გამოაცხადეს, ჩვენი ხალხური საგანძურის ნიმუშები კი სხვა ერის კუთვნილებად შერაცხეს... მახსოვს სან-ფრანცისკოში კონცერტის შემდეგ სომეხმა ქალმა გადმომცა ფირფიტა, რომელზეც ინგლისურად და სომხურად ეწერა: "სომხური ხალხური სიმღერები"... იმ ქალმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ქართული სიმღერები იყო ჩაწერილი, მაგრამ უტიფრად სომხურად გამოაცხადა" (კვირის პალიტრა, 17-23 თებრვალი, 2014).
- ალექსანდრე აბდალაძე, ისტორიკოსი: "საქმე ის არის, რომ მე-19 საუკუნიდან სომხები ცდილობენ, თბილისის სომხურ ქალაქად გადააქციონ, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც... ბევრი თვლის, რომ ქართველებს სომხებზე დიდი მტერი არ გვყავს" (Geworld.ge, 23 ივლისი, 2014).

სომეხი ხალხის მიუღებლობა


მოდესტ კოლეროვი, რუსი პოლიტოლოგი: "სირიის უდაბნოში ცხოვრობდნენ [სომხები] და ვაზის ფოთოლში ფარშის გადახვევაც არ შეეძლოთ. რადგან არც ფარში ჰქონდათ და არც ვაზი იცოდნენ. და ჰქონდათ აქლემის ნაკელი, რომელსაც აგროვებდნენ, აშრობდნენ და წვავდნენ რათა, სალაფავი მოემზადებინათ... 70 იან წლებში სომხებმა გაანადგურეს სარდარის სასახლე, რათა მეხსიერებიდან წაეშალათ ერევნის მუსლიმანური წარსული... ხალხი ისტორიას განსაზღვრავს ლიტერატურული ნაწარმოებებით, რაც სომხებს უბრალოდ არც აქვთ" (ალია, 22 იანვარი, 2014).

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ერთი წლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სხვადასხვა კონფესიებს¹⁴ შორის, ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფი იეჰოვას მოწმეები არიან – 26, შემდეგ მოდიან სხვა კონფესიები, რომელთაც ხშირად სექტანტებად მოიხსე-

[™] როგორც თურქოფობიის/ისლამოფობიის თავში აღვნიშნეთ ისლამური სარწმუნოების საფუძველზე გაკეთებული განცხადებები ჩვენ ცალკე გამოვყავით, რადგან ეს თემა ხშირად თურქულ ეროვნულ იდენტობას და თრქეთის სახელმწიფოს ინტერესებთან არის დაკავშირებულიდა დისკრიმინაციის მოტივის გამი≰ვნა ხშირად რთულია.

ნიებენ -10. ნეგატიური დამოკიდებულება უკავშირდება აგრეთვე რელიგიური კონფესიების ცალკეულ აქტივობებს და ამ თვალსაზრისით, მომდევნო ადგილზეა თბილისში საერთაშორისო საევანგელიზაციო ღონისძიების "იმედის ფესტივალის" ჩატარება -9. შემდეგ ადგილებზეა ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, რაც მეტწილად მისი წარმო-მადგენლების სამოქალაქო აქტივობას უკავშირდება -7; სახელმწიფოს მიერ ოთხი რელიგიური კონფესიის დაფინანსება -4; კვაკერები -3; კათოლიკები -2; რელიგიური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება -2; ანტისემიტიზმი -1; ბუდისტები -1; ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევა -1; სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მრევლი -1.



დიაგრამა 4.1. სხვადასხვა კონფესიების რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია წყაროების მიხედვით

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის მთავარი წყარო თავად მედია საშუალებები არიან – 27; რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია: საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები – 21; სასულიერო პირები – 16; ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი – 1; პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი – 1; ყოფილი პარლამენტარი – 1.

თემატური თვალსაზრისით კი შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

იეჰოვას მოწმეები

რელიგიურ ჯგუფებს შორის ყველაზე სტიგმატიზებული იეჰოვას მოწმეები არიან და მათ მიმართ დისკრიმინაციის წყაროდ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები (10); მედია (9) და სასულიერო პირები (7) გვევლინებიან. ნეგატიური დამოკიდებულება ნაწილობრივ მათი უფლებების რეალიზაციას უკავშირდება (ბიბლიის მეგრულად თარგმნა, თბილისის ქუჩებში სააგიტაციო მასალებისთვის სტენდების განთავსება, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სახელმწიფოს კომპენსაციის გადახდა დაეკისრა), ასევე ნაციონალური მოძრაობის გარკვეულ წარმომადგენლებთან ამ ჯგუფის ასოცირებას და რუსთავი 2-ის გადაცემა "ნიჭიერის" მონაწილის გევორქ პეტროსიანის საჯარო განცხადებას, რომლითაც მან აღნიშნულ სარწმუნოებაზე უარი თქვა.

თუ რესპონდენტების უმეტესობა იეჰოვას მოწმეებს "სექტანტებად" მოიხსენიებდა, მედია საშუალებები ამ ჯგუფის მიმართ შემდეგი სახის ნეგატიური ტერმინოლოგიის კულტივირებას ახდენდნენ: "საფრთხის შემც-ველი", "ჯანმრთელობისთვის — საშიში! სულისთვის — საზიანო და გამანადგურებელი!", "სექტის შავ-ბნელ საქმიანობა", "ბნელეთის მოციქულები და იეღოველები" (გაზეთი "ასავალ-დასავალი"), "ზომბირებულები" (რუსთავი 2).

"იმედის ფესტივალი"

საერთაშორისო საევანგელიზაციო ღონისძიების "იმედის ფესტივალის" თბილისში გამართვასთან დაკავშირე-ბით ნეგატიურ დამოკიდებულებას როგორც სხვადასხვა რესპონდენტები — 4, ასევე მედია — 3 და სასულიერო პირები — 2 გამოხატავდნენ. რესპონდენტები ორმოცდაათიანელებს ძირითადად სექტანტებად მოიხსენიებდ-ნენ, ხოლო მედია შემდეგ ტერმინებს მიმართავდა: "ანტიქრისტიანული მწვალებლური შეკრება", "გაურკვეველი სახელწოდების ფესტივალები" (გაზეთი "ალია"), "ქვეყნის სექტანტიზაციის მცდელობა" (გაზეთი "რეზონანსი").

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინააღმდეგ განცხადებებს მეტწილად პიროვნული განზომილება ჰქონდა და მისი წარმომადგენლების სამოქალაქო თუ საზოგადოებრივ აქტივობებს უკავშირდებოდა. მაგალითად, ეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის შემთხვევაში, გაზეთ "ასავალ-დასავალისთვის" მიუღებელი იყო მისი მუსლიმთა უფლებებთან დაკავშირებით აქტივობა, ასევე ჟურნალ ტაბულასთან ერთად თელავში სტალინის ძეგლის აღებაში მონაწილეობა და ილიას უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობა. ხოლო ამერიკის პირველი ლედის, მიშელ ობამას მიერ ეპისკოპოს რუსუდან გოცირიძის დაჯილდოვება ქალთა საერთაშორისო ჯილდოთი სიმამაცისათვის როგორც მედიის (Geworld.ge), ასევე სასულიერო პირისა და სხვა რესპონდენტების მიერ ევროპისა და ამერიკის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მზაკვრულ ქმედებად იყო შეფასებული. პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი (შოთა აფხაიძე) კი ამ ფაქტის ნეგატიურ კონტექსტში განხილვისას, "საეჭვო სექტების" კანონით აკრძალვას და მათი ფინანსების გაკონტროლებას მოითხოვდა.

დისკრიმინაციის წყარო ბაპტისტებთან მიმართებაში ძირითად მედია — 4; საზოგადოების სხვადასხვა წარმო-მადგენლები — 2 და 1 სასულიერო პირი იყვნენ.

სახელმწიფოს მიერ ოთხი კონფესიის დაფინანსება

 სახელმწიფოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, დამატებით 4 კონფესიის დაფინანსების თაობაზე მიუღებელი აღმოჩნდა მედიისა (3) და ერთი რესპონდენტისათვის. ეს საკითხი მედიის მხრიდან (მედია-კავშირი "ობიექტივი") მართლმადიდებელ ეკლესიასთან სხვა კონფესიების გათანაბრების მიუღებლობის კონტექსტში იყო წარმოჩენილი.

სხვადასხვა კონფესიები და ცალკეული რელიგიური ჯგუფები

- როგორც წესი, ნეგატიურ კონტექსტში ხდებოდა ყველა იმ ჯგუფის განხილვა, ვინც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას არ მიეკუთვნებოდა;
- ცალკეული რელიგიური ჯგუფებიდან ნეგატიურ კონტექსტში იყვნენ მოხსენიებული კვაკერები, ბუდისტები, სომეხი მართლმადიდებლები, კათოლიკები.

ანტისემიტიზმი

ანტისემიტიზმის ერთადერთი გამოვლინება ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატს ეკუთვნოდა.

რელიგიური ნეიტრალიტეტის უგულვებელყოფა

 რელიგიური ნეიტრალიტეტის უგულვებელყოფას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას (იეჰოვას მოწმეები) შორის დაპირისპირების დროს ავლენდა.

რელიგიური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება

 რელიგიური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში დაუსაბუთებლად წარმოჩენას გაზეთი "პრაიმ ტაიმი" და მედიაკავშირი "ობიექტივი" ახდენდნენ, რა დროსაც უცმირესობათა რელიგიის სექტანტებად მოხსენიება და პრივატულ სფეროში გაუმართლებელი შეჭრა ხდებოდა.

4.1. aa ල n ර

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, რასაც ჟურნალისტები ღიად გამოხატავდნენ, ბეჭდვით მედიაში (17) ჭარბობდა, რასაც სატელევიზიო (7) და ონლაინ (3) მედია მოსდევდნენ.

თემატური თვალსაზრისით კი შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

ცხრილი 5. რელიგიური თემატიკა ნეგატიურ კონტექსტში მედია საშუალებების მიხედვით

თემატიკა	ᲐᲡᲐᲕᲐᲚ- ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ	იႽითხიიარ	ᲐლᲘᲐ	GEWORLD.GE	რ <u>ე</u> გონანსი	პბმპბსიბ	რუსთ <u>ა</u> 30 2	პრაიმ თაიმი	\$ \\ 00
იეჰოვას მოწმეები	6	1		1			1		9
ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია	2		1	1					4
სხვადასხვა კონფესიები	2	1		1					4
იმედის ფესტივალი			2		1				3
4 კონფესიის დაფინანსება		2	1						3
რელიგიური იდენტობა		1						1	2
კვაკერები			1						1
ბუდისტები						1			1
კამი	10	5	5	3	1	1	1	1	27

പോലാ വയാടെ പരവടയകാട

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ"

აღნიშნულ გაზეთში ვხვდებით იეჰოვას მოწმეთა 6, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის 2 და სხვადასხვა ჯგუფის ("სექტანტები", ადვენტისტები, 50-იანელები, "სატანისტები") მიმართ შეუწყნარებლობის 2 ფაქტს.

ცალკეული მაგალითები:

იეჰოვას მოწმეების მიუღებლობა

- გიორგი გიგაური: "ამდენად, თბილისში ასე ერთ ღამეში აღმოცენდა სახლის კედელზე კარგა გვარიანი სიდიდის აბრები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ იეღოველთა სექტის შავ-ბნელ საქმიანობას!.. იეღოველთა
 ეს მიმდინარეობა არის კლასიკური ტოტალური სექტა! ადამიანთა ჯანმრთელობისთვის საშიში! სულისთვის
 საზიანო და გამანადგურებელი!" (25–31 აგვისტო, 2014).
- დიტო ჩუბინიძე: "ბნელეთის მოციქულები და იეღოველების ფარული თუ "რამკიანი" აგენტები ჩვენთან იდეოლოგიურ ბრძოლასა და პოლემიკაში ოროსნებივით, რომ დამარცხდნენ და გაბითურდნენ, ახლა სასამართლოებითა და ფინანსური სანქციებით გვიპირებენ დანგრევას!" (19-25 იანვარი, 2014).
- ჯაბა ხუბუა: "ვინ იცის, გევორქ პეტროსიანის დარად, გაჭირვებისა და სასოწარკვეთის გამო, რამდენ წესიერ ადამიანს შეუცდა ფეხი იეღოვას სექტაში, რამდენ ადამიანში ჩაკლა ბრწყინვალე ნიჭი ამ სექტამ და რამდენს მოუსპო ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციის საშუალება!" (24–30 ნოემბერი, 2014).

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მიუღებლობა

🔵 გიორგი გიგაური: "თუ გავითვალისწინებთ რა დამართა სააკაშვილმა "ასლან აბაშიძისგან განთავისუფლე–

ბულ" აჭარას, ადვილად მივხვდებით, რას აკეთებდა იქ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაუძინებელი მტერი [მალხაზ] სონღულაშვილი და რატომ ჩაესმის "იავნანასავით" (უფრო სწორად, "ჰელოუნის" სიმღე-რასავით!) მინარეთზე ასული ყატარელი მუეძინის ლოცვა!..

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ვინ ბრძანდება მალხაზ სონღულაშვილი: 2013 წლის 31 დეკემბერს, რესპუბლიკელ ლიბერასტთა მიერ დაკომპლექტებული თელავის რაიონის მუნიციპალიტეტის გა-დაწყვეტილებით და ჟურნალ "ტაბულას" ერთ-ერთი დამფუძნებლის — "სამოქალაქო განვითარების ფონდის" მონაწილეობით თელავში მოქალაქეების მიერ აღდგენილი სტალინის ძეგლი აიღეს!" (17–23 მარტი, 2014).

სხვადასხვა კონფესიების მიუღებლობა

გიორგი გიგაური: "მაშინ ადგებიან "ადვენტისტები", "50-იანელები", "სატანისტები", გნებავთ "ლუდის და ტარანის მოყვარულთა საზოგადოების" წარმომადგენლები თავისუფლად გამოაკრავენ თავ-თავიანთ სარეკლამო აბრებს ქვეყნის დედაქალაქში" (25–31 აგვისტო, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲐᲚᲘᲐ"

2 მასალაში ჟურნალისტი გამოხატავდა დისკრიმინაციულ მიდგომას საევანგელიზაციო ღონისძიების "იმედის ფესტივალთან" დაკავშირებით; 1 შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ რელიგიურ ორგანიზაციათა რეგისტრაცია და 4 კონფესიის დაფინანსება საფრთხესთან იყო გაიგივებული; 1 კვაკერების, ხოლო 1 ბაპტისტების მიუღებლობას შეეხებოდა.

საერთაშორისო საევანგელიზაციო ღონისძიების "იმედის ფესტივალის" წინააღმდეგ

- ჟანა ასანიძე: "6-8 ივნისს, თბილისში სპორტის სასახლეში სექტანტების შეკრება ტარდებაო, რომელიც შენიღბული ყოფილა "ფესტივალის" ფორმით. ეს არის ჩვეულებრივი ანტიქრისტიანული მწვალებლური შეკრება და
 მასზე დასწრება არ შეიძლებაო! ამაზე რა იცით?" (28 მაისი, 2014).
- უანა ასანიძე: "მამაო (მიმართავს გიორგი რაზმაძეს), ძალიან მომრავლდა გაურკვეველი სახელწოდების ფესტივალები, შეკრებები, სექტანტური ხასიათის შეხვედრები. ეს შემთხვევითი ვერ იქნება ხომ?" (10 ივნისი, 2014).

სახელმწიფოს მიერ 4 რელიგიური კონფესიის დაფინანსება

ჟანა ასანიძე: "ამ 2–3 წლის წინათ რელიგიის შესახებ კანონს რომ იღებდნენ, მაშინაც ამბობდნენ არა, კაცო ეს საფრთხის მომტანი არააო, ახლა კი თურმე იმის გამო, რომ ყველა კონფესია გაუთანაბრდა მართლმადიდებ—ლობას, ისინი უნდა დაფინანსდნენ ჩვენი ბიუჯეტიდან ანუ ხვალ ზეგ იმ სექსუალურ უმცირესობასთანაც შეიძ—ლება დაგვიწესდეს ვალდებულება?" (ალია, 30 აპრილი, 2014).

კვაკერებეის მიუღებლობა

🔵 **თამარ ოქრუაშვილი: "**აი, კვაკერებიღა გვაკლდნენ" (კვირის ქრონიკა, 8-14 დეკემბერი, 2014).

ბაპტისტების მიუღებლობა

• "დაარიგეს ეპარქიის მიერ დაბეჭდილი ფლაერები, სადაც ევანგელისტურ-ბაპტისტთა სექტის მოკლე ისტორიაა ასახული" (ალია, 9 ივლისი, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ"

რეზონანსში 1 საავტორო სტატიაა, სადაც "იმედის ფესტივალი" ქვეყნის სექტანტიზაციის მცდელობად არის შეფაებული.

საერთაშორისო საევანგელიზაციო ღონისძიების "იმედის ფესტივალის" წინააღმდეგ

• თათია ჩაფიჩაძე: "ქვეყნის სექტანტიზაციის მცდელობა — თბილისში სამდღიანი საერთაშორისო ევანგელისტური ღონისძიებები სახელწოდებით "იმედის ფესტივალი" სპორტის სასახლის ნაცვლად, დიდუბეში მდებარე სახარების რწმენის ეკლესიაში გაიმართა" (რეზონანსი, 9 ივნისი, 2014).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲞᲠᲐᲘᲛ **Ტ**ᲐᲘᲛᲘ"

"პრაიმ ტაიმში" დაიბეჭდა სტატია, სადაც სახალხო დამცველის რელიგიურ იდენტობაზე დაუსაბუთებლად არის მითითება, რაც ნეგატიური კონოტაციის მატარებელია.

რელიგიური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში დაუსაბუთებლად წარმოჩენა

ერეკლე სტურუა: "სხვათა შორის, სოციალურ ქსელებში იმის შესახებაც დაიწერა, რომ უჩა ნანუაშვილი რე-ლიგიური უმცირესობის წარმომადგენელია, ანუ ის მიეკუთვნება ერთ-ერთ უცნობ პატარა სექტას... ომბუდს-მენად მისი დანიშვნის დროს უჩა ნანუაშვილს პირდაპირ სექტანტი უწოდეს და პარლამენტს მოუწოდებდნენ, მართლმადიდებლური მრწამსიდან გამომდინარე მაინც არ დაემტკიცებინა მისი კანდიდატურა" (პრაიმ ტაიმი, 17 თებერვალი, 2014).

പ്രയാലെ അവലായില്

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲗᲝᲥ-ᲨᲝᲣ "ᲓᲐᲛᲘᲡ Ს<mark>Ტ</mark>ᲣᲓᲘᲐ"

მედია–კავშირ "ობიექტივის" წამყვანები 2 შემთხვევაში სახლემწიფოს მიერ 4 რელიგიური ორგანიზაციის დაფი–ნანსებას მიიჩნევდნენ მიუღებლად; 1 შემთხვევა რელიგიური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას, 1 იეჰოვას მოწმეებს და 1 სხვადასხვა კონფესიებს შეეხებოდა.

სახელმწიფოს მიერ 4 რელიგიური კონფესიის დაფინანსება

ნინო რატიშვილი: "ახლა წარმოიდგინეთ, თურქეთში, მართლმადიდებლური და ისლამური რელიგია ერთი

დოზით რომ ფინანსდებოდეს?!.. და აი, ასეთი მსხვერპლის მიტანა, დასავლეთის წინ თავის დახრა... შემდეგ წამოვიდა ლიბერალური არასამთავრობოებიდან სერიოზული თითის დაქნევა, რომ აქ სხვა რელიგიებიც არის და შეძლება სექტანტების დაფინანსებაც" (24 თებერვალი, 2014).

🛑 **ილია ჩაჩიბაია: "**სატანისტებიც დავაფინანსოთ, ბარემ"... (30 აპრილი, 2014).

რელიგიური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში დაუსაბუთებლად წარმოჩენა

ბონდო მძინარაშვილი: "... თქვენ რომელი ეკლესიის მიმდევარი ხართ [მამართავს რესპონდენტს სატელე-ფონო ჩართვისას]? მართლმადიდებელი ხართ? კათოლიკე ხართ? გრიგორიანელი ხართ? მუსულმანი ხართ? იუდეველი ხართ? ბაპტისტი ხართ? ევანგელისტი ხართ? არ ვიცი – 50-ანელი ხართ? ადვენტისტი ხართ? იეღო-ველი ხართ? ვინა ხართ?"

ტელემაყურებელი: "მე ვარ ქრისტიანი ადამიანი..."

[მაყურებლის სატელეფონო ჩართვის შემდეგ]

ბონდო მძინარაშვილი: "ბატონი ზურაბი, ცნობილი თავისი თეოლოგიური წიაღსვლებით, ერთ-ერთი სექტანტუ-რი მიმდინარეობის წარმომადგენელია... ზუსტად არ ვიცი ბაპტისტია, თუ ევანგელისტია..." (12 ოქტომბერი, 2014).

იეჰოვას მოწმეების მიუღებლობა

 მაყურებელი: "ქართველების გარკვეული ნაწილი საერთოდ იაღოვის სექტის წარმომადგენელი გახდა და ეს ხალხი აფერხებს ქართველობის გრძნობის, აი, გაჭარმაგების პროცესს, რაც ჩვენმა წინაპრებმა დიდი საქმეებით მოიპოვეს. არ ვიცი, მათ ვინ მისცემს საერთოდ აზროვნება-განვითარების სწორ მიმართულებას" (17 იანვარი, 2015).

სხვადასხვა კონფესიების მიუღებლობა

მაყურებელი: "ვის ქვეყანას ვაშენებთ? ვის ვუშენებთ ქვეყანას, არამართლმადიდებლებს, არაქრისტიანებს, თუ ქართულ მართლმადიდებლურ ქვეყანას ვაშენებთ, აი ეს კითხვები მაქვს?" (5 აგვისტო, 2014).

რუსთავი 2, "ნანუკას შოუ"

რუსთავი 2-ზე იეჰოვას მოწმეთა დისკრიმინაციის 1 გამოვლინება კვლევაში მისი რეზონანსულობის გამო მოხვდა, რადგან მონიტორინგი მხოლოდ ამ ტელეკომპანიის საინფორმაციო და საზოგადოებრივ–პოლიტიკური თოქ–შოუ-ების დაკვირვებას ითვალისწინებს და არა გასართობი გადაცემების.

აღსანიშნავია, რომ "რუსთავი 2"-ის თვითრეგულირების ორგანომ დააკმაყოფილა MDF-ის, TDI-ის, GDI-ის, EMC-ის საჩივარი აღნიშნულ საქმეზე და "ნანუკას შოუს" წამყვანის მხრიდან ქცევის კოდექსის დარღვევა დაადგინა.

იეჰოვას მოწმეების მიუღებლობა

ნანუკა ჟორჟოლიანი: "იეღოველები აგრესიულები ხომ არ არიან, არ მომივარდნენ... თქვენ სიტყვას მაძლევთ, რომ აქ იეღოველები არ მომივარდებიან", "...კარგი ქენით, რომ წამოხვედით", "...იეღოველები დაზომბირებულები არიან?", "...გადაიბიროთ [მართლმადიდებლობისკენ] არასწორი სიტყვაა, მოვაქციოთ", "...ძაან მეშინია არ დამაგიპნოზონ" (26 ნოემბერი, 2014).

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ, ᲗᲝᲥ-ᲨᲝᲣ "ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲘ"

ბუდისტების წინააღმდეგ

დავით აქუბარდია: "ეხლა, არიან აგერ ჩინელები, ცოტანი არიან, მაგრამ, ხო იყო ერთი ოცდაათიათასი კაცი,
 მაგენი მოითხოვენ მერე ბუდისტური სამლოცველოების აშენებას" (26 დეკემბერი, 2014).

COPICE ANCRAM

GEWORLD.GE

მიშელ ობამას მიერ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსის, რუსუდან გოცირიძის ქალთა საერთაშორისო სიმამაცისათვის ჯილდოთი დაჯილდოვების მიუღებლობა

